



სამხრეთი ხელოვნება

GOBETGROE
 უგრუგუბო
 SOVIET
 ART
 SOWJETKUNST
 ART
 SOVIETIQUE



1972

სეგვითა სელეონება



შურნალი გამომცემის 1921 წლიდან

თეატრი
მუსიკა
მხატვრობა
კინო
ჯანსიღობა
ქორეოგრაფია




საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საზოგადოებრივ-კოლტიკური,
ლიტერატურულ-მხატვრული, მეცნიერულ-თეორიული ყოველთვიური შურნალი

1972

ქ. ადამია.

კოლხი ქალები.





გ. მცხელი.

აქარა (ტრიპტიკი).

ლენინური იდეაბისათვის გებრძოლი ტრიბუნი

კომუნისტური საზოგადოების მშენებელი საბჭოელი ხალხი უშრეტო ენერჯით იბრძვის პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. საბჭოთა ქვეყანაში დიდი წარმატებები მოიპოვა კომუნისტური მშენებლობის ყველა დარგში, მათ შორის ახალი აღამიანის ფორმირების რთულსა და დიდად საჭირო უბანზე. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან მასების პოლიტიკური აღზრდისა და ხალხის კულტურული დონის ამაღლების გარეშე წინ ვერ წავყვებით დიად საქმეს — კომუნიზმის გამარჯვებას. პარტიის მთელი იდეურ-აღმზრდელითი მუშაობის ღერძია მშრომელთა მასების კომუნისტური აღზრდა მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით, პარტიის პოლიტიკურ-ორგანიზატორული მუშაობის ფორმების დახვეწა.

ლ. ი. ბრენევის მოხსენება პარტიის XXIV ყრილობაზე ნათლად ასახავს ჩვენი ქვეყნის განვითარების ახალ ეტაპს კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე. ამ დიადი ეტაპის გამარჯვებით დაგვირგვინებაში მნიშვნელოვანი ამოცანები აკისრია საბჭოთა ინტელიგენციას, რომელიც ერთგულია მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებისა და მხატვრული შემოქმედებით ეხმარება პარტიას, ხალხს დასახული ამოცანების განხორციელებაში. რაკი, — როგორც ლენინი ილიას ძე ბრენევიმა თქვა, — ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი იდეოლოგიური ბრძოლის ერთ-ერთ დაძაბულ



უნაზუნ არიან, ბუნებრივია, პარტია ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა და უთმობს საბჭოური ლიტერატურისა და ხელოვნების იდეურ მინარჩს, იმ როლს, რომელსაც ისინი საზოგადოებაში ასრულებენ. ამიტომ, პარტია ყველა სასურველ მხატვრული შემოქმედების განვითარებას იქით წარმართავს, რომ ხელოვნება იქნეს კომუნისტური მშენებლობის აქტიური მონაწილე. შემოქმედ ორგანიზატორად. ხალხის სამსახური — აი, ის დიდი მისია, რომელსაც განხორციელდა ასრულებს საბჭოური ხელოვნება. საბჭოთა მხატვრულ ინტელიგენციას ყოველთვის ასსოვდა და ასსოვს ვ. ი. ლენინის სიტყვები, რომ ჩვენი ლიტერატურა და ხელოვნება წარმოადგენს ახალ ნაბჯის კაცობრიობის მხატვრულ განვითარებაში, ახსოვს, რომ სოციალისტური ლიტერატურა და ხელოვნება ყოველთვის იყო და არის არა ცალკე პირების საქმი, არამედ საერთო ხალხულ საქმის განუყოფელი ნაწილი.

ხელოვნებისა და ლიტერატურის იდეურობისა და პარტიულობისათვის ბრძოლა ლენინის მთელი მოღვაწეობის არსიდან გამომდინარეობს. ჯერ კიდევ შორეულ ციმბირში გადასახლებულ ლენინი თავის მოღვაწეობას მრავალმხრივად წარმართავდა. იგი არ ისაზღვრებოდა მარტო ეკონომიური ან პოლიტიკური ბრძოლის ამოცანებით. ლენინის აზრით, მუშათა კლასის ინტერესები, სოციალიზმის იდეის ხორცშესხმის ინტერესები მოითხოვენ ბრძოლის სამი ფორმის გამოყენებას. ლაპარაკობდა რა პოლიტიკური და ეკონომიური ბრძოლის ფორმებზე, ლენინი ეყრდნობოდა ენგელსის შენიშვნებს სოციალ-დემოკრატიული მოძრაობისათვის თეორიის მნიშვნელობის შესახებ და წერდა, რომ ენგელსი ცნობს სოციალ-დემოკრატიის დიდი ბრძოლის არა ორ ფორმას (პოლიტიკურს და ეკონომიურს), — როგორც ეს ჩვენიში მიღებული, — არამედ სამს და მათ გვერდით აყენებს თეორიულ ბრძოლასაც. ლენინის მიერ თეორიისადმი ასეთი გამაგებლებული ყურადღება გამოწვეული იყო მარქსიზმის მიმდგრადი რევიზიის მსურველთა შესამჩნევად ზრდით და, მეორე მხრივ, იმით, რომ საგონებრივი განხილვა მარქსიზმის მიმად გადაქცევის საფრთხე ვინც ოდნავ მაინც იცნობს ჩვენი მოძრაობის ფაქტიური მდინარეობას, — წერდა ლენინი, — მას არ შეუძლია არ დაინახოს, რომ მარქსიზმის ფართოდ გამოქვეყნებას თან ახლდა თეორიული დონის რამდენადმე ჩამოქვეითება. სოციალიზმისათვის რევოლუციურ მოძრაობას მისი პრაქტიკული მნიშვნელობისა და პრაქტიკულ წარმატებათა გამო ემხრობოდა ბევრი ისეთი ადამიანი, რომლებიც ძლიერ ნაკლებად ან სრულიადც არ იყვნენ მომზადებული თეორიულად. ამის შედეგად სოციალიზმისათვის პრაქტიკულ მოძრაობაში ჩამბულ მასებში ფსევდო გაიგავა თეორიის უკუღებულეყოფის ტენდენციამ, რაც ასე სასარგებლო იყო მუშათა მოძრაობის მოწინააღმდეგე ბურჟუაზიული იდეოლოგებისათვის, რომლებსაც არ დაუყოვნებიათ „თეორიული და მნიშვნელობის ეპოქაში“ მყვიარლა ფრანუბით, „დემოკრატიზმის, დოქტრინიორობისა და პარტიის გაქავეების“ წინააღმდეგ ბრძოლის ფარისევალური ნიღბით გამოხლას. მათ დრო იხელუებოდა, თავიანთ სასარგებლოდ ბრძოლის დამთავრების იმდენით, ცხადეს ეკონომიური ბრძოლთ შემოეფარებოდათ მუშათა მოძრაობა, თავზე მოეხეთათ პროლეტარიატისათვის, „ბრძოლა ეკონომიური მდგომარეობისათვის“, ბრძოლა დემოკრატიული ლოზუნებისათვის — „მუშების მუშებისათვის“; სცადეს დაენერგათ მასებში შესვლულება, რომ „პოლიტიკა მუშად მორიღებით უნდა მიჰყვებოდეს ეკონომიკას“, ქედის მოხრა სტიქიურობის წინაშე, შეგნებულობის სრული ჩაზნობა სტიქიურობით, იმ მუშების მოწოდებით, რომლებიც მიემხრნენ იმ აზრს, რომ მანეთუე კაპიტკის მიმატება უფრო ახლოა და ძვირფასია მათთვის, ვიდ-

რე ყოველგვარი სოციალიზმი, ყოველგვარი პოლიტიკა; რომ მუშები, თუ ბრძოლას აწარმოებენ, დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ იბრძვიან არა რომელიმე მომავალი თაობისათვის, არამედ თავისთვის და თავისი შვილებისათვის, — ასეთი და ამგვარი ფრანუბი, — ამბობდა ლენინი. — იმ ბურჟუაზიულ მოღვაწეთა მუშად საყვარელ იარაღს წარმოადგენდა, რომლებიც, სადაგათ რა სოციალიზმი, მაინც მუშაობდნენ მუშებთან, რათა თავზე მოეხებათ მცადარი აზრი, რომ თითქმის მხოლოდ ეკონომიური, მხოლოდ პროფესიული ინტერესებისათვის ბრძოლა არის სწორი ბრძოლა თავისი და შვილების ეკილოგებისათვის. ეკონომიზმის მკადაგებლენი, სტიქიურობის გამძლეებლენი და შეგნებულობის შემსუღდეგლენი თავგამოდებით უფრთხილდებოდნენ, „წმინდა მუშათა მოძრაობას“, „იკავდნენ“ ყოველგვარი აზამუშური ინტელიგენციის შეგავდნისაგან, თუნდაც ეს სოციალისტური ინტელიგენცია ყოფილიყო.

ლენინი შეუწოდებულ თორთულა ორგანიზაციულ ბრძოლას აწარმოებდა ეკონომიზმის პირველვე ლიტერატურული გამოხლენების წინააღმდეგ. იგი აცამტვერებდა „კრედის“ მიმდგრადებს და მუშათა მოძრაობიდან ადბოლუ ფაქტებით ასაბუთებდა, რომ ყ ვ ყ ვ გ ვ არა ქედის მოხრა მუშათა მოძრაობის სტიქიურობის წინაშე, „შეგნებული ელენენისა“ როლის, სოციალ-დემოკრატიის როლის ყოველგვარ და მცირება, ნი შნ ა ვ ს იმავე დროს. — სრულად და მცოტად ელ დებულა იმ სხვაგან, ბურს ეს და მამცოტად ექველს თუ არა, მუშებზეც ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის გაძიერებას. ღდადა ცდებთან ისინი, — ამბობდა ლენინი, — ვინც ლაპარაკობს იდეოლოგიის გადაფასებაზე. შეგნებული ელენენის როლის განხილვებზე, ვინაც საქმი ისე აქვს წარბოდენილი, თითქმის წმინდად მუშათა მოძრაობას თავისთავად შექმდოს გამოიმუშავოს თავისი საკუთარი იდეოლოგია, ოღონდ იც მუშებთან თავიანთ ბედი ხელიდან გამოალოჯან სელმძღვანელებს.

სცდებოდნენ არა მარტო „ეკონომისტები“, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლა ლენინმა ჯერ კიდევ პეტერბურგის, მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირში“ გააზადა, არამედ გადასახლებაში მყოფი ზოგიერთი რევოლუციონერი მოღვაწეც, რომლებიც იზარებდნენ რა ნაროდბიულ შეხედულებებს, ვერ აფასებდნენ მუშათა კლასის შეგნებულობის მნიშვნელობას, უკუღებულეყოფდნენ პროლეტარულ მასებში თეორიის შეტანის საჭიროებას და ამ გზით რევოლუციური მოძრაობის სტიქიურების აუცილებლობას.

მთელმა სამხედლომ, — გადმოვეცემს იმ დროს ციმბირში გადასახლებულ მუშა შაპოვლოვი, — რომელიც ლენინმა სოფელ ტესში გაატარა, ცსარე კამათში გაიარა. ლენინი ეკავითორდა ვ. ვ. ბარამზინას და ვ. ვ. ლენენკს. ბარამზინის სახით ნაროდბიკობა უარს ამბობდა თავი დამარცხებულად ელიარტინება და კვლავ ცხოვრებას ემდლაუებოდა. ლენინს ეღავებოდა ბარამზინი ხელოვნებისა და ლიტერატურის საიხთხებში, რომლებიც მარქსისტებს ჯერ კიდევ სათანადოდ არ ჰქონდათ დამუშავებული. ლენინი გუნებნარედ აკრიტიკებდა ორივეს, მაგრამ უკლებდა მათ მცდარ ესთქტიკურ შეხედულებებს, ან წარმოდგენას ხელოვნებასა და ლიტერატურაზე, მათ არასწორ მტიკიებას, თითქმის არსებობს ცალკე, დამუშავებელი მუშათა ხედვებება და მუშათა ლიტერატურა; თითქმის მუშებსა და გლეხებს არ სჭირდებოდათ მსოფლიო კლასიკური ხელოვნების სიმდიდრის ათვისება, რომ მუშებთან არაფერი აქვთ საერთო ყოვლდურად და ბურჟუაზიული ინტელიგენციიდან გამოსულ მხატვრებს, შემოქმედ.

ლენინი ანვითარებდა იმ აზრს, — წერს შაპოვალოვი, — რომ საკვირა ფაბრიკიდან დაბრუნებულმა დადოლითა და ქანცაპყვიტოლმა დაბეჭდვებულმა მუშამ შესძლოს ბურჟუაზიული წრიდან გამოსული ინტელიჯენციის დახმარების გარეშე შექმნას თავისი ხელთნება და ლიტერატურა. ხელოვნება იდეოლოგიური ბრძოლის გარკვეული სახეა, რომლის ცოდნა ისევე პირდაპირ მებრძოლ მუშათა კლასს, როგორც საერთოდ პოლიტიკური, თეორიული და ეკონომიკური ბრძოლის ყველა ფორმა. ხელოვნება არ არის ისეთი რამ, რაც შეიძლება დასოფილებლად არსებობდეს. იგი შენაძენი ნაწილია იდეოლოგიისა. მასასადამე, მისი შეტანა მუშათა კლასში ისევე უნდა ხდებოდეს, როგორც ხდება პოლიტიკურად და თეორიული შეგნებულების შეტანა. თქმა იმისა, რომ მუშათა კლასი თვითონ უნდა ქმნიდეს თავის საკუთარ ხელოვნებას, იმასვე ნიშნავს, რომ ვთქვათ, — სოციალისტური შეგნებულობა მუშათა კლასში მხოლოდ თავისი საკუთარი ძალებით უნდა შეიძულოს და უარი თქვას შეძლებული კლასების პროგრესულ წარმომადგენელთა დახმარებაზე. ლენინი ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, ვიდრე თავის ისტორიულ წიგნს „რა ვაკეთოთ“ დაწერდა, მტკიცედ იცავდა იმ მარქსისტულ დებულებას, რომ პროლეტარიატი ვერ შექმნის საკუთარ ხელოვნებას და ლიტერატურას ინტელიჯენციის დახმარების გარეშე. შემდგომ პერიოდში ლენინმა ეს დრმად მეცნიერული დებულება კიდევ უფრო ნათლად ჩამოაყალიბა. წიგნში „რა ვაკეთოთ?“ ლენინი დაასკვნდა, რომ სოციალისტური შეგნების შემუშავება შეუძლებელია მარტო მუშათა კლასის ძალებით. ყველა ქვეყნის ისტორია მოწმობს, რომ მუშათა კლასს მარტოდან თავისი საკუთარი ძალებით შეუძლია შეიძულოს მხოლოდ ტრადუციონისტული შეგნება. ე. ი. მხოლოდ იმისი რწმუნა, რომ აუცილებლად საჭიროა გაერთიანება კავშირებში, რათა აწარმოონ ბრძოლა მეპატრონეებთან, მოითხოვონ მთავრობისაგან შეგნებისათვის საჭირო ამა თუ იმ კანონის გამოცემა და სხვ. სოციალისტებისათვის ბრძოლა კი წარმოიშვა ამ ტრედუციონისტული შეგნებისაგან და მოუკიდებლად. სოციალიზმის მოძღვრება აღმოცენდა, — წერდა ლენინი, — იმ ფილოსოფიური, ისტორიული და ეკონომიკური თეორიებიდან, რომელთაც ამუშავებდნენ მდიდართა კლასების განათლებული წარმომადგენლები, ინტელიჯენცია. თანამედროვე მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელი, მარქსი და ენგელსი, თვითონაც, თავიანთი სოციალური მდგომარეობით, ბურჟუაზიული ინტელიჯენციის კუთვნილდნენ.

ბუნებრივია. შეგნებულობის გავრცელების ამ კანონზომიერ მოვლენას ვერ აცდებოდა რუსეთის მუშათა მოძრაობაც. მართლაც, მუშათა მასების გამოძვლიების ხელი შეუწყო გარდაწმენტიანულ შეგნებულობას. ფაქტია ის, რომ რუსეთის პირველი სოციალ-დემოკრატიები, რომლებიც კვირობითი აგიტაციას ეწეოდნენ, არ თვლიდნენ ამ აგიტაციას თავის ერთადერთ ამოცანად, პირიქით, — როგორც ლენინი აღნიშნავდა, — ისინი იმთავითვე აყენებდნენ ფართო პოლიტიკურ ამოცანებს საერთოდ, თვითმპყრობელობის დაშლის ამოცანას, განსაკუთრებით. თვით ლენინის მოღვაწეობა პეტერბურგის „ბრძოლის კავშირში“ ისეთიღი მაგალითია იმისა, თუ რევოლუციური სოციალ-დემოკრატია როგორ უთავსებდა ურთიერთს პოლიტიკურ და ეკონომიურ ბრძოლას.

ლენინმა, ჯერ კიდევ 1895 წლის დამლევს შეადგინა გაზეთ „რაბოჩე დელს“ პირველი ნომერი, რომელშიც რამდენიმე სტატია დაბეჭდა. ამ წერილებში ლენინი სახავდა მუშათა კლასის ისტორიულ ამოცანებს, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკური თავისუფლების მოპოვების ამო-

ცანას. „რაბოჩე დელს“ 90-იან წლებში იყო რუსი-სოციალ-დემოკრატების პირველი ისეთი გაზეთი, რომელიც, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „წარმომადგენდა არა ვერცო ადგილობრივი, მით უფრო, არა „კურობიური“ ხასიათის გაზეთს, არამედ ისეთ ბეჭდვის ორგანოს, რომელიც ცდილობდა საგაფიცო ბრძოლა შევერთენინა თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო რევოლუციურ მოძრაობასთან და მასწინა ამოსვლით და სოციალ-დემოკრატობას.

ამგვარად, ლენინის მთელი მოღვაწეობა იმის მჭიდრებულ-ტყველური მაგალითია, რომ სწორედ მოწინავე ინტელიჯენტურ წრეებს შეეძინათ მუშათა მოძრაობაში სოციალისტური შეგნება, რომ პროლეტარული ინტელიჯენციის მეშვეობით წარმოებდა სოციალისტური რევოლუციური იდეოლოგიის გამოშვება, ისინი ნერვადენენ მუშათა მასების ხელოვნებისა და ლიტერატურის სიყვარულს, სწორედ ისინი იმუშავებდნენ და აყალიბებდნენ პოლიტიკარიატის ბრძოლის შემდგომ მასტერულ-ესთეტიკურ შეხედულებებს, ავრცელებდნენ მათ შორისგანა ფართო ფენებში. მაგამ მუხუგდავა იმისა, რომ სოციალისტური შეგნება არის გარდაწმენილი არა პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში და არა რაღაც სტიკიტური მისგან წარმოშობით — სულაც არ ნიშნავდა იმის, თითქოს მუშები არ იღებენ მონაწილეობას თავისი იდეოლოგიის გამოშვებაში. ისინი ამაში მონაწილეობას იღებენ არა როგორც მუშები, არამედ როგორც სოციალიზმის თეორეტიკოსები, როგორც „პრუდონები და ვაიტლინგები, მონაწილეობას იღებენ, სხვაანარად რომ ვთქვათ, მხოლოდ მაშინ და იმდენად, რამდენადც ისინი ახერხებენ თავისი საკუთარი ცოდნის ცოტად თუ ბევრად დაუფლებას და ამ ცოდნის წინ წაწევას.

იმა, ის აქ მაგალიდ იჩინა თავი ლენინურმა ლოგიკამ, რომის მოთხოვნამ, რომ შეეძინა უფრო ხშირად მოახერხონ ცოდნის წინ წაწევა, თავი კი არ შეიზღუდონ „მუშეებისათვის გ ა ნ კ უ თ ვ ნ ი ლ ი ტ რ ა ტ უ რ ი ს“ ინსტრუქტორ შევიწროებულ ჩარჩოებში, არამედ ისწავლენ საკუთარ ლიტერატურის სულ უფრო მეტად დაუფლებას.

ამ ლენინური მოთხოვნის განხორციელებისათვის იბრძოდა გაზეთი „პრავდა“ და ამიტომ არა გაავდა ზოგიერთ წინაპარ ბეჭდვით ორგანოს, რომელიც შეგნებულად დაბლდებოდა ნაკლებად შეგნებული კითხვების დონეზე, დემოკრატიულობის მოსაწვევებლად პრიმიტიული ლესიკით ლაპარაკობდა, ლიტერატურულ ენას აუბრალავდა და ეცუნა, რომ ათი ნამდვილ მუშათა გაზეთად იქცეოდა. პირიქით, „პრავდა“ თანმიმდევრულად ებრძოდა ამგვარ რევიდებს. „პრავდის“ ასეთი მებრძოლი კურსის შთაავრებელია და ორგანიზატორი იყო ე. ი. ლენინი.

ლენინის წერილები და სტატები სახელმძღვანელო ნიშნისაგან იცნენ პროლეტარული რევოლუციის გზების გასაკლევად, მუშათა კლასის დასარსაზავად. რევოლუციამდელი და რევოლუციის შემდგომი პერიოდის „პრავდა“ ხორცს ასამადა მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის საფუძვლებების ჩასაყვრლად და ასაყვავებლად, ახალი ეპოქის შემოქმედი ადამიანის სულიერი და ფიზიკური ძალების გამოსავლენებლად და ასამაღლებლად.

ყველაზე დიდი და მასობრივი, ყველდღიური ლეგალური პროლეტარული გაზეთი „პრავდა“ ლენინის პრაქტიკული მოღვაწეობითა და ხელმძღვანელობით გაგვაცდებოდა. ლენინი იდეურად და ორგანიზაციულად წარმართავდა და აქცევდა მას თვითმპყრობელობას და ბურჟუაზიასთან შეურთვებელი ბრძოლის ტრიბუნად, რომლის ფურცლებიდან მქუხარედ ისმობდა ძლიერი ხმა მარქსის-



ტული იდეოლოგიის დასაცავად, რეოლუციური ხელოვნებისა და ლიტერატურის შავიანაზიური რეპრეზენტებისა და ბურჟუაზიულ-დეკადენტური სენისაკან დასაფარავად.

„პრავდა“ არცერთ მულტივარ საკითხს არ ტოვებდა, რომლის შესახებ მკითხველებთან მხატვრული სიტყვითაც არ ესაუბრა. კანონბრები მრავალფეროვნება კიდეც უფრო მასობრივად და პოპულარულს ხდიდა „პრავდას“, თუმცა უფრო მეტადვე პოლიტიკურ დევნასა და შარასმულ რბენას განიცდიდა. ლიბერალური ბურჟუაზიის პრესა ცოცხალ რთოდ ცდილობდა მიეთითა და მიეძინებინა მებრძოლი პროლეტარიატი. და თუმცა, ზოგჯერ სოციალური უთანასწორობის მიმართ ხმასაც ეხმაურებოდა, მაგრამ ამ ხმაში არ იგრძნობოდა პროტესტის არც ერთი ბეჭედი.

ლენინური მოძღვრების მდროშე „პრავდა“ მხაგრელების წინააღმდეგ ბრძოლისა და დამცირებულების დამცველთა ავანგარდში იდგა. იგი შემოქმედებითად ასორციელებდა ვ. ი. ლენინის მიითითებს პროლეტარული რეოლუციის მომხრეების საქმეში და ლეგალური მუშაობის ყველა საშუალების გამოყენებით მტკიცედ მიუძღოდა რუსეთის მუშათა კლასის ბრძოლებით მოსაპოვებელი გამარჯვების რეკვ.

ებრძოდა რა პროლეტარული რეოლუციის მტრებს და მათ ავებნებს მუშათა მოძრაობაში, ლენინური „პრავდა“ ფართოდ იყენებდა მასევე შეგავლების ყველა საშუალებას, მათ შორის ორმა იდეურ ლიტერატურასა და ხელოვნების, მხატვრული სიტყვის, ლიტერატურული კრიტიკისა და მებრძოლი პუბლიცისტების შემოქმედებას.

ლიტერატურული კრიტიკაც უფრო მჭიდროდ და დეკავანშირთ პარტიულ შემოქმედებას, პარტიის ხელმძღვანელობას, — წერდა ვ. ი. ლენინი და ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს ავალბებდა მუშა-მკითხველისათვის თანმიმდევრულად მიეწოდებინათ პერიოდული სტატიები.

ვ. ი. ლენინი გადაუდებლად ამოკლავდა ლიტერატურისა და ხელოვნების საქმის შეფერხებას პარტიულ მუშაობასთან, სადაც ბევრად მოივლდა პარტიული მუშაობა გაზეთის საშუალებით, გაზეთისა, რომელიც არ იქნება ისეთი ცალმხრივი, როგორც წინათ იყო, — და ლიტერატურული მუშაობაც, რომელიც უფრო მჭიდროდ დასკავშირდებოდა პარტიულ მუშაობას, პარტიაზე სისტემატურ, განუსწავებელ შემოქმედებას.

ლენინი ადგენდა მნიშვნელობას აძლევდა პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობასთან მაქსიმ გორკის დაახლოებას. ეს მიზანი ამოქმედებდა ლენინს, როცა პარტიის V ყრილობის შემდეგ სწორად გორკის, აუცილებლად ჩასულიყო შტუტგარტში, საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე და პარტიკულად გაესწრობდა პარტიის მოღვაწეობას. ლენინის აზრით, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა იმას, რომ გორკი ყოფილიყო კონგრესზე, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ იგი ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ოფიციალურად იყო გაყვანილი სათათბირო ხმით, მეორეც, ძალიან კარგი იქნებოდა ნახათ ერთმანეთი. ნუ გაუშვებთ შემთხვევას მუშაობაში ნახათ საერთაშორისო სოციალისტები, — ეს სულ სხვაა, სულ სხვა რამ არის, ვიდრე ზოგადი ნაცნობობა და მასლაათ... ჩვენ ყოველგვარი საქმეების შესახებაც მიყურ-მოყურით ვერასოდეს ხეირიანად ვერ შევატყობინებთ ერთმანეთს, თუ ერთმანეთი არ ვნახეთ, — წერდა ლენინი გორკის.

როდესაც გორკი „პრავდაში“ ნაკლებად იბეჭდებოდა, ლენინმა შესახებ მას, — საშუალოა, საჭიროა კია, რომ ხელი შეუწყობ გაზეთის. ლენინს უაღრესად საჭიროდ მიაჩნდა „პრავდაში“ გორკის მუდმივი თანამშრომლობა. როდესაც „პრავდას“ გამოცემა განძნელდა და მუშებს

შორის საჭირო გახდა ავტოკაციის გაჩაღება ხელმოქმედების გასაძლიერებლად, ლენინმა სხვაგა გორკის აქტიურად ჩამოელოცო გაზეთისათვის სახსრების შეგროვებაში: იმედი მაქვს, თქვეც მიიღებთ მონაწილეობას ავტოკაციაში ხელმოქმედების სასარგებლოდ, რათა ხელი შეუწყობთ გაზეთის „წელიწად გამართვისა“. მაგრამ — „რა ფორმით? თუ გაქვთ ზღაპარი ან რაიმე შესაფერისი, მაშინ ამის შესახებ განსაზღვრება ძალიან კარგი ავტოკაცია იქნება. თუ არა გაქვთ, — გავუზავნებ დაპირებას, რომ მისცემთ ახლო მომავალში და, სახელდობრ, 1913 წელს. დაასარულ, მხოლოდ რამდენიმე სტრიქონი თქვენი „წელიწად გამართვის“ უკან იმის მნიშვნელობის შესახებ, რომ აქტიურობა და ლაუზირონ მხარი (ხელის მიწყოთ, გავტრელებით, შეგროვებით) მუშათა გაზეთის, აგრეთვე საუკეთესო ავტოკაცია იქნებოდეს.“ — მიმართავდა ლენინი გორკის.

ვ. ი. ლენინის უშუალო შემოქმედებით, ხელოვნების პარტიულობის ლენინური ფორმით შთაგონებული დიდი მჭიდროდ მტკიცედ იდგა მხატვრული შემოქმედების კლასობრიობისა და პარტიულობის პოზიციებზე. გორკის მიუღმა შემდგომმა მოღვაწეობამ ნათლად დაამტკიცა, რომ არ არსებობს უპარტიო ხელოვნება, რომ ანტაგონისტურ საზოგადოებაში, სადაც ადამიანთა ინტერესები განიხსნდებიან ევონომიური ურთიერთობით. არ შეიძლება არსებობდეს შევსებული ლიტერატურა და ხელოვნება. გორკის მოღვაწეობის მეოხებითაც ლიტერატურა და ხელოვნება გახდა საერთო პროლეტარული საქმის ნაწილი, ყოველგვარი ნიდაგი გამოეცალა ძველთაძველ, ნახევრად ობოლოვებისებურ, ნახევრად ჩარჩულ რუსულ პრინციპს, როცა მჭიდროდ თავისთვის წერდა და მკითხველი თავისთვის იკითხებოდა.

ლენინი განსაზღვრავს ხელოვნებას, როგორც კლასობრივი ბრძოლის იარაღს, როგორც სოციალური კონფლიქტების გამოსავლის ფორმას. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ნათლად განმარტავს, რომ კლასობრივ საზოგადოებაში ხელოვნება თავისი იდეურ-პოლიტიკური მიმართულებით კლასობრივია, რომ ხელოვნება ისევე, როგორც საზოგადოებრივი აღზრდის ხელს ფორმები — პოლიტიკური, ზეობრივი, ესთეტიკური, ფიზიკური — წარმოშობილია საზოგადოებრივ-ისტორიული პრაქტიკული და გაპირებულაა გარკვეული კლასობრივი ურთიერთობით. ეს ესმოდათ გაბატონებულ კლასებს და ხელოვნების თავის სასარგებლოდ იყენებდნენ. ამიტომ საჭირო იყო, რომ პროლეტარიატს შეეინ, სცოდნოდა და საკუთარი კლასის სასარგებლოდ გამოეყენებინა იგი. მუშათა კლასს, რომელიც, ბურჟუაზიასთან შედარებით, ნაკლებად იყო დაფუძვნილი კლასობრივი ბრძოლის ან მოქნილ საბრძოლო იარაღს, უნდა მოემარჯვებინა იგი ბურჟუაზიასთან იდეოლოგიურ ბრძოლაში.

ამით აისხნება, რომ ლენინი თავისი მოღვაწეობის ყველა პერიოდში, პოლიტიკურ ემიგრაციაში იყო თუ სოციალისტური მშენებლობის სათავეში იდგა, — ყველგან და ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ხელოვნების როგორც მშრომლობა მასევე იდეური შემოქმედების საშუალებას; ისეთ ქმედით ძალას, რომელსაც შეეძლო მასებში შეეცანა რეოლუციური აღტკინება, გაეძლიერებინა ბურჟუაზიას და რეაქციული ძალების საწინააღმდეგოდ აღმდგარი პროლეტარიატის სიმტკიცე, გამარჯვების რწმენა და ბრძოლის სურვილი, სოციალისტური საზოგადოების მშენებელი, ხელიერად და ფიზიკურად სრულყოფილი ადამიანების აღსაზრდელად.

ამ დიად საქმეში ლენინს მხარში ედგა გაზეთი „პრავედა“. იგი ხელოვნებასა და ლიტერატურის რევოლუციური, პარტიული ბრძოლის გამოსის გზით წარმართავდა, გაზეთის მუშათა კლასის შეფენულობის გასაძლიერებლად იყენებდა. პროლეტარული იდეოლოგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სვერთად აქცევდა. „პრავედა“ ჩვენი ხალხის სულიერი და მატერიალური ძალებისა და შესაძლებლობების გამოვლინებასა და გაძალას ემსახურებოდა, საბჭოთა ხალხის განმარჯვებას აძტივიცხვებდა.

საბჭოთა კულტურის განვითარების ლენინური გზის გამარჯვებამ კი უზრუნველყო საბჭოთა ხალხების ლიტერატურისა და ხელოვნების გაფორმება. ეკონომიკის მიღაკური აღმავლობის საფუძველზე იფურჩქნება მოძმე საბჭოთა ხალხების სოციალისტური კულტურა. სწორედ რევოლუციური ბრძოლებით მოაფრებულმა საბჭოთა ხელისუფლებამ აღმოაჩინა ხალხში დაუშრეტელი წყარო ტალანტებისა, რომლებსაც, როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, კაპიტალიზმი ათასობით და მილიონობით ქვლავდა, ახშობდა და ახრჩობდა.

ვ. ი. ლენინი ერთიმორებს არასოდეს წყვეტდა ეკონომიური და კულტურული განვითარების საკითხებს. იგი ხელოვნებისა და ლიტერატურის აყვავების უშუალო პირობებად თვლიდა მასების მისწრაფებას არა მარტო მოყოფენიანთა მართვა-გამოვლის უწყებას, არამედ სწავლათ კიდევ სახელმწიფო აპარატის მართვა და გაძლოდა. იგი თვლიდა, რომ ხალხი, რომელიც სახელმწიფოს მართვის როლს წესებს აითვისებდა, ადვილად შეძლებდა კულტურული მეგვიდრობის ათვისებასაც. კულტურა მისთვის უმძირაო, საშუაურო ცოდნათა საუნჯე კი არ იყო, არამედ სოციალისტური საზოგადოების აწეების დამაჩქარებელი ძალა. კულტურისა და მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის აყვავება არ შეიძლებოდა სოციალისტური სახელმწიფოს შენებისაგან მოწყვეტით, იზოლირებულად. გამოთქვლიდა. ამიტომ, როცა ვ. ი. ლენინი დღის წესრიგში აყენებდა ლოზუნგს — „ვისწავლოთ სახელმწიფოს მართვა“, — იგი ამით კულტურის საკითხებზე წყვეტდა, ხალხის ესეთეკური აღზრდის მთავარ, გამაპირობებელ ამოცანასაც ხსენავდა.

ვ. ი. ლენინის თანამედვერული, დაჯერბომელი ბრძოლა მშრომელი მასების განათლების დონის ასამაღლებლად წარმოადგენდა სოციალისტური საზოგადოებისათვის ბრძოლის დიდი პროგრამის ერთ მნიშვნელოვან ნაწილს, ურბომლისდაც კომუნისტური საზოგადოების საბოლოოდ გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა. როცა ლენინი ლაპარაკობდა საბჭოთა აპარატის მუშაობის საერთო კულტურის ამაღლებაზე, ამით ის აყენებდა მუშების ინტელექტუალური დონის ამაღლების საკითხს. როცა ლენინი დაუღალავად ქადაგებდა სოციალისტურ მშენებლობაში ძველი, ბურჟუაზიული ინტელიგენციის ჩაბნისა და მაქსიმალური ეფექტურობით მისი გამოყენების საკითხებსაც, იგი ამით ზრუნავდა პროლეტარიატისა და მშრომელი კლასების მასებში მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების დანერგვისათვის, ზრუნავდა ხალხს, წარსულში ბედის ანაბარად მიგდებულ და მივიწყებულ დანარგულ ადამიანებზე.

ჩვენ ყოველთვის თვალწინ უნდა გვყავდნენ მუშები და გლეხები. მათი გულისათვის უნდა ვისწავლოთ საქმის გა-

ძლოა, ანგარიში. ეს ეხება, აგრეთვე ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგსაც — წერდა ლენინი.

საქმის გაძლოლის ანგარიშის სწავლა სწყვეტდა ახლა მასებში კულტურის შეტანასა და დანერგვის რთულ პრობლემას. ხელოვნება ხალხს ეკუთვნის, — ამბობდა ლენინი, მაგრამ ეს როდი იყო საკმარისი იმისათვის, რომ მშრომელი მასები ხელოვნებას დაუფლებოდნენ. პარტიკა დიდი ორგანიზაციული მუშაობის სატარება დასჭირდა რომ ხელოვნება ხალხისათვის გასაგები გამხდარიყო. ჯერ ხალხის ეკონომიური და პოლიტიკური განათვისუფლება უნდა ყოფილიყო მიღწეული, ხოლო შემდეგ შეიძლებოდა ზრუნვა იმისათვის, რომ ხელოვნება მასების კუთვნილებად გადაქცეულიყო. მხოლოდ ასეთი გზით იყო შესაძლებელი იმის განხორციელება, რომ ხელოვნება თავისი უღრმესი ფესვებით მშრომელთა ფართო მასების თვით შუაგულს აღწევდეს, მუშათა და გლეხთა ყოველდღიურ ცხოვრებას ახალისებდეს და მასზე ცხოვრებად მოქმედებდეს. ხელოვნება გასაგები უნდა იყოს მასებისათვის, მათთვის გასაგები უნდა იყოს ხელოვნების ყოველი ნაწარმოების როგორც იდეა, ისე ამ იდეის გამომხატველი ფორმაც. ხელოვნების ნაწარმოებმა მუშა-მაცურებელი კი არ უნდა დაბნობს, არამედ განაათლოს, თვალნათლივ დაანახოს ცხოვრების მოვლენები.

ხელოვნება „საყვარელი უნდა იყოს ამ მასებისათვის“, — ამბობდა ვ. ი. ლენინი და ამითაც ცხადყოფდა ხელოვნების დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობას. საყვარელი არა მარტო, როგორც ესეთეკური სიამოვნების მოძებნელი, არამედ, აგრეთვე, მასების მიზნების და მისწრაფებების გამომხატველი.

და ასეთი ხელოვნება, რომელიც „გასაგები და საყვარელი უნდა იყოს ამ მასებისათვის“, გადაიქცევა აქტიურ მოქმედ ძალად, რომელიც აღამაინებს ხულიერ და ფიზიკურ შესაძლებლობას წარმართავს მაღალი იდეალისაკენ, სოციალისტისაკენ, ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობისაკენ, სადაც ადვილი აღარ ექნება ადამიანების კლასებად დაყოფას, ერთის მიერ მეორის ექსპლოატაციას, უმრავლესობაზე უმცირესობის ბატონობას. ასეთი ხელოვნება „უნდა აერთიანებდეს ამ მასების გრძნობას, აზრსა და ნებისყოფას, აღაფრთოვანებდეს მათ“.

ლენინური მოთხოვნა — ხელოვნების გადასაქცევად აქტიურ მოქმედ ძალად — განმსაზღვრებლ დებულებად რჩება კომუნისტების ახალი მშენებლობის დიად პროცესში. ხელოვნება არა მარტო აერთიანებს სოციალისტური მასების გრძნობას, აზრსა და ნებისყოფას, არა მარტო აღაფრთოვანებს მათ, არამედ, ამასთან ერთად, ხეგვსა და ამდიდრებს კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ადამიანების ესეთეკური გემოვნებას, ამაღლებს მათ მორალურ თვისებებს, ამტკიცებს მასების ინტელექტუალური უსუსისკვეებას, ამკვიდრებს და ამრავლებს პროგრესისა და დემოკრატიისათვის იდეალთა საბჭოთა ხალხების მშვიდობისმოყვარულ ეფლებებს. თუბილარი გაზეთი „პრავედა“, ისე როგორც 60 წლის წინათ, ახლაც შემოქმედებითად უდგას მხარში კომუნისტურ პარტიას, მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების დაცვა-გაშლას, მასების იდეოლოგიურ აღზრდაში, კომუნისტების დიად მშენებლობაში.

ალექსანდრე ციმაკურიძე

შალვა კვასხვაძე

მრწმუნო მხატვრობის წინსვლისათვის იღვწოდა და დღესაც იღვწის ქართულ საბჭოთა სამხატვრო სკოლაში აღზრდილ მხატვართა არა ერთი თაობის წარმომადგენელი. მათ შორის საპატიო ადგილი უჭირავს ბრწყინვალე ქართველ საბჭოთა ფერმწერს ალექსანდრე (სანდრო) გიორგის ძე ციმაკურიძეს.

სანდრო ციმაკურიძე დაიბადა 1882 წლის 5 (17) აპრილს ქვიშეთში. ქვიშეთის შემოგარენი იყო მისთვის არა მარტო განწყობისა და შემოქმედების ეპიცენტრი, არამედ მასაზრდოებელი და სულისჩამდგმელიც. მშობლიურ ბუნებასთან სიახლოვე ყოველდღიურად ასაზრდოებდა მხატვრის შემოქმედებასა და მის ადამიანურ განცდებს. აღსანიშნავია, რომ ბუნებრიობა, სიწმინდე, სიღრმე, სამყაროს უშუალო ხილვა მხატვარმა ფუნჯის უკანასკნელ მონახშივში შეინარჩუნა.

ადრე დაბოლებული სანდრო ბავშვობიდანვე ეზიარა შრომას. იგი ხშირად იმყოფებოდა ბორჯომის, ხაშურისა და სურამის მიდამოებში. შემდგომში მხატვარმა ბავშვობის შთაბეჭდილებები და განცდები დიდი მხატვრულიზიზი და ბოეტურობით ამბეჭყყვლა თავის სურათებში.

მამის დაკარგვის შემდეგ ოჯახს მრავალი სიძნელის დაძლევა მოუხდა, მაგრამ დედამ პატარა სანდრო სასწავლებლად წაიყვანა დაბა მიხაილოვის (ამჟამად ხაშური) რკინიგზის სკოლაში. აქვე გაეცნო იგი ხატვის აზნასაც.

1898 წელს სანდრო თბილისში გადმოვიდა. ქალაქში ჩამოსულ ბიჭს პატრონობა გაუწია დიდი ქართველი მოღვაწე — დიმიტრი ყიფიანის ქვრივმა. პატარა სანდრო მან აწასტაკისა ხოშტარია-წერეთლის ხელშეწყობით შევირდალ მიიბარა იმჟამად თბილისში მომუშავე ცნობილ ქართველ მხატვარ-გრაფიკოს გრიგოლ ტატიშვილს, რომელსაც ამ დროისათვის უკვე შესრულებული ჰქონდა „ვეფხისტყაოსნის“

ნის“ საკაულები, გრაფიურები გოგებაშვილის „დედაწინა“ და „ბუნების კარისათვის“. სანდრომ აქ დიდი გატაცებით დაიწყო მუშაობა. სახელოსნოში გატარებულ დღეებს ცნობილი მხატვარი ყოველთვის საცარი სითბოთი იგონებდა ხოლმე.

ამ დროს საქართველოში მოღვაწეობდნენ გ. გაბაშვილი, ა. მრევლიშვილი, ა. ბერიძე, დ. გურამიშვილი. ი. ნიკოლაძე იზხანად გაემგზავრა პარიზში, ხოლო გ. მაისურაძე დ. რ. გველესიანი უკვე ცოცხლები აღარ იყვნენ.

თბილისში მობრუნებული იყო საკითხი სახვითი კულტურის კერის დაფუძნებისა და ახალი დროის შესაფერისი ქართული მხატვრობის აღორძინებისათვის. აქ ჯერ კიდევ 1874 წლიდან არსებობდა „კავშირულ ხელოვნებათა წამახალისებელი საზოგადოება“ და მისი სკოლა. იყო აგრეთვე კერძო სტუდიებიც, მაგრამ ეს საქმეს არ შეელოდა... ზრუნვამ, ბოლოს და ბოლოს ნაყოფი გამოიღო და 1901 წლის შემოდგომიდან თბილისში გაიხსნა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის მფარველობაში შემავალი სამხატვრო სკოლა საშუალო განათლების კურსით (სამწესობრივად, ქართულსა თუ რუსულ ენაზე გამოსულ სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურაში ავტორები არა მხოლოდ ამ სასწავლებლის დაარსების არასწორ თარიღს ასახელებენ, არამედ ხშირ შემთხვევაში ურთიერთის გამოშრიტყავ თარიღებსაც კი); სანდრო და გრიგოლ მესხი ოთხ წელიწადს სწორედ ამ სასწავლებელში სწავლობდნენ. 1905 წლის შემოდგომიდან ისინი მოსკოვს გაემგზავრნენ. ს. ციმაკურიძისა და გ. მესხის ჩასვლა მოსკოვში დაემთხვა რევოლუციის დიდ აღმავლობას. ამას არ შეიძლება თავისებური გაგონება არ მოეგონინა რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდებზე.

საქართველოდან ჩასულებმა მისაღებ გამოცდებზე დაივიანეს და კერძოდ დაიწყეს მუცადინებობა. ციმაკურიძე პირ-



გვლად ცნობილ რუს პეისაჟისტი იუთან სწავლობდა, სტროგანოვის სასწავლებელშიაც დადიდა მხატვარ ს. ვიანოვთან და იმდენად დაუახლოვდა მას, რომ ერთ ზაფხულს, ივანოვმა სანდრო თან წაიყვანა სამუშაოდ. ციმაკურიძე მოსკოვშიაც წაყოფიერდა შრომითად, სხვადასხვა დროს მეცნიერებად ისეთ ცნობილ რუს მხატვრებთან, როგორც იყვნენ ნ. კასატკინი, ა. არხიპოვი და ლ. პასტერნაკი. სანდრო, როგორც თავისუფალი მხეწველი, 1911-1915 წლებში საპეისაჟო მხატვრობას სწავლობდა პაოლინარ ვანსევიის ხელმძღვანელობით. მასთან ერთად იმ სასწავლებელში სწავლობდა საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი, აკადემიკოსი ალ. გერასიმოვი, რომელსაც სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე დიდი მეგობრობა აკავშირებდა სანდროსთან.

ა. ციმაკურიძისათვის მოსკოვში ცხოვრების წლებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მის გარშემო დიდი მხატვრულ ცხოვრება ვლდა. მამინდელი მოსკოვის მხატვართა საზოგადოებას შეადგენდა: ნ. კასატკინი, ს. ივანოვი, ა. არხიპოვი, აბ. ვანსევიცი, კ. იუონი, ი. გრბარი, კ. კოროვინი, ვ. სეროვი და სხვები. სწორედ მათთან შეისწავლა და შეთვისა სანდრომ მხატვრისთვის აუცილებელი პროფესიული ჩვევები: წერის ტექნიკა, პლენერის მნიშვნელობა და ახალი ქვეყნის ხილვასა და გადმოცემაში. იგი, როგორც მხატვარი, იმ სინამდვილითა და შთაბეჭდილებით იკვებებოდა, რაც ახალგაზრდობისას სამშობლოში მიეღო და შეეშუშა-გვიბა.

გრიგოლ მესხმა და აღექსანდრე ციმაკურიძემ თბილისში პირველად მოაწყვეს ახალი რუსული მხატვრობის გაოფენა, რომელიც 1909 წლის 6 მაისს გაიხსნა და საზოგადოებას რუს მხატვართა 142 სურათი წარუდგინა.

ს. ციმაკურიძე მოსკოვში სწავლის დროსაც ყოველ ზაფხულს ჩამოდიოდა თავის სოფელში.

ქვეშეთიდან დაედო სათავე შემოქმედის სამყაროსთან მხატვრული დამოკიდებულების იმ საზომსა და სიყვარულს, რამაც სტუდენტობის პერიოდსა და მომდევნო დროის სურათებშიაც ჰპოვა დიდი პოეტური ქვანდაბოა.

ს. ციმაკურიძე სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მთელი მისი ცხოვრების მანძილზე საკუთარ შემოქმედებას „დიდი მასწავლებლის“ — ბუნების ხმოვ. ნებაზე, მის ძალაზე აგებდა. მხატვრისათვის ეს იყო „ფერწერული“ სინამდვილე. ს. ციმაკურიძისათვის სურათი იყო მისი ფიქრებისა და განწყობის სარეკ. ვისაც კი უნახავს სანდროს მუშაობის ტილოზე, კარგად ეცოდინება, რომ სანდრო უშთავრესად ნატურალიზმს წერდა, მაგრამ მას არასოდეს არც გადმოწერდა და არც გადმოიღებდა. მხატვარი თავის სურათში აქსოვდა იმ ფიქრს, განცდასა და აზრს, რაც სინამდვილის, ბუნების უშუალო ხილვისას აღეჭრებოდა, ააღვლევდა, განაწყობდა.

სანდრო ბუნებით მშვიდი, დიქჯი და აუღვლეკველი კაცი იყო. სიხარულსაც და მწუხარებასაც უხმოდა, შინაგანი განცდებით ხვდებოდა. ყოველივე ამან მხატვრის შემოქმედებაში თავისი შესაფერისი ადგილი ჰპოვა. მხატვრის წერის მანერა თამამია, მოხასში მსუყე, იგრძობა ტექნიკურ-რამენტკა. მისი სინათლე და ჩრდილი კონტრასტულია.

ფორმები ნაძერწია მკვეთრი ურთიერთდაპირისპირებით ფერწერულად, საგნობრივად და მატერიალურად. მხატვრისათვის სურათი მისი განწყობის, ავტორის სიმშვიდის, სულიერი ყოფის ფიქსირებაა.

ს. ციმაკურიძე ეპიური ხილვის შემოქმედია, რითაც განსხვავდება სხვა პეისაჟისტებისაგან. მისთვის სურათი ქართული ფერწერული პეისაჟის ეპიურ სიმფონიას წარმოადგენდა. მხატვარი თავის სურათებს ამ გაგებით ქმნიდა.

ქართულ ფერწერაში, ისევე როგორც გრაფიკაში, საპეისაჟო სურათი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი იღებს სათავეს. აღინდობენ პეისაჟი უშთავრესად ემსახურებოდა სასურათო კომპოზიციის აგების საერთო ამოცანებს და, ამდენად, სურათში ერთგვარად დეკორაციის ფუნქციით იყო აგებული. ამიტომაც უახლოვდებოდა მისი დანიშნულებას სასცენო დეკორაციის ფუნქციებს.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ მხატვრობაში საპეისაჟო ჟანრი პირველად აცხადებს თავის უფლებებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ესა თუ ის მხატვარი პეისაჟს ძირითადად ყოველთვის უთავსებს საპორტრეტო, საყოფაცხოვრებო, ბატალურ, ისტორიულ თუ სხვა ჟანრის ნაწარმოებს. იმ ხანებში საპეისაჟო ჟანრის პრობლემატიკა და მისი ფერწერის სისტემის შემუშავება თუ ჩამოყალიბება არ შეადგენს მხატვართა საზრუნავს. დაბეჭდვით შეიძლება თქვას, რომ სანდრო ციმაკურიძემ ქართული საპეისაჟო ფერწერის პირველი დამამკვიდრებელი და განმავითარებელია საქართველოში.

ს. ციმაკურიძემ ერთგვარად შეიმუშავა საპეისაჟო სურათის ფერწერული, მისთვის სახასიათო და აღქმის თავისებური კონცეფცია. ლიტერატურაში გამოთქმულია სხვაგვარი მოსაზრებანიც — ფიქრობენ, რომ მხატვარი გამოდიოდა რუსული საპეისაჟო ფერწერისათვის დამახასიათებელი აგებულებით; ციმაკურიძის მხატვრობის დაკვირვებული და ღრმა შესწავლა, მისი ყოველმხრივ შეადარება არ აღასტურებს სხვა ხალხთა მხატვრობის საპეისაჟო ფერწერათა გავლენასა და მიმავას.

ქართული საპეისაჟო ფერწერის სკოლა მთლიანად არის დაკავშირებული ციმაკურიძის შემოქმედებით და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან.

იგი იყო პირველი ქართველი მხატვარი, რომლის შემოქმედებით ძიებასაც საპეისაჟო სურათის სფეროში მოემთხოვებოდა არა მხოლოდ კომპოზიტორ პირობდებოდა და ეყენება, არამედ მათი გადაჭრაც. მართლაც, მხატვარი ამ ამოცანას თავისი ეპიური კონცეფციისა და ბუნების არსის, ფილოსოფიური გაგებით წყვეტდა.

მხატვრისთვის ბუნების სახეობი კონცეფცია მოუღენის აბლოდ ხილვის საზომზეა აგებული. ამის გამო მასთან გამოსახვა ეყარება აღსაქმელი ფენომენის არა ზოგადსა და საერთო, არამედ ერთგვარ ანალიტიკურ-სტრუქტურული დანახვის ძალას. ამიტომაც ციმაკურიძე არასოდეს არ ასახავს რომანტიკულ ბურუსით მოცულ ბუნებას. ციმაკურიძის სურათები გამოსახავი ბუნების ფიზიოლოგიური განიშვლებების გზით, გარესამყაროს აღქმისა და განცდის იმ განწყობილებას ქმნის, რაც თვით მოვლენის სულიერ მე-

ტყველებას, ვიზუალურ ხედვასა და გამომსახველობას შეესატყვისება.

ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ციმაკურიძე ერთგვარად გატაცებული იყო ეტიუდიზმით, მაგრამ მხატვრის შემეყიდვრობის შესწავლა გვარწმუნებს საპირისპიროში. პასტოზური წერა და მონასმთა სტოკატურბო ყოველთვის ორიდ მოასწავებს შოვლენათა ეტიუდურ გამოსახვას.

ციმაკურიძის პეიზაჟთა კომპოზიცია შოდის არა მოვლენათა ეტიუდირებისაგან, არამედ მოვლენათა სახასიათოდ ტიპური ხილვისაგან, მხატვრის სულიერი ტემპერამენტის შინაგანი ცეცხლოვანებიდან.

მხატვრის წერის მანერა და მოვლენათა გადმოცემა დაყარებულია გამოსახვავი ფენომენის ეპიური და მკერივი სტრუქტურული გამოსახვის ამოცანაზე. ციმაკურიძის თითქმის ყველა საპეიზაჟო კომპოზიცია ადასტურებს, რომ მხატვრისათვის არსებითი და მნიშვნელოვანია, ტონის მიწეხია პეიზაჟის მყარი, მართალია, შინაგანად რომანტიკული, მაგრამ ბუნების ეპიური ყოფიერება. ასეთ გაგებას მხატვარი მიჰყავს კომპოზიციის მსხვილ პლანზე დამყარებულ სტრუქტურულობამდე.

შემდგომში დიდი მხატვარი და პეიზაჟისტი დავით კაკაბაძე ქართულ საპეიზაჟო მხატვრობას სრულიად განსხვავებულ, ახალ პრობლემებს უყენებს და გადაჭრის კიდემ მიათ.

ს. ციმაკურიძე მუშაობდა საუანრო სურათის სფეროშიაც, მაგრამ მხატვარი არც იქ დალატობდა თავის კონცეფციას, სასურათო კომპოზიციებს მათთან სრული შესატყვისობით ქმნიდა.

ს. ციმაკურიძის შემოქმედების ძალას, მის მხატვრულ შეტყველებას, შეესატყვისება საგნის სტრუქტურა, გადმოცემა და მისი ფერწერული ინტერპრეტაცია. მხატვარი გამოსახვისას ბოლომდე ინარჩუნებდა ხოლმე ქართული ბუნებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს. ციმაკურიძის სურათებში ხის ჯიში, ფოთლების სტრუქტურა, ქერქი თუ

ძირი, ტოტების განლაგება, სიხშირე თუ სიმეჩხერე არამართო დიდი სიმართლითა და მეტყველად არის აღბეჭდილი, არამედ დენდროლოგიური ატლასისათვის დამახასიათებელი სიუსტიტაჟე კი არის გადმოცემული. მიუხედავად ასეთი სიუსტიტისა, ციმაკურიძის სურათები მაყურებელს კოვლთვის იყრობს და აფიქრებს, სწორედ ეს აღავსებს ციმაკურიძის სურათებს ეპიური სუნთქვითა და ერთგვარი რომანტიკული ქლერალობითაც. მისი საპეიზაჟო მხატვრობა სხვებთან ერთად წარმოადგენს მომავალი ქართული საპეიზაჟო მხატვრობის ახალი პრობლემების ფუძესა და აღოსავალს.

ს. ციმაკურიძე ბუნების ასახვისათვის გამოყენებულ, მისთვის ჩვეულ თვალსაზრისს მიმართავდა ქალაქის პეიზაჟის შექმნის დროსაც. ციმაკურიძის ქალაქის არქიტექტურული პეიზაჟები საინტერესო და მნიშვნელოვანია, მაგრამ ისინი არ ემყარება სინამდვილის მხატვრული ასახვის ისეთ წყობორ სისტემას, როგორსაც აჩვენებს მხატვარი თავის „ქართლის“ ციკლში.

სანდრო ციმაკურიძე, როგორც აღენიშნეთ, ეწეოდა საინტერესო და ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც. ადრე იგი ასწავლიდა ხატვას ზოგად საგანმანათლებლო სკოლებში. 1922-1930 წლებში მუშაობდა მ. თოიძის სახალხო სამხატვრო სტუდიაში. 1930 წლიდან კი მოღვაწეობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში.

ს. ციმაკურიძის დიდი შემოქმედებითი ღვაწლისა და მუშაობისათვის მიენიჭა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, იგი დაჯილდოებული იყო „შრომის წითელი დროშისა“ და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით.

სანდრო ციმაკურიძე გარდაიცვალა 1954 წლის 24 მაისს. დასაფლავებულია ქართველ მოღვაწეთა დიადების ბანთელში. მხატვრის ცხოვრება და შემოქმედება ხელოვნების სამსახურისა და სამშობლოსათვის თავდადების უჭკნობი მაგალითია.



ბ. სირბილაძე
მხენელი.

პარტიის რაიკომი და

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა

მელქო ბიბილაშვილი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ, მუშათა კლასის მიერ ძალაუფლების ხელში აღება მჩვენს ქვეყანაში დასაბამი მისცა კულტურულ რევოლუციას, რაც ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის. კომუნისტური პარტიის მიერ გატარებულ ღონისძიებათა მეშვეობით ფართო გაქანება მიეცა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა — კლუბების, ბიბლიოთეკების და მუზეუმების შექმნისათვის. 1921 წლამდე ამბროლაურის რაიონის ტერიტორიაზე არ იყო არც ერთი კლუბი, კულტურის სახლი, ბიბლიოთეკა, ქიზ-სამკითხველო და მუზეუმი, ამჟამად რაიონში არის საჯარო და სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკა, 25 სასოფლო ბიბლიოთეკა, 32 კლუბი, 2 კულტურის სახლი, 4 ქიზ-სამკითხველო; აგრეთვე სახალხო თეატრი, სახვითი ხელოვნების მუზეუმი და მუსიკალური სკოლა. ამ დაწესებულებების ემსახურება 124 მუშაკი. რაიონის ბიბლიოთეკებში არის 261.500 ცალკე მჭეტი წიგნი, გაცილებით მეტი, ვიდრე 1922 წელს იყო მთელი საქართველის ყველა მასობრივ ბიბლიოთეკაში. რაიონის მცხოვრებლებთან ბიბლიოთეკებით სარგებლობს თითქმის ყველა, ვისაც კი შეუძლია წიგნის გამოყენება.

ახალმა წყობილებამ კაცობრიობის კულტურის მიღწევები და ცოდნა ხელმისაწვდომი გახადა ყველა მოქალაქისათვის. სწორედ ამაზე მიუთითებდა ვ. ი. ლენინის საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში: „წინათ ადამიანის მიერ იგონება, მთელი მისი გენია მხოლოდ იმისათვის შეიძლება, რომ ზოგისთვის მიეცა ტექნიკა და კულტურის ყველა სიკეთე, სხვებისთვის კი მოუკონ სრულიად აუცილებელი განათლება და განვითარება. ახლა კი ტექნიკის ყველა სასწავლო, კულტურის ყველა მონაპოვარი მთელი ხალხის კუთვნილება გახდება. და ამიერიდან ადამიანის გონება და გენია არასოდეს აღარ გადაიქცევა ძალადობის საშუალებად, ექსპლუატაციის საშუალებად“.

ლენინის იდეებს კულტურული რევოლუციის, კულტურული და მეცნიერების განვითარების შესახებ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამჟამად, კომუნისტური საზოგადოების გამწვანების მშენებლობის პერიოდში. ვინაიდან, როგორც სკკპ ახალ პროგრამაშია ნათქვამი, „მოსახლეობის კულტურულ ზრდაზე დიდად არის დამოკიდებული საწარმოო ძალების აღმავლობა, ტექნიკის პროგრესი და წარმოების ორგანიზაცია, მშრომელთა საზოგადოებრივი აქტიურობის ამაღლება, თვითმმართველობის დემოკრატიული საფუძვლების განვითარება, ყოფიანობის კომუნისტურება გარდადება“.

სკკპ XXIV ყრილობამ ახალი პერსპექტივები დასახა კულტურის შემდგომი განვითარებისათვის. კერძოდ, ყრი-

ლობა ითვალისწინებს წიგნის გამოშვების, პრესის, ტელევიზიის, რადიოს, ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომ განვითარებას, კინოთეატრებისა და კინოდანადგარების ქსელის გაფართოებას. მიმდინარე ხუთწლიდში დიდი ყურადღება მიექცევა მოსახლეობის კულტურული მომსახურების სისტემის შემდგომ სრულყოფას; კულტურულ-საგანმანათლებლო და სახელოვნო დაწესებულებანი უზრუნველყოფილი იქნებიან კვალიფიკური კადრებით.

კომუნისტური პარტიის ესოდენი დაინტერესება კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებით, ზრუნვა მისი ქსელის გაფართოებაზე აისახება იმით, რომ ეს დაწესებულებები დიდ ძალას წარმოადგენენ მშრომელი მასების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. კულტურის კერები მოწოდებული არიან დაუხმარონ პარტიულ ორგანიზაციებს იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებაში, მშრომელთა კულტურული ღონისა და ესთეტიკური გემოვნების ამაღლებაში.

პარტიის ამბროლაურის რაიკომი ყურადღებას აქცევს არამარტო კულტურის კერების ქსელის გაფართოებას, არამედ მათი მუშაობის დონეზეც. იმას, თუ რამდენად კეთილმორღობითაა ასრულებენ ისინი თავიანთ წიხანზე მდგარ ამოცანებს, წარმოადგენენ თუ არა იდეოლოგიური და კულტურული მუშაობის ცენტრებს თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე.

ამ მიზნით რაიკომის ინიციატივითა და დახმარებით ხშირად ეწყობა კულტურის მუშაოთა რაიონული თათბირები, სადაც მოხსენებებითა და ლექციებით გამოდიან რაიკომისა და რაიკომსაგარეთის ხელმძღვანელი მუშაკები. ისინი მსმენელებს განუმარტავენ პარტიისა და მათგონის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შინაარსს, ჩვენს ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკითხებს, ესაუბრებიან მასებთან მუშაობის ახალ მეთოდებსა და ფორმებზე.

ასეთი თათბირი მიმდინარე წლის მარტში მიქმდნა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადებას. თათბირზე მოისმინეს პარტიის რაიკომის მდივნის აშხ. ბ. გოგილიძის საინსტრუქტაჟო მოხსენება თემაზე: იდეოლოგიური დარგის მუშაოთა მოცანები სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადებისას. თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს აგრეთვე პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების მდივნის აშხ. გ. ვაჩაძის ლექცია „სსრ კავშირის შექმნის ლენინური ეროვნული პოლიტიკის წიგნი“.

რაიონის მეორე კულტურის კერა კარგად მუშაობს და დადებით შედეგს აღწევს. განსაკუთრებით ეს იგრძნობა იქ, სადაც პირველადი პარტიული ორგანიზაციები და ადგილობრივი საბჭოები ქმედით დახმარებასა და კონტროლს უწევენ მათს საქმიანობას.



კულტურის კერების ავანგარდია ამბროლაურის სარაიონო კულტურის სახლი (დირექტორი გ. სხირტლაძე), რომლის სააქტო დარბაზი 500 მაყურებელს იტევს. მის თვით-მოქმედებაში (დრამატული წრე, საკონცერტო ბრიგადები, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი) დღიდან დაარსებისა (1947 წ.) გაერთიანებულია საუკეთესო ძალები, რომლებიც დაუღალავად იღვწიან მშრომელთა კულტურული მომსახურებისათვის.

დრამატულმა წრემ, რომელსაც სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ ლ. ტურშიძელი, კ. ლაშინი, გ. ჯაფარიძე, გ. პატარაძე და სხვები, მრავალი საუკეთესო სპექტაკლი დადგა. სცენისმოყვარეთა ენერგიულმა შრომამ, თვითმოქმედების მაღალმახარველმა დონემ განაპირობა მისთვის სახალხო თეატრის წოდების მინიჭება. ამბროლაურის სახალხო თეატრი, რომელსაც საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ჯაფარიძე ხელმძღვანელობს, რესპუბლიკის წამყვანი თეატრების გვერდით დგას და დღითიდღე უფრო მაღალ დონეზე აჰყავს ხალხური თვით-შეოქმედება.

სახალხო თეატრმა 1959 წლიდან, ე. ი. დაარსებიდან დღემდე, სცენაზე დადგა ბევრი კარგი სპექტაკლი. მათ შორის აღსანიშნავია ა. ცაგარელის — „ლევის ქალი გულჯავახისი“, მ. ჯაფარიძის — „ქაშობაერის ასული“, ვ. დარასელი — „კვიციანი“, ლ. საიტიძის — „ქუთაისის“ და „მედა“, ა. სუბიაშვილის — „დალატა“, ვ. შოლერის — „ყაზარისი“, მ. კაკაბაძის — „ყვარყვარე თუთაბაი“, მ. დადიანის — „თეთრული“, გ. ნახუციანიშვილის — „ნაცარქექია“, ნ. დუმბაძის — „ნუ გემინია დედა“, გ. ბააზოვის — „მუნჯები ალაპარაკდნენ“ და სხვა.

ზოგიერთი სპექტაკლი მონაწილეთა აქვე მიღებული რესპუბლიკის გამორჩეული მსახიობებს — სსრ კავშირის სახალხო არტისტს ვ. გოძიაშვილს, საქართველოს სსრ სახალხო არტისტს მ. ჯაფარიძეს, ზ. ჭიჭინაძეს და სხვებს. თეატრი მზირადა მართავს გასტროლებს თბილისში, ქუთაისში, ტყიბულში, ცაგერში, ლენტეხში, ჩვენი რაიონის სოფლებში. წარმატებას სახეუბა: თეატრმა სახალხო თეატრის რესპუბლიკურ დათვლითარებაზე ორჯერ დაიკავა პირველი ადგილი. მის შემოქმედებით მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლები: მუშები, კომმუნერნები, მოსწავლეები.

ამჟამად თეატრი ამზადებს სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სპექტაკლებს.

ნაყოფიერად მუშაობს სარაიონო კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ ფესტივალზე მან დასამსახურებლად მიიღო პირველი ხარისხის დიპლომი. ანსამბლმა წარმატება მოიპოვა აგრეთვე ამავე თარიღისადმი მიძღვნილ სატელევიზიო ფესტივალზეც.

რაიონის მშრომელთა კულტურულ მომსახურებას დიდად უწყობენ ხელს კულტურის სახლის აგიტმატურული და საკონცერტო ბრიგადები. ისინი კონცერტებს მართავენ ღია ცეცხლში — მევენახეებთან, მესიმინდევებთან, მწყვეტებთან და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების მუშაკებთან. მარტო 1971 წელს მათ რაიონში გამართეს 44 კონცერტი, რომელსაც 4.000 მაყურებელი დაესწრო.

სარაიონო კულტურის სახლი საკლებო დაწესებულებათა მუშაკებისთვის მეთოდური რჩების ცენტრს წარმოადგენს. აქ ისინი იღებენ საჭირო დახმარებას მათთვის საინტერესო საკითხებზე. გარდა ამისა, კულტურის სახლში იმართება რაიონული თათბირ-სემინარები და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი.

კულტურის სახლები და კლუბები კარგად მუშაობენ აგრეთვე უწყში, ხიდიკარში, ნიკორწმინდაში, ჭელიძელეში, ჭრებლოში და სხვა სოფლებში.

სოფლის სოციალისტური წარმოების ამაღლებამ და განმტკიცებამ იძლი გავლენა მოახდინა მოსახლეობის ყოფაცხოვრებასა და კულტურაზე. სულ უფრო და უფრო ფართოვდება სოფლის მშრომელთა ცოდნა კომუნისტური შეგნება, ზოგადი და პროფესიული განათლებისადმი მისწრაფება. ახლა სოფლის მცხოვრებთა კულტურული და ესთეტიკური მოთხოვნებში თითქმის არაფრით ჩამორჩება ქალაქის მოთხოვნილებას. ადგილზე კი ყოველთვის როდესაც ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესაძლებლობაა. ამიტომ რაიონი საგასტროლოდ ხშირად იწვევს რესპუბლიკის პროფესიულ მხატვრულ კოლექტივებს. მაგალითად, უკანასკნელ წლებში რაიონის მაყურებლებს თავიანთი მაღალი პროფესიული ხელოვნება უჩვენეს რუსეთისა და მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური, ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის, ზ. ფილიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრების მსახიობებმა, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის კაპელეტებმა, ფოთის, მახარაძის, ზუგდიდის, ცხინვალისა და ახალციხის სახელმწიფო თეატრებმა. 1969 წელს რაიონს საგასტროლოდ ეწვია საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი სსრ კავშირის სახალხო არტისტების ნ. რამიშვილისა და ი. სუმიშვილის ხელმძღვანელობით.

1967 წლის 5 ივნისს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა საქართველოს სიმფონიური ორკესტრის თანხლებით ქობაქ ამბროლაურში მოაწყო პლენური და იმ წლიდან მოყოლებული 5 ივნისი რაიონში უშუაის დღედ არის გამოცხადებული. ამ დღეს ეწყობა რაიონის თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების საკონცერტო დათვალიერება, რის შედეგადაც საუკეთესო შემსრულებლებს სიგელისათა და ფასიანი სასურველი აჯილდებები ენიჭება.

მეტად ნაყოფიერ საქმიანობას უწევენ რაიონის ბიბლიოთეკები და მათი მუშაკები. ისინი ხელს უწყობენ მშრომელთა საერთო-საგანმანათლებლო, პოლიტიკური, კულტურული, სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის ღრინის ამაღლებას; პრაქტიკულ დახმარებას უწევენ პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დადამინათა კომუნისტურ აღზრდაში. ნიკორწმინდის სასოფლო ბიბლიოთეკა (გამგე ლ. წულუკიძე). 1971 წლიდან მითავსებულა ახალ კაპიტალურ შენობაში. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი ამჟამად 7.926 ერთეულს შეადგენს და 482 კაცს ემსახურება. ბიბლიოთეკის სამკიბიველო დარბაზში ხშირად იმართება მასობრივი ღონისძიებები. ვასლუ წელს აქ მოეწყო მეციხველთა კონფერენცია თემაზე „გვიყარდეს ჩვენი მხარე“. საუბიოთეო თარიღებთან დაკავშირებით ყოველთვის ეწყობა ახალი გამოფენები. მათ შორის „სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავი“, „ჩვენი კოლმუნერნობის ხვალისდელი დღე“ და სხვ.

მეცნიერულთა უკეთ მომსახურებისათვის ბიბლიოთეკას გახსნილი აქვს ბიბლიოთეკათმორის აბონემენტი. ეს განსაკუთრებით დიდ დახმარებას უწევს დაუსწრებელ სწავლებებში ჩამბულ სტუდენტებს და პარტიული განათლების ქსელში მომუშავე. ბიბლიოთეკასთან მუშაობს ლიტერატურული წრე, სადაც ხშირად ეწყობა მხატვრული ფიგენების განხილვა. ბიბლიოთეკა დიდ დახმარებას უწევს პროპაგანდისტებს, აგიტატორებსა და პარტიულ სწავლებებში ჩამბულ მსმელებს. გარდა ამისა, აქვე მუშაობს მოძრაი ბიბლიოთეკა, რომელიც ემსახურება საზოგადოებრივი მეცხოველების ფერმის მუშაკებს.

მშრომლებს კარგ მომსახურებას უწევენ აგრეთვე ბატა-

რა ონის, თლუღის, ბუგეულის, ლიხეთის, სადმელის და სხვა სასოფლო მიწოთიყვები.

სასოფლო მიწოთიყვები ექმარება სარაიონო ბიბლიოთეკა (გამფე ნ. ენუქიძე). აქ სასოფლო ბიბლიოთეკების განვითარების შექმნილია მუდმივმოქმედი სტენიარია, სადაც ყოველთვიურად ტარდება მეთოდური საუბრები საბიბლიოთეკო მუშაობის საკითხებზე.

გარდა ამისა, სარაიონო ბიბლიოთეკის მუშაობისას სასოფლო ბიბლიოთეკებში ხშირად აწესდებიან საინსტრუქტაჟო საუბრები.

1965 წლის 3 ივნისს ამბროლაურის კულტურის სახლის შენობაში გაიხსნა სახეთი სტუდენტების მუსუხეუნი. რესპუბლიკის მხატვრებმა, მათ შორის რაიონის მკედარმა, ცნობილმა მხატვარმა ნ. მეტრეველიმ, მუსუხეუნი უსასყიდლოდ გადასცეს თავიანთი რამდენიმე ნაწარმით. ამგანამდ მუსუხეუნი ექსპონირებულია 439 ნამუშევრით, რომელთაგან ბევრი ეკუთვნის სსრ კავშირის სახალხო მხატვრის, საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის თავმჯდომარის უ. ჯაფარიძის, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრების ზ. ლეკავასა და ნ. მეტრეველის ყალამს. მუსუხეუნი უხვად იზიდავს დამთვალიერებლებს.

უკანასკნელი 10 წლის მანძილზე რაიონში კიდევ უფრო განვითარდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი. 8 სოფელში (ხიდაკარი, სადმელი, შრომა, ახანოთი, ბუგეული, ცახი, ჭრედლი, ნიკორწმინდა) გაიხსნა 11 ბიბლიოთეკა, კულტურისათვის აშენდა და შეკეთდა მრავალი შენობა. მალე დაითავსდება ჭყვიშისა და ხობციკის კულტურის მუშეობათა.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობის დახმარებას უწევს პარტიის ამბროლაურის რაიონკომისე. მან პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, ადგილობრივ საბჭოებს და კულტურის რაიონულ განყოფილებას დაავალა განუწყობტელი იზრუნონ კულტურის კვრების მუშაობის განსუწყობტებლად. ამ დაწესებულებათა მივლილ საქმიანობა დაუქვემდებარონ მშრომელი მასების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, კომუნისტური სულოკვებითი აღზრდის ინტერესებს. ამავე დროს ყურადღება მიექცინო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მატერიალური ბაზის შექმნასა და მოვლა-პატრონობას.

საბჭოთა ხელოსნუღების წლებში ჩვენს ქვეყანაში კოლოსალური მუშაობა ჩატარდა სიღველეთა და ხელოვნების ძეგლების დაცვისა და გამოვლინებისათვის. ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა საქართველოშიც.

ამბროლაურის რაიონის ტერიტორიაზე აღიკვეთულია 165 ისტორიული ძეგლზე მეტი. რომელთაგან 33 ძეგლი—ნიკორწმინდის, პატარა ონის, კორტის, ზემო კრიხის, ბუგეულის, ბარაკონის და სხვა ტაძრები — დაცულია სახელმწიფოს მიერ.

რაიონის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფესიონალური ორგანიზაციები ყველაფერს აკეთებენ მათი დაცვისა და მოვლისათვის. უკანასკნელ წლებში ახლად გადაღიზურა ზემო კრიხისა და ბუგეულის კვლავიების შენობები, შეკეთდა ბარაკონის კვლავისა და ნიკორწმინდის გალავანი, ეკალ-ბარდებისაგან გაიწმინდა პატარა ონისა და ურავის კვლავების ეზოები. ურავის რვაწლიანი სკოლის დირექტორის ა. ჯაფარიძის ინიციატივით ურავისა და ლიხეთის ტერიტორიაზე დადგინეს ქვა-ღორღისაგან წლებების მანძილზე დაფარული ორი მატერიალური კულტურის ძეგლი.

მიუხედავად ყოველივე ამისა, რაიონის სიღველეთა და კულტურის ძეგლთა ერთი ნაწილის დაცვისა და მოვლის საქმე უკანასკნელ დრომდე არადაამკამყაფილებული იყო. ადგილობრივი საბჭოებისა და პარტიორგანიზაციების უწყ-

რადლებობის გამო მოუვლელი იყო კვლავები და ცხენკოშვები ლიხეთში, გორისუბანში, ზედა შავრში, კლდისუბანში ქედისუბანში, ტბეთსა და სხვა სოფლებში. ზოგან უსარჩისოდ იყო ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოები, ძველის კვდელზე წაშლილი იყო ორნამენტური ფრაგმენტები და ფრესკები.

მართლაც, ამ ძეგლების დასაცავად სერიოზული ღონისძიებები ჩატარდა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი.

პარტიის ამბროლაურის რაიონში სისტემატურად ზრუნავს რაიონში კინოფიკაციის ქსელის გაფართოებისა და მაქსიმალურად გამოყენებისათვის. დღეს რაიონში არ არის არც ერთი სოფელი, სადაც რეგულარულად არ უჩვენებდნენ კინოსურათებს.

საბჭოთა ხელოსნუღების პირველი წლებიდანვე პარტიამ დიდი ყურადღება მიექცია მეღვეთი პროდუქციის გავრცელების, როგორც კულტურული რევილუციის აუცილებელი მოთხოვნის.

უერნალ-გაზეთები და წიგნები მტკიცედ დამკვიდრდა რაიონის მშრომელთა ყოველკვლავებშიც. მაგალითად, 1972 წლისთვის რაიონში უკვე გავრცელებულია 292 დასახელების უერნალი და გაზეთი 43.150 ვეგემპლარის რაოდენობით. რვა მეგნეზიუმების, რაიონის ბიბლიოთეკებში დღეისათვის მათი რიცხვი, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, 261.500 ცალს აღემატება. გარდა ამისა, რაიონში არ შიობივება ოჯახს, რომელსაც არ ჰქონდეს საკუთარი ბიბლიოთეკა.

რაიონის მშრომელთა მაღალ კულტურაზე, მათს პატრიოტულ სულოსიყვებთან მეტყველების ის ფაქტი, რომ მიღიზარე წლის 9 მაისს სოფელ წყაღისში სახეობი ვითარებაში გაიხსნა ცნობილი რევილუციონერის, დიდი ლენინის თანამებრძოლის აბელ ენუქიძის სახლ-მუსუხეუნი, სადაც ექსპონირებულია მისი ცხოვრებისა და რევილუციური მოღვაწეობის ამსახველი მასალები. მათგან განსაკუთრებით საინტერესოა დიდ ბელადებს მიწერ-მოწერის ფოტოპირები.

გაფართოსწინებულია უსოფლო პერიოდში მემორიალური დაფები გაუკეთდეს იმ სახლებს, სადაც დაინადნენ და ბავშვობის წლები გაატარეს პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე ვალმობილმა ადამიანებმა, რაიონის საამყო შვილებმა — მალკია ტრონიშვილმა, შამშე ლეკავამ, ალიოშა სანიძემ, არკადი ელბაქიძემ და ივანე ნიკოლაშვილმა.

დიდ სამაშალო ომში ამბროლაურის რაიონიდან რვა ათას კაცზე მეტი მონაწილეობდა. მათგან ბრძოლის ველზე დედაც 3.687 კაცი. ომში დაღუპულთა უკვდავსაყოფად ოთხიშობის ვეზელ კოლმეურნეობაში და სკოლაში მოწყობილია შინმოსუღელთა ფოტოსტენდები, სამხედრო დიდების ქუსთები. ამბროლაურის, კვლევის, ხობციკის, ნიკორწმინდის, სადმელის, მეორე ბოლის და ზოგაერთ სხვა კოლმეურნეობაში ომში დაღუპულთა უკვდავსაყოფად აიგო ობელისკები. ახლო მიმავლში ასეთი ობელისკები აიგება რაიონის ყველა კოლმეურნეობაში, რომელთა გარშემო დაირგება ინდენი მცენარე, რამდენი კაციც დაიღუპა კოლმეურნეობებში დასამაშლო ომში.

ამგვარად, კომუნისტური პარტიის მითითებათა საფუძველზე ამბროლაურის რაიონული პარტიული ორგანიზაციის მიერ გაუკეთდა დიდი მუშაობა კულტურის დაწესებულებათა საქმიანობის გაუმჯობესებისათვის.

ამჟამად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში უპირველესი აზრობა, უზრუნველყოფს სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელება. ამბროლაურის რაიონის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს ყველა პირობა აქვს იმისათვის, რომ ეს ამოცანა დირსუღლად გადაჭარა. ● ●



ვაილ ამაშუკელი.



ამას წინასთ საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირ-
მა საზეიმო ვითარებაში აღნიშნა ქართული კინოს პიონერ-
რის ვაილ ამაშუკელის დაბადების 85 და მისი შემოქ-
მედების გვირგვინის — „აკაკი წერეთლის მოგზაურობა
რაჭა-ლეჩხუმში“ გადაღების 60 წლისთავი.

ის, ვინც თვალყურს ადევნებს და მეცნიერული ობიექ-
ტურებით აფასებს ქართული კინოს განვითარების გზებს,
არ შეიძლება ღრმა პატვისცემას არ ავლენდეს ქართული
კინოს პირველი მოღვაწის, მისი ბალავრის ერთ-ერთი
დამღების ვაილ ამაშუკელის სახელისადმი...

2 ივნისს ხელოვნების მუშაკთა სახლში მოვიდნენ ჩვენი
კინოს, თეატრის, მწერლობის, მუსიკის, მხატვრობის, სა-
ქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომად-
გენლები.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კინე-
მატოგრაფისტთა კავშირის პირველმა მდივანმა, სსრ კავ-
შირის სახალხო არტისტმა სიკო დოლიძემ, მოხსენებით
გამოვიდა კინოდრამატურგი კარლო გოგოძე. მან ილაპა-
რაკა იმ შემოქმედებით გზავს, რომელიც სახელოვანად გან-
ვლო ამავდარმა კინემატოგრაფისტმა.


...ბავშვობაში ვასო ბაგრატიის ტაძრის ძველთაძველ გა-
ლავანზე სმირად შედგებოდა ხოლმე და ოცნებაში წასული
შთაგონებით გაპყურებდა რიონის ორთავე მხარეს გაშლილ
მომზიგველ პეიზაჟს. შემდეგ კი ფანქარსა და ქალაღს
მოიმარჯვებდა და გაუბედავი ხელით ხტავდა ქალაქის
განუგეორებელ ხედებს...

დამთავრა თუ არა პირველდაწყებითი სკოლა, გადაწყ-
ვიტა ქუთაისის სამხატვრო სასწავლებელში შესვლა, რი-
მელსაც იმხანად ცნობილი მსახიობი ვასო ბალანჩივაძე
ხელმძღვანელობდა. ყმაწვილის სიყვარული ფერწერისად-
მი იმდენად დიდი იყო, რომ მალე სწავლის გასაგრძელებ-
ლად მოსკოვს გაემგზავრა. სწორედ იქ ეჩუარა იგი ხელოვ-
ნების სულ სხვა, მანამდე უცნობ სფეროს.

ერთელ მოსკოვში, „სუხარეო ბაშნიას“ მოედანზე, სეი-
რნობისას ვ. ამაშუკელმა მოძრავი სურათები ნახა სახელ-
დახელოდ გაკეთებულ ვერანზე, ასე გაეცნო იგი ლიუმერე-
ბის ფირმის წარმომადგენლებს, რომლებიც მოსკოველებს
„მეცხე საუკუნის სასწაულს“ — კინოს უჩვენებდნენ. ამ
სანახაობით მოხიბულმა ჭაბუკმა გადაწყვიტა უსასყიდ-
ლოდ ემუშავა „სასწაულმოქმედებითან“ და საფუძვლიანად
შეესწავლა კინომექანიკოსობა, მაგრამ, უსასწრობის გამო,

ქართული კინოს კიონერი

ტარიელ ხავთასი



ვასო ამაშუკელის შემოქმედებით საღამოს პრეზიდენტი. ცენტრში — საქართველოს ტელევიზიისა და რადიოაქტიურობის სახელმწიფო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი მამია ბატალიშვილის ხელმძღვანელობით.

ვასილმა მალე მიატოვა მოსკოვი და მშობლიური ქუთაისის ნაცვლად ბაქოში ჩავიდა, სადაც იმ დროს მისი ძმა — მამუკა ამაშუკელი მსახიობად მუშაობდა. ეს სი პერიოდული იყო, როცა 1905 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია დამარცხდა და მთელ ქვეყანას მიმეტი ტვირთად დააწვა სტოლინის რეაქციის მკაცრი რეჟიმი. ბაქოში მცხოვრებმა პროგრესულად მოაზროვნე ქართველებმა არა ერთი კულტურული დაწესებულება გახსნეს: კერძოდ, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, „საქველმოქმედი საზოგადოება“, ქართული თეატრი და სკოლა, სადაც სისტემატურად იკრიბებოდნენ ქართველები და დიდ ეროვნულ საქმეებს აკეთებდნენ. ბაქოში მოღვაწე ქართველებიდან აღსანიშნავია კოტე მესხი, ეფემია მესხი, არექსანდრე წუწუნავა, ალექსანდრე ჟორჟოლიანი, კოტე მესხის სიძე — ჩხეიძე ივანე გეგნერი და მრავალი სხვა.

კ. მესხმა და ი. გეგნერმა ბაქოში კინოთეატრიც კი გახსნეს, ფილმების ჩვენება დაიწყეს და მექანიკოსად მოსკოვიდან ახალრამოსული ვ. ამაშუკელი მოიწვიეს. მაგრამ მესხსა და გეგნერს არ აკმაყოფილებდა უცხოური ფილმები, რომელთა სიუჟეტები ხშირად მოსაწყვენი, არაფრის-მოქმელი იყო და ვერ აკმაყოფილებდა მსურველთა მოთხოვნას, მათ სურვილსა და გემოვნებას. ამიტომ გადაწყვიტეს თითონვე მოედიათ ხელი კინოსურათების გადაღებისათვის. ამ მიზნით 1908 წლის დასაწყისში ვ. ამაშუკელი გაგზავნეს მოსკოვში, კინოოპერატორის პროფესიის დასაუფლებლად. ვასილს მოსკოვში თან წაყვებინა გეგნერი, რომელმაც ახალგაზრდა კაცი ფრანგულ ფირმა „გომონის“ მოსკოვის განყოფილებაში მიიღო. იქ კინოგადაღების ტექნიკას კინოოპერატორი ვილჟოვი ასწავლიდა. გეგნერმა აქვე შეიძინა „გომონის“ ფირმის კინოგადამღები აპარატი და ბაქოში დაბრუნდა. რამდენიმე ხნის შემდეგ გადაღების ტექნიკას დაუფლებულმა ვ. ამაშუკელმა ბაქოში უკვე დაიწყო დოკუმენტური ფირმების გადაღება, რომელთა შორის აღსანიშნავია „რამიშვილის სტამბის მუშაობა“ (აღნიშნულ ფილმთან დაკავშირებით პირველად ვაჭვენებთ მებაღე საინტერესო დოკუმენტს, რომელიც კინორეჟისორმა კ. გოგოთის არქივში ინახება. იგი დასტურებს, რომ ვ. ამაშუკელმა პირველი ფილმი გადაიღო 1908 წლის აგვისტოში, არაუგვიანეს 15 მაისისა), „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი სა-

ზოგადოების წევრთა სეირნობა ქალაქის პარკში“, „ქვეანახშირის ზიდვა აქლემებით“, „გუნების პოლკის ალღოში კაპიტან სიმონ ესასის მინაწილობით“, „გემის გადმოტვირთვა“, „ნავთის გადასხმა ტუმბოებით“ და სხვა. აღნიშნულ ფილმებში გამოჩნდა არა მარტო ქართული ეროვნული კინოს საიმედო კონტურები, არამედ აგრეთვე გამოვლინდა ახალგაზრდა ოპერატორის ინტერნაციონალური სულისკვეთებაც. აღსანიშნავია ისიც, რომ ბაქოს ცხოვრების ამსახველ ფილმებში ვ. ამაშუკელმა გაბედულად გამოიყენა ქალაქის მუშათა კლასი, აჩვენა მისი მიმეტი შრომა და საყოფაცხოვრებო პირობები. სწორედ ამ ფილმში გამოჩნდა ოპერატორის უარყოფითი დამოკიდებულება მწავრულებისადმი და სიმპათიები დაჩაგრული უმრავლესობისადმი, რაც მის რევოლუციურ განწყობილებაზე მეტყველებდა.

ვ. ამაშუკელისა და მისი ფილმების მიზანი იყო უზარმაშო მშრომელი ადამიანების ყოფის, მათი მიმეტი შრომისა და ტყვეობის ასახვა. სწორედ ამან განაპირობა მისი ფილმებისადმი შეუნელებელი ინტერესი. ბაქოში მოღვაწე ბელგიელი კინომწარმოებელი პირონე თვალს ადევნებდა ამაშუკელის ფილმებს, მათ პოპულარობას და ხელშეკრულებას დაულო კ. მესხს ფილმების მიწოდებაზე...

1911 წელს ვ. ამაშუკელი მშობლიურ ქუთაისში დაბრუნდა, სადაც გუბერნატორის კანცელარიის ყოფილი თანამშრომლების ბავლე მეფისაშვილისა და ტინონ ასათიანის მიწვევით დაამონტაჟა კინოთეატრი „რადიოში“. — ასე გაიხსნა ქუთაისში პირველი კინოთეატრი.

მთუხედავად ხელმოკლეობისა, ვ. ამაშუკელს არასოდეს დაუკარგავს ენთუზიაზმი და არჩეული საქმისადმი წრფელი სიყვარული. იგი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა გაეფართოებინა შემოქმედებითი რეალი, უფრო მრავალფეროვნად აესახა მაშინდელი ქართული ყოფა და ქუთაისის ღირსშესანიშნაობანი. ამ ენთუზიაზმის წყალობით შეიქმნა ისეთი დოკუმენტური კინოფირმები, როგორცაა „ქუთაისის პეიზაჟები“, „ქვესურსისა ბაგრატიის ტაძრის ნანგრევებთან“, „ვ. ალექსან-მესხიშვილის იუბილე“, „გვირილობა“, „პარკის პანორამა“, „ხონის აბეგუმუსალები ფაბრიკის მუშაობა“ და სხვ.

ვ. ამაშუკელი შემოწამოთვლილი მოკლემეტრაჟიანი ფირმების დაარსებულა ქართული დოკუმენტური კინოს ფუძემდებლად, მაგრამ მისი სახელი განსაკუთრებით ძვირ-



ვასილ ამაშუკელის შემოქმედებით სილობზე. მარცხნიდან — კ. მიქაბერიძე, ო. სიფიაშვილი, ა. მამულაშვილი, ვ. ამაშუკელი, შ. ჩაგუნავა, ი. ნონიშვილი, კ. გოგოძე, გ. დლოძიძე, შ. ხომარტია, პ. წერეთელი.

ფასია იმით, რომ მან შექმნა სრულმეტრაჟიანი კინონარკვევი „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ — ფილმი ხალხის საყვარელ ადამიანზე, მისი გულისა და ფიქრების შესაიდუმლებზე. აღნიშნული ფილმი არა მარტო ვ. ამაშუკელის შემოქმედების გვირგვინია, არამედ ქართული დოკუმენტური ფილმის ბრწყინვალე ნიმუში, რომლის მნიშვნელობა სამართლიანად სცდება საქართველოს ფარგლებს.

მიუხედავად იმისა, რომ ფილმი გადაღებულია სამოცი წლის წინათ და ისიც პრიმიტიული აპარატით, იგი დღე საცე აღტაცებას იწვევს მიზანდასახულებითა და გემოვნებით შერჩეული კადრებით.

„აკაკის მოგზაურობით“ ვ. ამაშუკელი გვევლინება როგორც ჭეშმარიტი მხატვარი-ოპერატორი, რომლის ხელშიც მიძიმე და მოუქნელი კამერა დიდი ფერმწერის ფუნჯებით ხატავს სახალხო დღესასწაულის უმნიშვნელოვანეს დეტალებს. საქმე მარტო იმაში კი არ არის, რომ ფილმმა აღ-

ბეჭდა საქართველოს ბულბულის — აკაკი წერეთლის ცოცხალი სახე, არამედ ისიც, რომ პოეტთან ერთად კინოკადრებმა შთამომავლობას შემოუნახა იმდროინდელი ტიპაჟები, ხალხური ცეკვა-თამაშობანი და, საერთოდ, ის ეთნოგრაფიული თავისებურებანი, რითაც ასე მრავალფეროვანია რაჭა-ლეჩხუმი. ფილმის ღირსებაა, რომ მასში ყოველ კადრს თავისი ადგილი და დანიშნულება გააჩნია, რაც კიდევ უფრო მიმზიდველსა და საინტერესოს ხდის ამ ნაწარმოებს. ოპერატორი გადაღებისთვის საჭირო წერტილების შერჩევით, მსხვილი და საშუალო პლანების ოსტატური მონაცვლებით ქმნის ერთ საერთო გამას, რომელშიც ნათლად იკითხება ის დიდი სიყვარული და სახალხო პატივისცემა, რითაც გარემოსილი იყო აკაკი წერეთელი. მიუხედავად იმისა, რომ ფილმი მუხჯია, მაცურებლისთვის ყველაფერი მისაწვდომია და გასაგები. ყოველი კადრი მეტყველი და მრავლისმთქმელია, რაც კიდევ უფრო ნათლად ადასტურებს ვ. ამაშუკელის ჭეშმარიტ ხელოვნებას, მის

წერილობითი დოკუმენტი, რომელიც აღსატურებს, რომ ვ. ამაშუკელი 1908 წლის 15 მაისამდე იღებდა კინოსურათებს. ამ დოკუმენტში წერია: „აღმებრობითიანის ვ. ამაშუკელს. გთხოვთ დაუშვათ ჩვენი თანამშრომლები ჩვენი სტამბის მუშაობის პროცესზე თქვენს მიერ გადაღებული ფილმის განხილვაზე. ჩვენს მიერ დაბეჭდილი აფიშების ანგარიშზე. 15.V-1908 წ.“

მთ. პ. შიოშ. ჯიჯ. ამაშუკელს
 თქვენს აფიშებში ნათლად აღწერილია
 ვ. ამაშუკელის საქმიანობა ჩვენს ხელოვნებაში
 იმდროინდელი მუშაობის პროცესზე
 ძალიან მადლობა
 15/5 1908

მაყურებელთა დარბაზი.



მხატვრულ ალღოსა და ოპერატორულ ოსტატობას. „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ — ის დიდებულ კინოდოკუმენტა, რომელიც, სცილდება წმინდა დოკუმენტურობის ჩარჩოს, რადგან მასში უხვადაა გაბნეული მხატვრული კინემატოგრაფისათვის დამახასიათებელი დეტალები...

ამ ფილმის ადვილსა და მნიშვნელობაზე ქართულ კინემატოგრაფიაში, მისი ავტორის შემოქმედებაზე ვრცლად და შინაარსიანად ილაპარაკეს საღამოზე გამოსულმა ორატორებმა.

კ. გოგოძემ თავისი სიტყვის დასასრულს დაიმოწმა მსოფლიო კინოხელოვნების ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი, ფრანგი კინოკრიტიკოსი ჟორჟ სადული და თქვა: „ქართული კინემატოგრაფიის რევოლუციამდელ პერიოდზე მუშაობისას წერილობითი შეკითხვით მივმართე ჟორჟ სადულს, რომ ჩვენთვის ეცნობებინა ეგულებათ თუ არა მას რომელიმე ქვეყნის კინემატოგრაფიაში 1912 წლის ივლი-სამდე გადაღებული რომელიმე ისტორიული პიროვნებისადმი მიძღვნილი 1200-მეტრიანი დოკუმენტური ფილმი. მან საპასუხო ბარათით, რომელიც ჩემს პირად არქივშია დაცული, მიპასუხა: „ყველაფერი არ მახსოვს, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, 1912 წლამდე არც ერთ ქვეყანაში, არც ერთი ცნობილი პიროვნებისათვის არ მიძღვნიათ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი... ჩემი აზრით, არ არსებობს სამი ან მეტნაწილიანი დოკუმენტური ფილმი არც ანატოლ ფრანსზე, არც ანრი ბარბიუსზე და არც რომენ როლანზე, რომლებსაც, ჩემდა სასახელოდ, პირადადაც კარგად ვიცნობდი“.

ჟორჟ სადულმა საქართველოში მეორედ ჩამოსვლის დროს ნახა „აკაკის მოგზაურობა“ და კვლავ დაადასტურა თავისი ნათქვამი, — თქვა მომსენებელმა და დასძინა, — მომავალში აღმოჩნდება თუ არა ამ პერიოდის უფრო ფართო მასშტაბის დოკუმენტური ფილმი, მაინც უდავოა, რომ „აკაკის მოგზაურობა“ მსოფლიო კინემატოგრაფიის საგანძურში შედის და მის უნიკალურ ძეგლს წარმოადგენს“.

შემოქმედებით საღამოზე ვ. ამაშუკელს მივსალმნენ საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტიდან — პ. კობახიძე, კინემატოგრაფისტთა კავშირიდან — შ. ხომერიკი, დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიიდან — შ. ჩაგუნვა და ა. მამულაშვილი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი უ. ჯაფარიძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ა. ვასაძე, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ა. დვალისვილი, მწერალთა კავშირიდან — პოეტი ნ. ჩაჩავა, ქუთაისის სასოფლოდებრობის სახელით მ. ალაფიძე, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციის წარმომადგენლები ტ. ხავთასი და ო. გვაძე, მოგონებით გამოვიდა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი გ. კუპრაშვილი. დასასრულ აწვინეს ფილმი „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“.

შემოქმედებითი საღამოს დამსწრეთა გულწრფელი სურვილები თავს იყრდა ერთ აზრად — კვლავაც დიდხანს ტკბებოდეს ქართული კინოს პიონერი იმ სამო ნაყოფის ჭრეტით, რომლითაც მსხმარობს დღეს სრულმოსავლიანი, საქვეყნოდ განჩქმულ-აღიარებული ქართული საბჭოთა კინოს შემოქმედებითი ნერგი.



რების ნაკადის წარმომადგენლებისა და სხვათა წარმომადგენლები არის და არც არის ფრიოდისტული. მათსა და ფრიოდისტორის საერთო ტრაგიზმის განცდაა, რომლითაც გამსჭვალულია თანამედროვე დასავლეთის აზროვნება და ბურჟუაზიული კულტურის კრიზისის გამოხატავს.

ამრიგად, თუ ვილაპარაკებთ იმ გავლენაზე, რომელიც ფრიოდისტის მოძღვრებამ მოახდინა ხელოვნებაზე, მისი საფუძველი პირველ ყოვლისა უნდა ეკუთვნოდეს ფრიოდისტ ტრაგიკულის გაგების თავისებურებაში. ამიტომ აუცილებელია გაირკვეს, თუ რა ადგილი უკავია ტრაგიკულ ფრიოდისტის მსოფლმხედველობაში.

ტრაგიკული, როგორც ესთეტიკური კატეგორია, არ ყოფილა ფრიოდისტის კლავის უშუალო საგანი, მაგრამ ის, თუ როგორ იაზრება ფრიოდისტ ტრაგიკულის ადგილის ადამიანის ცხოვრებაში და როგორ ახსნას ალექს ტრაგიკულ ნაწარმოებებს, გარკვეულად ემხურება ესთეტიკურის იმ გაგებას, რომელიც იმდროინდელ გერმანულ ფილოსოფიაში იყო გავრცელებული, და ხელოვნებაში რომანტიზმს უკავშირდებოდა.

ტრაგიდიის კატეგორიას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გერმანული რომანტიზმის ესთეტიკაში, სადაც იგი მიჩნეულია მწვენიერების ხელშეწყობის უპირველეს ფორმად, ხოლო ტრაგიკული — ხელოვნების არასი ყველაზე სრულ გამოვლენად. ამას ნათლად ამჟღავნებს შელინგის თეორია.

შელინგის თვალსაზრისით, ტრაგიდიას უპირატესობა აქვს ხელოვნების ყველა სხვა ჯანრთან შედარებით, თვითონ ხელოვნებას კი მის ფილოსოფიურ სისტემაში პრივილეგირებული ადგილი ენიჭება. ხელოვნებაში მიმდევრა უსასრულოსა და სასრულის იგივეობა. ეს თვალსაზრისი შელინგის ფილოსოფიის ძირითადი ბირთვია. ამიტომ ხელოვნება, შელინგის აზრით, ფილოსოფიის მარადიული და წამდვილი ირგანია.

უსასრულოსა და სასრულის დაპირისპირებულობა (და იგივეობა) თავის განსაკუთრებულ ძალას იღებს აუცილებლობისა და თავისუფლების ურთიერთობაში. სწორედ პოეზია გამოხატავს ამ ურთიერთობას. ტრაგიკურებით მის უმაღლეს ფორმაში, რასაც დრამა და, უწინარეს ყოვლისა, ტრაგედია წარმოადგენს. ლირიკული — ამტკიცებს შელინგი, — უპირატესად ვლინდება თავისუფლება, ეპიკურში კი ბატონობს აუცილებლობა. ორი ფორმის სინთეზის მომხდენ ნაწარმოებში მოცემული უნდა იყოს ორივე საწყისი (აუცილებლობისა და თავისუფლების) წამდვილი ბრძოლა. „ხელოვნების უმაღლესი გამოვლენა უნდა იყოს ის, რომელშიც აუცილებლობა იმარჯვებს იმის გარეშე, რომ თავისუფლება აღმოჩნდეს დამარცხებული და, პირიქით, გამარჯვებას ზეიმობს თავისუფლება იმის გარეშე, რომ აუცილებელია აღმოჩნდეს დამარცხებული“. ხელოვნების ასეთ უმაღლეს გამოვლენას (რომელიც ეპიკურისა და ლირიკულის სინთეზს ახდენს) წარმოადგენს დრამა. ამასთან, დრამა შელინგთან არსებითად ტრაგედიაა.

ტრაგედიის არსად შელინგს მიაჩნია ბრძოლა სუბიექტურ თავისუფლებასა და ობიექტურ აუცილებლობას შორის; ბრძოლა, რომელშიც სრულიად განზრუნულია გამარჯვებული და დამარცხებული. ტრაგედიაში იმარჯვებს აუცილებლობა, რამდენადაც ტრაგედიის გმირი აუცილებლობით ხდება დამანაშვე; მაგრამ იმარჯვებს თავისუფლებაც, რამდენადაც გმირი საკუთარ თავზე თავისუფლად იღებს დამანაშვს, რომელიც ბედით იყო განსაზღვრული. „ამაში მდგომარეობს თავისუფლების უმაღლესი აზრი და გამარჯვება — ნებაყოფლობით აიჭანო აგრეთვე სასჯელი გარდაუვალი დამანაშულის გამო, რათა თავისუფლების თვით-

ტრაგიკულის ფრიოდისტული გაგების კრიტიკისათვის

ლალი ცერცვაძე

მეცხმე საუკუნის ბურჟუაზიული ხელოვნება მკვეთრად განსხვავდება ყველა სხვა დროის ხელოვნებისაგან. ამ განსხვავების საფუძველია ის სულიერი კრიზისი, რომელიც აღმოჩნდა ბურჟუაზიული საზოგადოება: ტრადიციული ღირებულებები გაუფასურდა, ძველმა იდეალებმა დაკარგა საყრდენი, შერყა რწმენა იმისა, რომ სამყარო და ადამიანის სიცოცხლე გონიერია. ადამიანს ეუფლება საკუთარი არსებობის აბსურდულობისა და ტრაგიკულობის განცდა, განიცდა იმისა, რომ კაცობრიობის კულტურა კატასტროფისაკენ მიემართება. თუ ადამიანის ქცევის განსაზღვრულ ინსტანციად ზეგონიზადი, იდეალური, მეტაფიზიკური სამყარო ითვლებოდა, ახლა ადამიანის ქცევის ამხსნელ მოტივებს ძებნა დაუწყეს ადამიანის სიღრმეში არსებულ ლტოლვებსა და მიდრეკილებებში. მე-20 საუკუნის დასაბურთა ხელოვნებამ, ბუნებრივია, შეისისლხობრა და თავისებურად გამოხატა თავისი ეპოქის ეს განწყობილება.

შემთხვევით არ იყო ის ფაქტი, რომ ამ პერიოდის ხელოვნებასა და ესთეტიკაზე მეტად დიდი გავლენა მოახდინა ზიგმუნდ ფრიოდისტის ფსიქოანალიტიკურმა თეორიამ, რომელიც, თავისი ეპოქის შესატყვისად, ადამიანის ყოფიერების ახსნას ცდილობდა არაცნობიერი მოტივებით. მსგავსება ბურჟუაზიული ხელოვნების არსებით პრინციპებსა და ფრიოდისტის მოძღვრებას შორის ეჭვს გარეშევა, თუმცა მათი კავშირი რთული ხასიათისაა: თუკი მე-20 საუკუნის ხელოვნების ზოგიერთი მოდერნისტული მიმდინარეობის წარმომადგენლები (მაგალიტად, სიურრეალისტები) თვითონ აცხადებენ, ფრიოდისტ თავის წინამძღვრად, ბევრი მათგანისთვის სრულიად უცნობი იყო ფსიქოანალიზი; ხოლო თვით ფრიოდისტი ბოლომდე გულგრილი დარჩა მოდერნისტული ხელოვნების მიმართ. შეიძლება ითქვას, რომ კავკას, ჯოისის, „სინთე-

დაკარგავთ დამატაციო ეს თავისუფლება და დაიღუპო იგი, რომ გამოაცხადო საკუთარი თავისუფალი ნება“.

სწორედ ასეთი ვითარება გაეცქის „ოიდიპოს მეფეში“. ბედისწარმა წინასწარ განასაზღვრა თიდიპოსის დანაშაულის. თიდიპოსი ებრძვის აუცილებლობას. მაგრამ დანაშაულს ჩაიდენს ბედისწერის ძალით და ისჯება ამ დანაშაულისათვის. გმირს, — აღნიშნავს შელინგი, — უნდა ებრძოდა ბედისწერის წინააღმდეგ, ხსენებდა არ იქნებოდა ბრძოლა, არ იქნებოდა თავისუფლების გამოხატულება: ამავე დროს გმირი უნდა დამარცხდეს იმაში, რაც აუცილებლობას ემორჩილება, მაგრამ აუცილებლობამ არა მარტო უნდა გაიმარჯვოს, არამედ ის უნდა დაამარცხოს კიდევ. — ამიტომ გმირმა ნებაყოფლობით უნდა გამოსისყიდოს წინასწარ განასაზღვრული დანაშაული.

ტრაგიკული განსაკუთრებული მნიშვნელობის, მისი როგორც თავისუფლებისა და აუცილებლობის დაპირისპირებისა და იგეგმვის და ტრაგიკული დანაშაულის შესახებ იდებმა შემდგომი განვითარება მკვიფრ ავგელის ესთეტიკაში. ჰეგელის მიხედვითაც, პოეზია ხელოვნების უმაღლესი ფორმაა, რომელიც აერთიანებს თავის თავში სახეთ და მუსიკალურ ხელოვნებათა უკიდურესობებს, ხოლო უმაღლესი საფეხური პოეზიისა და საერთოდ, ხელოვნების განვითარებაში არის დრამა. რომელიც აერთიანებს ეპოსის ობიექტურობას ლირიკის სუბიექტურ პრინციპებთან.

ტრაგიკული ნაშრომი თემა, ჰეგელის მიხედვით, არის ლეგალიზმი. მაგრამ ლეგალიზმი ტრაგედიაში ვლინდება არა იმ სახით, როგორც რელიგიურ ცნობიერებაში მოცემული, არამედ ადამიანთა მოღვაწეობის სახით. ამდენად, ტრაგედიაში ერთმანეთს უპირისპირდებიან განვითარებული ძალები. დაპირისპირებულ ძალებს საფუძვლით აქვთ, მაგრამ თავიანთი მიზნების მიღწევა მათ არ შეუძლიათ ერთმანეთის ურთიფის გარეშე. გასაგებია, რომ ამ ვითარებაში გმირს აუცილებლობით აწება დანაშაულის მიმეტი ტვირთი. მაგრამ ნაშრომი სუბსტანციური — ის, რაც სიზნაველედ უნდა იქცეს, არ არის განსაკუთრებულთა ბრძოლა. ტრაგედიაში ინდივიდები საკუთარ თავს ღუბავენ თავიანთი ნებისა და ხასიათის ცალმხრივობით, ამ იმით, რომ ემორჩილებიან გარდუვალობას, უნდა შეურიგდნენ იმას, რასაც ისინი სუბსტანციურად ეწინააღმდეგებოდნენ.

გერმანული ილასიკური იდეალიზმისათვის ტრაგიკულის მნიშვნელობის აღიარება არ მოსაწყვება ტრაგიკისმა და პიქსიზმს, რადგან თვითონ ტრაგედია გაგებული იყო ოპტიმისტურად-როგორც სუბსტანციური ძალების გამარჯობის გამოვლენის აუცილებლობისა და თავისუფლების, უსასურროსა და სასრულის ერთიანობის გამომყვანების საშუალებად. გერმანული იდეალიზმის გვიანდელ წარმომადგენლებთან (ა. შოპენაუერი, ფ. ნიეშე) ტრაგიკში მისაფხმებდებლობის დამახასიათებელი ნიშნია.

XIX-XX საუკუნეებში ტრაგიკული უპირატესად განიხილება როგორც ადამიანური ყოფიერების, ხოლო შოგჯერ — როგორც სამყაროს ერთ-ერთი მომენტის. ეს ტენდენციას ნათლად გამოხატა მ. შელერმა, რომელიც წერდა: „ტრაგიკული ფუნქციონირებაში პიროვნება არ შეიძლება ხელოვნების ანალიზიდან. ტრაგიკული არის თვით უივერსულის არსებითი ელემენტი. ტრაგიკული არის თვითონ სამყაროს გარკვეულთა“ ამდენად, როდესაც ლაპარაკობენ ტრაგიკულისა თუ იმ გაგებაზე, მხედველობაში აქვთ უმთავრესად არა ის, თუ როგორ არის ტრაგიკული დახასიათებული მოცემულ კონცეფციაში, როგორც ხელოვნების ფუნქციონირება, არამედ ის, თუ როგორ გაიხატება მასში ტრაგიკულის ადგილი ადამიანის ცხოვრებაში და, საერთოდ, სამყაროში. როდესაც ტრაგიკულის ფორიდიისეულ გაგებაზე მსჯელობენ, ამ შემთხვევა-

შიც, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობენ ადამიანის ფორიდიისეულ კონცეფციას და იმ შესაძლებლობებს, რასაც ეს კონცეფცია იძლევა ტრაგიკულის გააზრებისათვის.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ტრაგიკულის გააზრებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, როგორ არის წარმოდგენილი ადამიანის თავისუფლებისა და აუცილებლობის ურთიერთობა. თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ ფრიოდის კონცეფციას, ვნახავთ, რომ შეურიგებელი კონფლიქტია ადამიანის მისწრაფებებსა და იმ აუცილებელ ნორმებს შორის, რომლებიც წინ უდგანან ამ მისწრაფებების განხორციელებას. ფრიოდის მიხედვით, ადამიანის მისწრაფებებიც აუცილებლობით მოქმედებენ მასში; ამდენად, ისინი არ ტოვებენ ადგილს ადამიანის თავისუფლებისათვის, მაგრამ ისინი მაინც მისი მისწრაფებები, მისი ლტოლვებია, რომელთა დაკმაყოფილებაზე არის დამოკიდებული ადამიანის ბედნიერება.

ფრიოდის მიხედვით, ადამიანში მოქმედი ძალები სიცოცხლის ლტოლვა ერთსა და აგრესიის ინსტიქტია. პიროვნება არ ირ ინსტიქტს შორის, რომელიც საზოგადოებაში მიმდინარეობს. „წარმოდგენს საერთოდ ცხოვრების არსებით შინაარსს და ამიტომ კულტურის განვითარებისათვის შეიძლება უბრალოდ გვეწოდებინა ადამიანის მოდების პირობა არსებობისათვის“. — წერდა ფრიოდი.

ზ. ფრიოდის ზრით, კულტურა, ცივილიზაცია ადამიანზე უარყოფითად მოქმედებს; რომ ადამიანთა უბედურების უბედესი ნაწილი კულტურით არის გამოწვეული და ადამიანი უფრო ბედნიერი იქნებოდა, თუ უარს იტყუდა ამ კულტურაზე და პირველყოფილ პირობებს აღადგენდა. მაგრამ ფრიოდი არ უარყოფს იმ მნიშვნელობას, რაც ადამიანის სიცოცხლისათვის აქვს უზუნებაზე გაბატონების მისწრაფებას; თუქცა იმასაც აღინშნავს, რომ „გაბატონება ბუნებაზე არ წარმოადგენს ადამიანთა ბედნიერების ერთადერთ პირობას“.

ამრიგად, ფრიოდის მიხედვით, ადამიანის პოზიტიურ მისწრაფებას, მისთვის ბედნიერების მომტან ლტოლვას წარმოადგენს სიცოცხლისადმი ლტოლვა, რომელიც სქეპტიკიზმისაგან უკლებლად დაიყვანება. კულტურას ფრიოდი განიხილავს როგორც უარყოფით ფაქტს. ამდენად ფრიოდის მიმდებრებაში თითქმის არა რჩება ადგილი ნაშრომი ტრაგიკულისათვის. ადამიანის ბიოლოგისტური გაგება, ხელსაყრელ ნიადაგს ვერ ქმნის ტრაგიკულის გასააზრებლად, რომელიც წარმოადგენს ამდღებულის სახეს. ტრაგიკულის გარკვეული გაგებისათვის ფრიოდის მიმდებრება საშუალებას იძლევა იმდენად, რამდენადაც იგი ეყრდნობა ბუნების სიცოცხლისა და კულტურის დაპირისპირებლობის აღიარებას და არაპირდაპირ აცნობიერებს კულტურის აუცილებლობასაც, იმას, რომ კულტურაზე უარს თქმის ისევე უტანელია ადამიანისათვის, როგორც სასიცოცხლო ლტოლვის დაკმაყოფილებლობა. იმის აღიარებას, რომ ადამიანის მისწრაფებები არ შეიძლება წინიდა ბიოლოგიური მისწრაფებები შეიზიდულოს, წარმოადგენს თუნდაც ის, რომ ფრიოდი ლაპარაკობს ღირებულ და არაღირებულ სიყვარულზე და არჩევანის მნიშვნელობაზე ამ განსხვავებისათვის. „სიყვარული, — წერს ფრიოდი, — რომელიც არჩევანს არ აკეთებს, კარგად საკუთარ ღირებულებას, რადგან ის არ არის სამართლიანი ობიექტის მიმართ“.

ზ. ფრიოდი არ გამყოფილდება სიცოცხლისა და კულტურის დაპირისპირებით, მათ შორის კონფლიქტის აღიარებით. იგი იგულისხმებს კონფლიქტის შეწყვეტას და მისი მოგვარების საშუალებებს ადამიანის ცხოვრებაში. „სიცოცხლე, ისე როგორც იგი ჩვენ ვგვიძლევს, — წერს ფრიოდი, — ძლიერ მძიმეა, მას ჩვეთთვის იმაქვს საკმაოდ ბევრი ტკივილი, გულგატეხილობა, გადაუწყვეტელი პრობლემები; იმისა-



თვის, რომ ასეთ ცხოვრებას გაუძლო, იძულებული ვართ მივ-
მართო ისეთ საშუალებებს, რომლებიც შემსუბუქებას მო-
გვცემდნენ“. ფრიდლი ფიქრობს, რომ ასეთი შემცველი
საშუალება სიაზოვნების არის ის, რაც შევადგინებინებს ნა-
კლები ყურადღება მივაქციოთ ჩვენს უბედურებას. ასეთი
შემცველი კი, ფრიდლის მიხედვით, არის ხელოვნება.

ფრიდლი აცხადებს, რომ ხელოვნების ნაწარმოებს არ
ქმნის ბედნიერი ადამიანი. ჩვენ ვფიქრობთ, აქ ერთი მო-
მენტია გასათვალისწინებელი: ფრიდლი ყურადღებას არ
აქცევს იმას, რომ შემოქმედნი თავის ქმნილებებში თუმცა
გაიმხატვლეს საუთარი ტკივილსა და გაიცდილოს, მაგრამ ამა-
ვე დროს იგი თავისი სიხარულის გამოხმატველიც არის.
უილიამ როუსს მიაჩნია რომ შოპენაჰუერის აზრს „რომ
არ ყოფილიყო სიკვდილი, არ იქნებოდა ფილოსოფია“ —
თავისებურად ეხმაურება ზ. ფრიდლი, უკანასკნელის თვალ-
საზრისთანავე ახლოს დგას თ. მანი, რომლის თანახმად —
რომ არ ყოფილიყო სიკვდილი, არ იქნებოდა შემოქმედება.
ეს თვალსაზრისი ჩამოყალიბდა თ. მანის „ჯადოსნურ მთა-
ში“, სადაც ნათქვამია: „ისეთი ჩვეულებრივი ფაქტის გა-
რეშე, როგორც არის სიკვდილი, არ იქნებოდა არც არქი-
ტექტურა. არც ფერწერა, არც საკულტურო, არც მუსიკა და
არც პოეზიის ხელოვნება“. თ. მანსე ფრიდლის მოძღვრების
გარკვეული გავლენის მიუხედავად (რასაც თვით მწერალი
არაერთგზის აღნიშნავს) შეიძლება ითქვას, რომ თ. მანი-
თან სიკვდილის საკითხის ასეთი დავებნა მკვეთრად განს-
ხვდება ზ. ფრიდლის თვალსაზრისისაგან, რადგან, მანის
მიხედვით, ხელოვნის შემოქმედების საშუალებით მისწრა-
ვანი უკვდავებისაკენ, სიკვდილის დამოკიდისაკენ. ფრიდლი
თან კი სიკვდილს დამანერველი ინსტინქტია, ხოლო ხე-
ლოვნება რელიგიური გაქცევის საშუალება სიკვდილზე
მისწრაფების სუბლიმიერული დაქმნაყოფილების საშუ-
ალებია.

ადამიანის სიცოცხლისეული ძალებისა და საზოგადოე-
ბრიუ აკრძალვათა შორის წინააღმდეგობა ფრიდლთან ინ-
ექსტივების მისწრაფებისა და მის აკრძალვათა შორის კო-
ნფლიქტის სახეს იღებს. პირველიყოფილი საზოგადოების
შესწავლადან ცნობილი ინცესტის (სისხლის ადრეგის) აკრ-
ძალვის ფაქტს ფრიდლი იმისათვის იყენებს, რომ დაამტკი-
ცოს, თითქოს ყოველ ადამიანში არსებობდეს ე. წ. ოიდი-
პოსის კომპლექსი, ე. ი. დედის დაუფლებისა და მამის
მკვლელობის მისწრაფება. ინცესტის მკაცრი აკრძალვა,
ფრიდლის მიხედვით, მიწოდებს იმ ლტოლვის სილიერეს,
რომელსაც ეს აკრძალვა ეხება. ეს კომპლექსი, — ამტკიცებს
ფრიდლი, — ადამიანში იწვევს დანაშაულის გრძობას.
ფრიდლი თავის „მოკვ და მონთატივტის რელიგიასა“ და
სხვა გამოკვლევებში ასკვნის, რომ კაცობრიობის წინა
ისტორიაში ადამიანებმა განახორციელეს მამისმკვლელობის
მისწრაფება და მათში აძლიერებეს დანაშაულის გრძობას.
ოიდიპოსის კომპლექსი და მასთან დაკავშირებული დანა-
შაულის გრძობა, ფრიდლის მიხედვით საუფლებად უდევს
კაცობრიობის ისტორიას, ადამიანის მთელ შემოქმედებას.
ის არის ტრაგიკულის, ადამიანის ტრაგიკული ბედის საფუ-
ძველიც.

ხელოვნების ნაწარმოების განხილვისას ფრიდლის ყუ-
რადღება იქითკენ არის მიმართული, რომ მათში გამოავ-
ლინოს ოიდიპოსის კომპლექსის ელემენტები და მათზე და-
იყვანოს ხელოვნების ქმნილების შინაარსი. ფრიდლი
შინაარსში სხნის ხელოვნების შემოქმედებას და მის აღ-
ქმას. ამ ასპექტით განიხილავს იგი სოფოკლეს „ოიდიპოს
მეფეს“, შექსპირის „ლედი მაკბეტს“, „მეფე ლირას“, „ჰამ-
ლეტს“ და „ვენეციელ ბაჭარს“, პოფმანის „ქვიშის კაცს“,
იბსენის „როსტრისპოლმს“, სადაც, ფრიდლის მიხედვით,
ხედავთ ერთი და იგივე თემის სხვადასხვა ვარიანტს. შექ-

სპირის ამ იბსენის ტრაგიკული კოლიზია ფრიდლს ანაგრა-
თად ე. წ. ოიდიპოსის კომპლექსზე დაჰყავს და მისი გმირ-
ის მოქმედების მიღმა ვერ ხედავს ვერავითარ ამალღებულ
მოტივებს. ასევე პოფმანის გაორბულ სამყაროს ის მხო-
ლოდ ქვეყნელს ამჩნევს და მხედველობის გარეშე რჩება
ამალღებულ და იდეალური, ურობისოდაც წარმოუდგე-
ნელია პოფმანი.

ტრაგიკულის ფრიდიდისეული განხილვის თავისებურე-
ბაში გასარკვევად შეიჩნერდებით მის მიერ სოფოკლეს „ოი-
დიპოსის“, შექსპირის „ჰამლეტისა“ და ლიტონისეის
„კარამაზოფების“ ინტერპრეტაციებზე. ვიდრე ამ თავისებუ-
რებას დაეახსიათბებდეთ, საჭიროა გავარკვიოთ, რამდენად
შეიძლება მიზანშემწილი იყოს ცალკეული ტრაგიკული ხა-
სიათის ნაწარმოებების განხილვა ტრაგიკულის პრობლემის
გადასაჭერლად. მით უმეტეს თუ ეს ნაწარმოებები ფრიდლის
მიერ ტენდენციურადაა შერჩეული. ერთი შენიშვნა, რომელ-
საც ამერიკელი მკვლევარი სიდნი ფინკელსტანი აკეთებს
ხელოვნების ფსიქოანალიტურ გავების მიმართ, სწორედ
ასეთ ეჭვს გამოთქვამს: „ფრიდლი ეყვარება იმ ფაქტს, რომ
სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“, შექსპირის „ჰამლეტი“ და
ლიტონისეის „მძიმე კარამაზოფები“ აღწერილ მამისმკვლე-
ლობის შემთხვევებს და ეგოთაგაზობს თეთრიან, რომლის
მიხედვითაც „ოიდიპოსის კომპლექსი“ წარმოადგენს ხე-
ლოვნების წამყვან თემას. მას არ აწუხებს ის ფაქტი, რომ
ორასწარმოვდაიი ხსება ბერძნული დრამა, ელისაბედის
ეპოქის რამდენიმე ათასი ინგლისური პიესა და უამრავი
რუსული რომანი სრულიად არ ეხება ამ თემას. კანონი აღ-
მოჩენილია“.

ამ შენიშვნის შესახებ უნდა ითქვას: რა თქმა უნდა, რამ-
დენადღაც კანონს უზოგადობს ახსიათბებს, ხელოვნებისათვის
დადგენილი კანონი ლიტერატურაზეც უნდა ვერცვლდებო-
დეს. მითინადა, მაგრამ, ფრიდლის მიხედვით, ზოგ შმობ
სიკვდილს სრულიადგან არ არის საგაღმდეგო თვალსაზრისი
იყოს მოცემული მამისმკვლელობის თემა, რადგან იგი ანა-
ლოგის შედგენა ყველა ნაწარმოებში მაინც „ადმოარჩენს“
მამისმკვლელობის არაცნობიერ ინსტინქტს და ამდენად მის
კანონი ძალაში დარჩება. ეტივე მხრივ, თუ სხვადასხვა
ეპოქის ყველაზე მნიშვნელოვან პიესებში ნაწარმოებში აღ-
მოჩნდება რაღაც იგივეობრივი. ამასთან, არა აუცილებლად
მამისმკვლელობის თემა, არამედ, ის, რაც არსებითია
„ოიდიპოსის კომპლექსის“ გამოვლენისათვის, ეს უკვე გარ-
კვეული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა. ამი-
ტკი მართებულად იქნება საკითხის დამს ამგვარად. წარ-
მოადგენთ თუ არა ფრიდლის მიერ განხილული ნაწარმოე-
ბები „ოიდიპოსის კომპლექსის“ არაცნობიერ გამოვლენებს.
ამაზე სასუხის გაცემით გაირკვევა თუ რამდენად არსებობს
ხელოვნებისათვის ფრიდიდისეული „ოიდიპოსის კომპლექსი“.

ზ. ფრიდლი აღნიშნავს, რომ სამი სხვადასხვა დროის
ხელოვნულად დაწერილი ლიტერატურულ ქმნილებებში —
„ოიდიპოსში“, „ჰამლეტსა“ და „მძიმე კარამაზოფებში“
მამისმკვლელობა ქალის გამო სექსუალური მეტოქობისთან
არის დაკავშირებული. ფრიდლი თვლის, რომ მთავარი მო-
ტივი ამ ტრაგედიაში შეღამაზებულია, რადგან ამას მთი-
მხოვს საერთოდ პოეტური ქმნილება და გმირის საქცილის
გაუცნობიერებელი მიზეზი. ეს მოტივები „ყველაზე უფრო
მართებულად, რა თქმა უნდა, გამოხატულია ბერძნულ ლე-
გინდაზე აგებულ დრამაში. აქ გმირმა თვითონ ჩაიღიმა მო-
ქმედება, მაგრამ გვეჩვენება, თითქოს მისი პოეტური დამუ-
შავება შეუძლებელია შეუმსუბუქებლად და დაუფარავად.
შოპენაჰუერი აღიარებს მამისმკვლელობის განხილვისას ანალი-
ტიკური შემზადების გარეშე შეუძლებლად მიგვანია. „ოიდი-
პოსში“ გმირი თითქოს წინასწარ განზრახვისა და ქალის
გავლენის გარეშე სწადის მოქმედებას, მაგრამ შეუძლებე-



ლია მხედველობაში არ მივიღოთ ის, რომ ნაწარმოების ლოგიკით, ოიდიოსმა შეიძლება მოიპოვოს დედა-დედოფალი მოქმედების გამოვლინების გზით ურჩხულის მიხარო, რომელიც მამის სისძოლოს წარმოადგენს.

მას შემდეგ, რაც მის მიერ ჩადენილი საქციელი გაიხსნა, დანაშაული აღიარებულია და ხანძენობა, როგორც ცნობიერი დანაშაული, რაც ლოგიკას არასამართლიანად უხდა მიუჩვენებს, მაგრამ ფსიქოლოგიურად მთლიანად გამართლებულია.

ფრიდი ფსიქოლოგიურ სიმართლეს ხედავს ოიდიოსის თვითდასჯაში და ამ მოქმედებას კასტრაციის შექცეულად თვლის.

ამგარე და, „ოიდიოს მეფეში“ თვითდასჯა წარმოადგენს საკუთარი თავის ნებაყოფლობით კასტრირებას, როგორც სახელოს ჩადენილი საქციელისათვის.

ფრიდი მიჩნეობს, რომ „ოიდიოს მეფე“ მაცურებელზე ზეგავლენას ახდენს იმით, რომ მაცურებელი თვითდასჯის საშუალებით საკუთარ თავზეც ადამიანებს ოიდიოსის კომპლექსს—მამის ჩამოცილებისა და დედის დაფულების დაფორულ სურვილს. მწარალი მიუთითებს მათზეც: „ვენ დამხანავე ხარ, რადგან ვერ შეხვედი საკუთარ თავში დანაშაულ განხრებათა მოსაპობა, რადგან ეს სურვილები შეშინი არახიბობიერად რჩებიან. ამანა ფრიდის მიხედვით, სოფოლეს უდიდესი ფსიქოლოგიური სიმართლეა.

ანტიკურ ტრაგიკადის მკვლევარებმა მამის ხედავენ ბედისწერის გარღვევალი კანონის მოქმედების გამოხატვას, რომლის წინაშე ადამიანი უძლური ჩაას. ანტიკური ტრაგიკადის ფრიდიდისეული ინტერპრეტაციით ბედისწერის ადგილს იკავებს არაცნობიერი სულიერი მექანიზმი, რომლის წინაშეც უძლურია ადამიანი. მაგრამ თუ ანტიკურ ტრაგიკადის წინაშე ადამიანს ჰქონდა ბედისწერის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება, ფრიდიდისეული ადამიანი განაზრადებულია, რადგან მას არაფერი იცის არაცნობიერის ბატონობის შესახებ და კიდევ რომ იცოდეს, ვინაფერს გააკეთებო. თუ ბედისწერის გარღვევლის მიერ დამარცხებული ოიდიოსის შექცეული თავი დაიასკოს, ფრიდიდისეულ ადამიანს ამის გაკეთება არ ძალუხს ნებაყოფლობით. ფრიდიდის თვალსაზრისით არ შეუძლია ახსნას ბერძნული ტრაგიკადის თვალსებურება — მისი გმირული ხასიათი, გაცირული სულისკვეთება. „ანტიკური ტრაგიკადის გმირი აუცილებლობია კალაპოტში მოქმედებს. მას არ შეუძლია აუცილებელს აცდენა. მაგრამ იბრძვის, მოქმედებს და მხოლოდ თავისი თავისუფლებით, თავისი მოქმედებით ანხორციელებს იმას, რაც უხდა მოხდეს. ანტიკური გმირის აუცილებლობა კი არ უზიძებეს კვანძის გახსნასაკენ, არამედ საკუთარი თავი. აცნობიერებს და აუცილებლობას, იგი თავისუფლად მოქმედებს აუცილებლობის სამეფოში მანიჭეს, რთხვევს მისთვის ცნობილი დაღუპვის გარდაუვალობა. ის განაწარული არსება კი არ არის, არამედ თავისუფლად, დამოუკიდებლად დმერთების ნების, აუცილებლობის შესაბამისად მოქმედებს გმირი“.

ფრიდის მიჩანია, რომ „ოიდიოსში“ მამისმკვლელობის მოტივი დაფარულია, რადგან ოიდიოსმა არ იცის, რომ მამას კლავს და ინცესტთან კმ დანაშაულის კავშირიც ნაალოდ არ ჩანს. „ჰამლეტში“ კი მამას კლავს სხვა, ხოლო ოიდიოსის კომპლექსი მქდაფებდა მკვლელობის ამიბიავლებიერ დამოკიდებულებაში. იაცესტის მოტივის არსებობასაც აქ საკმაოდ რთული, არაპირობადიერი გუგუბი სჭირდება დასაბუთებისათვის. „ოიდიოსის კომპლექსი“, — წერს ფრიდი, — ვხედავთ აგრეთვე რეფლექტიური სხივით, თუ სხვას მოქმედებას გმირს მივაკუთვნებთ. მას სურდა წერილისძიება, მაგრამ არ ძალუხს თვით შეშინების იგი. ჩვენ ვიციტ დანაშაულის ის ცნობიერება, რომელიც მას აბრკოლებს. ნეგროტიულ შემთხვევაში, ყველაზე თავშეკავებულ

მოქმედებაში. დანაშაულის გრძობა უკავშირდება ამოცანის შესრულების შეუძლებლობის აღქმას და აღმოჩნდება, რომ გმირი ამ დანაშაულს აღიქვამს როგორც ზინიდიდეულადღრეს: მას მამულ სხევი არახალკულ საკუთარი თავისა“.

ფრიდიდათვის თითქმის ყოველთვის მოხსნილია დრო, ადამიანის მოქმედებას, მის მიხედვით, ზედროული კაბონი გახსნებურავს, ზედროული ხასიათი უქვს. ადამიანთა ერთადერთი დროული განსხვავება, რომელსაც ფრიდიდისეული კონცეფცია ცნობს, ეს არის განსხვავება პირველყოფილ საზოგადოებასა და დანარჩენ საზოგადოებათა შორის. ამიტომ „ოიდიოსისა“ და „ჰამლეტის“ შორის ფრიდიდათვის არ არსებობს არსებითი განსხვავება — ტრაგიკულის მიზეზი კი ერთი და იგივეა.

მაგრამ ტრაგიკულის ვააზრება ალორინების ხანაში სხვაგვარია, ვიდრე ანტიკურ ეპოქაში. ტრაგიზმი გვიანდელი ალორინების ეპოქაში ჰუმანისტური იდეალებიანსა და ბურჟუაზიული ინდივიდუალის კონფლიქტის სურდეგია. სწორედ ეს კონფლიქტი გამოხატვს რამდენ, უნდა ვახტვამა, შეესაბიება. იგივე კონფლიქტი მთელი სიმწკვავეთ არის გამოხატული შექმანის „ჰამლეტში“.

ჰამლეტის ტრაგიკადია კარგად დაახასიათა ბელონკიმ. „ჰამლეტმა, — წერდა იგი, — დანახა, რომ ოცნება სიციცხლზე და თვით ცხოვრება სრულიად არ არის ერთი და იგივე. რწმენა იყო ჰამლეტის სიციცხლე და ეს რწმენა მოკვდა, ან ძლიერ შეირყა, რადგან მან დანახა საწყარა და ადამიანი არა ისეთი, როგორიც მას უხნოდა ქცლია, არამედ როგორიც ნამდვილად არის მათი არახება“. და ეს იყო არა მარტო ჰამლეტის, არამედ მთელი ჰუმანიზმის ტრაგედია.

ფრიდიდის კონცეფციის საფუძველზე შეუძლებელია ტრაგიკულის ადგენილი ვააზრება. მისთვის ყოველგვარი ტრაგიკადია, ისევე, როგორც ხელოვნების ყოველგვარი ხაწარმოებს, ერთი სეება — „ოიდიოსის კომპლექსი“ უდევს საფუძველად. იგი აგრეთვე ამ სეების საფუძველზე ცდილობს ახსნას დობტრეების შემოქმედება, მასში გამოხატული ტრაგიკულო კონფლიქტებით.

ფრიდიდის თვლის, რომ „ძმები კარმაზოვები“ წარმოადგენს ახალ ნაბიჯს მამისმკვლელობის და ინცესტის თემის გამოყენებისათვის „ოიდიოსისა და „ჰამლეტის“ შემდეგის, ვინც „კარმაზოვებში“ მკვლელობას ანხორციელებს (სმერდიანოვი), თვითონ შეიღია (მოკლულის), ხოლო ხაწარმოები მოლიანად იმის დასაბუთებას ეხსახურება, რომ მკვლელობები დანაშაუვა ყველა მძა. ფრიდიდის თანახმად, დოსტოევსკის ნაწარმოებებში აჰკარად არის გამოთვლილი აგრეთვე ქალის გამო ქეშობის მოტივებიც (დიმიტროსა და თეოდორეს შორის). ყველაფერი ეს სწორია, მაგრამ საკითხია: მამისმკვლელობა გმირთა სულიერი ცხოვრების უფრო ღრმა ფენის — სულიერი კრიზისის, შეიძლება, ეტოქის კრიზისის გამოვლენას ეხსახურება, თუ ყოველგვარი ლაპარაკი ეშმაკსა და ინევიზიტორზე, ბავშვის ცრემლსა და ყველაფრის დაშვებაზე მხოლოდ ფარდაა, რომელიც მიღმა იმალება ადამიანისათვის ეწყლად ასახანი ექშმარიტება აგრესიულ და ლიბიდოზურ ინსტინქტთა ყოვლისშემკვლელობის შესახებ.

ფრიდიდის არ გამაყოფილებდა იმით, რომ აჩვენოს ოიდიოსის კომპლექსის არსებობა ლიტერატურულ ნაწარმოებებში. მისი აზრით, ეს კომპლექსი თვით მოქმედების განმაპირობებელიც არის. ფრიდიდის წერს: „მკვლელობა ჩაინდინა არა დიმიტრიმ, არამედ „სხვა“ მამა, რომელსაც დოსტოევსკიმ საოცარი ძალით მიაწერა საკუთარი ავადმყოფობა—ფსევდო ეპილეფსია. მას თითქმის სურს აღიაროს ეპილეტიკი და ნევროტიკი ჩემში მამისმკვლელებს წარმო-



ადგენს“. ფრიოდ ათვის მსკლუმბაში უფრო შორს მიდის. იგი თვლის, რომ უსაზღვრო დისტოეკის სიმბათიები ბორტომოქედებისადმი. იგი გადადის თანაგრძობის სა-ზღვარს, რომელზეც დამნაშავე შეიძლება ჰქონდეს პრე-ტენზია, დისტოეკისათვის, — წერს ფრიოდი, — დამნაშავე წარმოსდგება თითქმის როგორც განმათავისუფლებელი, რომელმაც თავის თავზე აიღო მის დანაშაული, რომელიც, წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვებს უნდა მიეღოთ. არ არის საჭირო მტეი მკვლელობა მას შემდეგ, რაც მან უკვე მოკლა, უნდა ვიყო მისი მადლიერი, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ მოვიგვარებ მისი მოკლა. ეს არ არის მხოლოდ თანაგრძობა, ეს არის იდენტოეკიაცია მკვლელობისადმი ერთნაირი იმპულსების საფუძველზე...”

მსკლუმბის ასეთი თავისებურიდან გამომდინარე, ფრიოდი უყოფიანოდ დასკვნის: „მეცხე გარემოა, რომ დონ — იდენტოეკიაციის სიმბათიამ მოახდინა გულენა დონ-სტოეკის გადაწყვეტილებებზე მის მიერ მასალის შერჩევის დროს. იგი დანაწილებს აღწერდა საძველ მკვლელს, პოლიტიკურს და რელიგიურ დამნაშავეს, თავისი სიცოცხლის მიჯლის კი მიუბრუნდა ჰუმანიტარულ დამნაშავეს — მამის ბოლოს და მასში მოეცა გიოსტორი აღსარება“.

შეიძლება მისი პოეტური ქმნილება მართლაც შეიძლება ჩაითვალოს მის აღსარებად. დისტოეკის ნაწარმოებები მწერლის სულიერი ტკივილის გამოხატულებაა. იგი გულერილი არ არის ემოქის თანხმობები სულიერი კრიზისისადმი. „ჩვედამტეც წლის გოგონად როდის მოსაწირ ასე გაწამება. რატომ მოივლა თავი?“ — კითხვობს დისტოეკი და აღნიშნავს, რომ სწორედ ამასი მდგომარეობის „საუკუნის საბოლოო კითხვა“, რადგან მის გმირებს აქვთ წუხილი „სიცოცხლის უმადლეს სახარისზე“.

დისტოეკი ყოველგვარ ფანტასტიურზე მალა აყენება ცხოვრებისეულ ფაქტებს და ადგენდა მისი აქტიუ-მადლეს წყაროს ჯაოსთადგება და სიხამადილა, როსიულ აღდასვე იყო უსაბარტოთი, მკვლელობით, ძრუშობით.

მათალია, რომ რომანში არის მათა შორის ქიშობა და მამასობა მტეიქობა ქალის გამო, მაგრამ ამის საფუძველი ვერცა წოდებდა არაფორბიერი კომპლექსი რომ იყოს, ეს ადამიანები, რომლებსაც თითქმის დაკარგული აქვთ ადამიანური სახე, არაფორბი გამოიჩენიან ცხოველებსაგან. დისტოეკისმ კარგად იცის ადამიანის ფსიქოლოგია და მისი შესაძლებლობა, ის, თუ რა აქცევს ადამიანს ადამიანად და რა აუძღურებს და დასცემს ცხოველის დიხომდე. ამიტომ თვედორე კარამაზოვის მასათი და აღწერაში შეიძლება შევიცინო ფრიოდისეული ნვეტორიკე ადამიანის ფსიქოლოგია, რომელიც მწერალს სჭირდება ყოველივე მალეს მოკლებული პერსონაჟის გამოსახატავად. მისი მკვლელობა არის არა მამისეულიების მარადიული სურვილის, არამედ სოციალურ-ფსიქოლოგიური დრამის გამოვლინება, რადგან დაბნეული, ყოველგვარ სიმანხივებს ნათარები მისი შვილები თავს ვეღარ აღწევენ სიძველეს. „გამონახტეს რა რომანში ქცევას და აზროფების წოდებრე ნორმათა კრიზისს, ძველი ზნეობრივი და რელიგიური კაცობრივებსა და იდეალების რვევას, დისტოეკიაც აღწევს უდრებს მამისეულედ ძალას და თითქმის შექსპირისეულ ტრაგიზმს“.

დისტოეკის არის ის მწერალი, რომლის ნაწარმოებებში მკვეთრედ დგას ადამიანთა ტრაგიკული ზედის პრობლემა. მის გმირებს აწვალბთ საკითხი: „თუ არის ღმერთი და სიკვლე, მაშინ ვინ დაუშვა, რომ პატარა ბავშვი დედის დედოფნი ძალბებმა დაეღოვრა“, რატომ არის დანაშაული და სასჯელი, რატომ არიან დამცირებულნი და შურადაცყოფილნი...

როგორ უნდა შევავსოთ ფრიოდის კონცეფციის კულთის პრობლემის თვალსაზრისით?

ფრიოდის კონცეფციის მკვლევარი ჰუმანი ატიციებს, რომ ანტიკური ტრაგედიის ფუძელ სწორედ ფრიოდის მოთვევა ადამიანის ისეთი ბავება, რომელიც ტრაგედიის მსოფლმხედველობრივ საფუძველად შეიძლება გამოდგეს. ფრიოდის უყოფლმხედველობაში მოცემულია ტრაგიკულის გაზარების ასოციაციები პირობა: ადამიანის არსებით ტუნდენციების განხორციელების შეუძლებლობის აღიარება. ტრაგიკულს, — წერს ადამიანული ავტორი, — გამოირჩევა ეს კრისტიალური მსოფლმხედველობა (რანდენდალ-ქრისტე, ამ მსოფლგაგების მიხედვით, თავისი ნაშაპაციით თავის თავზე იღებს ადამიანის დანაშაულის დამასყიდვას) და ახალი დროის მექანიკური დეტერმინიზმიც (რანდენდალ-და იგი არ უშვებს ხების არ არჩევს თავისუფლებას და არც ტანჯავს, ვინაიდან განცდა უაზრო ხდება, როდესაც ჩვენ ყველაფერი ვგვისმის და ყველაფერს ვაპატებთ“. მხოლოდ ფრიოდისეული კონცეფცია, რომელიც ემყარება ადამიანის სასიცოცხლო ძალებისა და საზოგადოების, საზოგადოებრივ აგრძალებათა შორის მეურთეველი კონფლიქტის აღიარებას, თითქმის ხელსაყრედ ატმოსფეროს ტრაგიკულისათვის.

ფრიოდის თვალსაზრისის ასეთი შეფასება, რა თქმა უნდა, გასვიადლებია. ამას თვით ავტორიც აღიარებს არსებითად, როდესაც იგი შექსპირის ტრაგედიის გააზრების ცდობებს; იგი წერს, რომ შექსპირის ტრაგედიის მსოფლმხედველობრივი საფუძველი არ შეიძლება ყოფილიყო ქრისტიალური მსოფლმხედველობა. მაგრამ როგორც არ უნდა ვავიჯოთ შექსპირის ტრაგედიის საფუძველი, უკვე მისი არსებობა აბათილებს თვალსაზრისს, რომელიც ფრიოდის ტრაგედიის აღორძინების ფილოსოფიურ საფუძველად მიაჩნია.

რაც შეეხება თვით ფრიოდის კონცეფციის შეფასებას, უნდა ითვეას: ტრაგიკულისათვის მართლაც აუცილებელი უნდა იყოს კონფლიქტი ადამიანის ფუხდამტეხობრი ტენდენციებსა და მათი განხორციელების შესაძლებლობების, საწულებების შორის. ფრიოდის ამ თეა აღიარებულა ეს კონფლიქტი, არამედ კონკრეტული სახითაც არის წარმოდგენილი — ეს არის კონფლიქტი ადამიანის სასიცოცხლო ტუნდენციებს, მის ლიბიდოზურ მისწრაფებებსა და საზოგადოებას, კულტურას შორის, რომლებიც ზღუდავენ ამ მისწრაფებათა განხორციელებას. ადამიანის მისწრაფებათა და კულტურის, ცივილიზაციის დამირიხება XX სუკუნის ხელოვნების ერთ-ერთი ძირითადი მოტივია და ამ ხელოვნებაზე ფრიოდის გავლენაც პირველ რიგში იმით აინხება, რომ ფრიოდმა კონფლიქტს კონკრეტული სახე მისცა და ადამიანური არსებობის საფუძველად გამოაქვდა.

ერთი შეხედვით, შეიძლება დამაჯერებელი გვეჩვენოს ის შეხედულება, რომლის თანახმად ფრიოდის კონცეფცია ხელსაყრელ პირობებს ქმნის ტრაგიკულის გააზრებისათვის. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ ფრიოდის მიერ ტრაგიკული ნაწარმოებების ინტერპრეტაცია ისეთი უნდა იყოს, რომ გამოავლინოს ამ ნაწარმოებების არსი, მათში ტრაგიკულის საფუძველი. ჩვენ კი ვხანებ, რომ ტრაგიკული ნაწარმოებების ფრიოდისეული განხილვა სრულიადც ვერ ავლენს მათ ნამდვილ საფუძველს, მათ შინაარსს. ეს იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ ფრიოდისეული კონცეფცია მართლაც აღიარებს კონფლიქტს ადამიანის მიწრაფებათა და მათ განხორციელებას შორის, მაგრამ თვით ეს მისწრაფებები საბოლოო ჯამში დაიყვანება ბიოლოგიურ ლტოლვეზე და ამით უგულებელყოფილია ტრაგიკულის გააზრებისათვის მეორე აუცილებელი მო-

მენტე — რომ კონფლიქტი უნდა არსებობდეს ადამიანის მალე ღირებულებების გახსორციელების გზაზე, რომ ტრაგედიაში აუცილებლად უნდა იყოს გამოვლენილი მაღალი ღირებულებების გარდაუვალი დაღუპვა. ამდენად, მსოფლიო ტრაგიკულის ადგილის შესახებ ფიროიდის მსოფლმხედველობაში გარკვეულ პირობითობას შეიცავს: კონფლიქტი ადამიანის მისწრაფებებსა და მათ გახსორციელებას შორის ნამდვილად ტრაგიკული მაშინ შეიძლება იყოს, როდესაც ადამიანის მისწრაფებათა გაგება არ იქნება ფიროიდისტული.

ტრაგიკულის ფიროიდისტულ გაგებაში საყურადღებოა მეორე მომენტები, რომელიც რომანტიკულ ესთეტიკას ემბურება. როგორც ზემოთ ვახებთ, რომანტიკულ ესთეტიკას ტრაგედია ხელოვნების უმაღლესს, მისი არსებითი გამოვლენის ადეკვატურ ფორმად მიაჩნია. ფიროიდთანაც ხელოვნების საფუძველი იგივეა, რაც ტრაგედიის საფუძველი — ეს არის კონფლიქტი ადამიანის მისწრაფებებსა და რეალობას შორის, დაუკმაყოფილებლობა რეალობით. აქ არ არის ადგილი იმის შესაფასებლად, თუ რამდენად გამოვლენა ეს ვითარება (რეალობით დაუკმაყოფილებლობა) ხელოვნების რაობის გასაგებად. სავარაუდოა, რომ ტრაგიკულისა და საერთოდ ხელოვნების საფუძვლის

გაიგივება უკიდურესობას წარმოადგენს და ტრაგიკულის სპეციფიკის გაგების საშუალებას არ მოგვცემს. მაგრამ თვით ცნა ტრაგედიისა და ხელოვნების საფუძვლების დაკავშირებისა, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს. მით უფრო, რომ ტრაგიკულისა და ესთეტიკურის ურთიერთობის გააზრება შორს არის იმისაგან, რომ ის გარკვეულად ჩაითვალოს. ამითაც იყო გაპირობებული ის, რომ ჩვენს ესთეტიკურ ლიტერატურაში ერთ დროს გაგრძელებული იყო შეხედულება, რომლის მიხედვითაც ტრაგედია უცხო იყო სოციალისტური რეალიზმისათვის. ეს მეორე უკიდურესობაა, რადგან მცდარია ტრაგედიის ზოგადობის უარყოფა. ორივე თვალსაზრისი ემყარება ადამიანის, სამყაროსადმი მისი დამოკიდებულების ცალმხრივ გაგებას. სამყაროსადმი ადამიანის დამოკიდებულებაში თავისი ადგილი აქვს როგორც ადამიანის მიერ საკუთარი თავის სასურულობის ტრაგიკულ განცდას (იმ განცდას, რომ ეს სასურულობა გარკვეულად ზღუდავს ადამიანსური იდეალების განხორციელებას), ისევე ბუნებისა და საზოგადოების განხორციელებისა და მათი შეშუპების შესაძლებლობის აღიარებაზე დამყარებულ რწმენასაც ადამიანური იდეალების განხორციელების შესაძლებლობაში.

უხროგი ლოკუანტაი


გიორგი ერისთავის თეატრზე

კრიგოლ ბუხნიკაშვილი

ამ რამდენიმე წლის წინ სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის მეციერე თანამშრომელმა ალექსანდრე ჩხვიძემ მოსკოვში, ა. ბახრუშინის სახელობის ცენტრალური სათეატრო მუზეუმის არქივში, მოიძია გიორგი ერისთავის მიერ 1850 წლის ორ იანვარს გამართული თავისი თეატრის პირველი წარმოდგენის — „გაყრის“ აფიშა. ა. ჩხვიძის ეს აღმოჩენა მეტად მნიშვნელოვანი იყო ქართული თეატრის ისტორიისათვის, რადგან ასეთი აფიშა საქართველოს საცავებში არ შემონახულა.

ახლანა ა. ჩხვიძემ კვლავ მიაკვლია გ. ერისთავის თეატრის სამ აფიშას; ისინი დადგული ყოფილა მოსკოვის ძველი აქტების არქივში, ვირონცოვის საგვარეულო ფონდში.

1850 წელს თბილისში დადგმული სპექტაკლების აფიშები.



სასაიანო მოღვაწეობის 30 წლისთავი

ი ა კ ო ბ ტ რ ი პ ო ლ ს კ ი



მსახიობის მოღვაწეობის ოცდაათი წელი საკმაოდ დიდი დროა. ამ რთულ გზაზე იგი მართო არ მიდის, თან დაჰყვებიან მის სულში მცხოვრები ტიპები, ხასიათები. რაც უფრო ღრმად და მრავალფეროვანი ამ „თანამგზავრთა“ ბუნება, მით უფრო ძნელია მსახიობისათვის ეს „სასაიანოვო ტვირთი“. ჩვენ ვამბობთ — „სასაიანოვო“, რადგან ამის გარეშე არ არსებობს შემოქმედება. დ. კლდიაშვილი მისი მოღვაწეობის 30 წლისთავზე ამბობდა: „მე შრომა მძიმე არ მიგვრძნია, ეს შრომა კი არა, ეს იყო ტკბილი საუბარი, რასაც ჩემზე ჰქონდა გავლენა, თუ რამეს ვლაპარაკობდი, ვხედავდი, ვწერდი, თურმე მართალი ყოფილა.

სულმნათი შოთა თავის ანდერძში ბრძანებს „სიყვარული აგვამალვებსო“. და აი, მე რომ ჩემი პატარა სიყვარულით მივდიოდი ყველასაკენ, სწორედ ეს პატარა სიყვარული მაჯილდოვებს დღეს მე და მიმაფრენს ზეცისაკენ და ბედნიერად მიმჩინა ჩემი თავი“.

მწერლობისა და ხელოვნების საფუძველთა საფუძველია ადამიანი-სადმი სიყვარული. ამის გარეშე არაფერი შექმნილა ღირსეული. ოცდაათი წლის მანძილზე ეს სიყვარული ასაზრდოვებდა იაკობ ტრიპოლსკის შემოქმედებასაც. მას ბევრი უარყოფითი როლი შეუსრულებია, მკაცრადაც უმხილებია ადამიანთა მანკიერი მხარე-

ები, მაგრამ იგი არასოდეს გადაზრდილა სიძულვილში. საილუსტრაციოდ ბევრი მაგალითის გახსენება შეიძლება, თუნდაც კაც ზეამბაია „მოვარის მოტაცებიდან“.


მისი კაც ზეამბაია გრძნობს, რომ ასალი ცხოვრება მოვიდა და ნიადაგი გამოეცალა ფეხქვეშ. დამთავრდა მისი ალოობა. ცხოვრება მისგან მოითხოვს განახლებას, ასალი ყოფის კვალში ჩადგომას, მაგრამ რა ქნას ზეამბაიამ, როცა იგი სხვა ბუნებისა და რწმენის კაცია. კონფლიქტი გარდუვალია მათ შორის. ისტორიული სიმართლე ასალი ცხოვრების მხარეზეა. წარსულს უნდა ჩაბარდეს ძველი. გუშინდელი დღით ცხოვრობს იაკობ



საქართველოს სსრ სახალხო არტისტის იაკობ ტრიბოლსკის დაბადების 50 წლისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლის აღსანიშნავ საიუბილეო საღამოზე.

ტრიბოლსკის გმირი და მას აქვს თავისი ლოგიკა, თავისებური სიმართლე. მსახიობი არც ერთი წუთით არ ივიწყებს ამ მომენტს. იგი დიდი ტაქტიკით გვიჩვენებს იმ ტკივილებს, მას

მომხსენებელი — თეატრკომდენე ვასილკინაძე.



გმირი რომ განიცდის. მსახიობმა იცის, საკმარისია ხაზგასმა ამ ტკივილებსა, გმირის სულიერი განცდებისადმი მხარდაჭერა, რომ სულ სხვაგვარი იდეური ღღერადობა შეიძინოს როლმა. ამიტომ არც მიჰყვება განსახიერების ამ გზას; მეორე მხრივ, მას შეეძლო კლასობრივი მტრის, გამოუსწორებელი კერძო მესაკუთრის ნიღაბში წარმოესახა უარყოფითი გმირი და შეიქმნებოდა ეფექტური, მაგრამ ტრაფარეტული სახე. მსახიობმა არც ეს გზა აირჩია, რადგან ორთავე ცალმხრივ წარმოადგენდა კაც ზვამბაის რთულსა და ორიგინალურ ხასიათს, რომელშიაც ასე მძლავრი გამოხატულება ჰქონდა ეპოქალურმა კონფლიქტმა. ი. ტრიბოლსკის შეუმცდარ ინტუიციასა და გონიერებას დიდი წარმატებაც მოჰყვა. მან გიჩვენა ღირსეული მოწინააღმდეგე ახალი ცხოვრებისა. მასში დანახვა გამრჩე კაცის ბევრი თვისება, მაგრამ სწორედ ამ მომენტმა გვაფიქრებინა, რომ ასეთი ადამიანებიც კი ვერ უძლებენ ახალი ცხოვრების რევოლუციურ აზვითებას, რადგან ვერ მალდებოდნენ მის დონემდე. ამგვარი ადამიანები მაყურებელში სინანულს აღძრავენ და არა სიძულვილს.

ამ გრძობას იწვევდა კაც ზვამბაი-

ას მიერ მისივე საქონლის დაზოცვა სცენაც — დიდად გაბედული და სცენის ესთეტიკისათვის, ცოტა არ იყოს, საჩოთირო დეტალი. როცა ი. ტრიბოლსკის გმირმა შეიტყო, რომ შეიღვივით ნაზარდი საქონელი კოლმეურნეობას (ანუ, მისი რწმენით, სხვას) უნდა ჩაბარდეს, იგი უკიდურესად დაიძაბა ვეფხისებური ნახტომისათვის. მოამზადა ნაჯახი (ნაჯახის გალესვის მომენტი აღსავსეა შინაგანი ექსპრესიით, ემოციით, რიტმით), თვალში მოავლო იქაურობას და კულისებში ისევე წელგამართული გავიდა, როგორც კარგი ჯარისკაცი ბრძოლის წინ. მან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა ახალ სინამდვილეს. კულისებში გაისმა შემადრწუნებელი ხმაური. დაწყდა საქონელი. სცენაზე შემოდის გასისხლიანებული ზვამბაია ძროხის თავებით ხელში. იგი უკვე წელში მოხრილია, ხელში უძლურად დაშვებითა. შურისძიების ექსტაზიდან ჯერაც არ გამოსულა. დგას და თითქოს ელოდება განაჩენს; მაგრამ, ანტიკური ტრაგედიის გმირების დარად, თავად გამოუტანა განაჩენი საკუთარ თავს. აქ მსახიობი უნაკლო იყო.

სცენაზე ყველაფერს აქვს მნიშვნელობა: მსახიობის ხმას (რამდენად

„ხეები ზე ზეურად კვლენაან“. მავრუსიო
— იაკობ ტრიპოლსკი, ეუხენა — ვი-
რიკო ანჯაფარიძე.



სასიამოვნოა!), სიარულს (რამდენად ესთეტიურია!), ინტონაციას (რამდენად მდიდარია!), მოძრაობას (რამდენად პლასტიკურია!), ერთი სიტყვით, ყველაფერ იმას, რასაც ნიჭიერი ხელოვანის ცნება იტყვს. ვისაც ი. ტრიპოლსკის კაც ზვამბაიას სიარულის მანერა უნახავს, უგრძძნია მიიწი მოძრაობის რიტმი, მას არასოდეს დაავიწყდება იგი. ღირსების გრძნობით, ელვგანტური მოძრაობით (სხეული სპარტანულად რომ გაუწვრთნია!) უკვე იქმნება გმირის იმეგარი პორტრეტული ნახაზი, რომელიც ფორმისა და შინაარსის პარამონიულობაზე მიგვანიშნებს. მართლაც, ი. ტრიპოლსკიმ აქ მიაღწია შედეგს, რომელიც სცილდება მარჯანიშვილის თე-

ატრის აქტიორული წარმატების მასშტაბს.

კაც ზვამბაია გამონაკლისი როლია ი. ტრიპოლსკის არტისტული ბიოგრაფიიდან. რთულსა და მრავალფეროვან როლში გამოიკვდება მსახიობის ოსტატობა და ამიტომ არის ასე მნიშვნელოვანი ეს წარმატებაც.

...ი. ტრიპოლსკის შემოქმედებით ბიოგრაფიას ბევრი ძლიერი, დასამსოსოფრებელი, ეპიზოდური სახე ამშვენებს. ყველა ისინი (იქნება ეს დადებითი თუ უარყოფითი, წარმატებული თუ წარუმატებელი) ნათლად გამოხატავენ მსახიობის ნიჭს, ოსტატობის მრავალსახეობას, განსაკუთრებით კი ხასიათში წვედომის ძალას. ფორმის გრძნობა, გმირის პორტრეტის შექმნა

ი. ტრიპოლსკისათვის თვითმიზანი როლია. იგი იზადება ხასიათის ბუნებიდან და ამიტომ არის ასე სრული და გამართლებული.

ი. ტრიპოლსკის სცენური ბიოგრაფია მაშინ დაიწყო, როცა ქართულ სცენაზე სცენის დიდოსტატების ნამდვილი გამოფენა იყო. ქართულ თეატრს ალბათ არასოდეს ჰყოლია ამდენი ნიჭიერი და სახელოვანი მსახიობი. მათ გვერდით ადვილი როლი იყო საკუთარი გზის მონახვა. ი. ტრიპოლსკი შეიყვარა უფროსმა თაობამ, შეიყვარეს თანატოლებმა; მან მალე მიიქცია ყველას ყურადღება.

გადიოდა წლები. ახალგაზრდა მსახიობი მუშაობდა თავაუღებლად, ეძებდა მსატრულ ფერებს, ქმნიდა, იძენ-

სკენა სპექტაკლიდან „მე ვხელავ მზესა“. სოსოია — გ. ქავთარაძე, დათიკო — ი. ტრიპოლსკი






სცენა სპექტაკლიდან „მოკვეთილი“.
ბახვა — ი. ტრიბოლსკი, გულსუნდა —
მ. ჯაფარიძე.

და და უარყოფდა. იმარჯვებდა და მარცხდებოდა. მისთვის არაფერი იყო უცხო. იქ, სადაც წარმატებაა, არის წარუმატებლობაც. სადაც სისარულია, არის ტკივილიც და ცხოვრების ეს მრავალფეროვანება იჭრებოდა მის სულშიც. მის სცენურ ბიოგრაფიაშიც ასე გაეკაცებებოდა და იზრდებოდა იგი.

გარდასახვის უნარი, ფორმის სიმკვეთრე და სინათლე კარგად გამოჩნდა მსახიობის სცენური სიჭაბუკიანე წლებშივე, როცა მან ზურია ხარატიელის როლი ითამაშა. ის, რაც შემოქმედებითი ცხოვრების პირველ წლებში გამოიმეტავდა, შემდეგ უფრო ჩაღრმავდა, გაიზარდა.


როცა ი. ტრიბოლსკის ვისხენებთ,

გვაგონდება მისი გმირები: ნიშნო გოდაბრელიძე („რაიკომის მდივანი“), ლათიკო შევარდნაძე („დაჭრილი არწივი“), მაცნე („მედია“), გიქტორი („მღელვარე დღეები“), ფილიპე („დონ-კარლოსი“), მავრუსიო („ხეები ზეზეურად კედლებიან“), მანუჩარი („მაია წყნეთელი“), ნიკოლოზი („შემოსევა“), არტურ კინსე-



სცენა სპექტაკლიდან „ვისია, ვისიუ“.
აბაია — იაკობ ტრიბოლსკი, ანიკო —
გვატერინე ვერულიშვილი.

გულითადი მილოცვები.



ლი („ამერიკული ტრაგედია“), ტი-ბალტი („რომეო და ჯულიეტა“) და სხვა. ყველა მათგანი თავისებურად გამოსატყავდა მსახიობის არტისტული შესაძლებლობის სხვადასხვა მხარეს. ზოგჯერ იგი გვიჩვენებდა მსახიობის განსაზღვრულ თავისებურებას, გამდიდრებულს ახალი ინტონაციებითა და ფერებით.

ო. ტრიპოლსკის შემოქმედებაში განსაკუთრებულ ადგილს იჭერენ ძლიერი ხასიათები; სწორედ მათში იგრძნობა ნებისყოფის სიმტკიცე, შეზარებულობა და სიმძაფრე, ემოციური სიმდიდრე და რომანტიკული განწყობილება. ასეთი იყო მისი ბაზა და ალუდა („მოკვეთილი“, „ალუდა ქეთელაური“). მის შესრულებაში გაციონდნენ ვაჟა-ფშაველას გმირები. ბუნების შვილთა პირველქმნილი უშუალობა და გულწრფელობა იგრძნობოდა მსახიობის შესრულებაში და ეს იყო მისი უპირველესი წარმატება.

კოტე მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლებში („ესკადრის დაღუპვა“, „მე ვხედავ მზეს“, „ჩემი ყვავილეთი“, „ვისია ვისი?“ „შავფავალა გოგონა“ და სხვ.) თავისი შესამწევადილი ეჭირა ი. ტრიპოლსკის მიერ, განსახიერებულ როლებს. ამასთანავე, როგორც აქ, ასევე სხვა წარმოდგენებში, მსახიობი ყოველთვის ავლენდა პროფესიულ კულტურას, სერიოზულ მიდგომას როლისადმი. ეს თვისება მას აკავშირებს სცენის დიდოსტატებთან და სამაგალითოა ახალგაზრდა მსახიობებისათვის.

იაკობ ტრიპოლსკი ქართული თეატრის პოპულარული მსახიობია. მაცურებელს უყვარს იგი და სჯერა მისი ხელოვნებისა. ეს პოპულარობა მარტო თეატრმა როდი შეუქმნა. იგი არაიშვიათად მონაწილეობს კინოში („მანანა“, „წყალდიდობა“, „ქალის ტვირთი“, „შეხვედრა წარსულთან“), ტელე და რადიო გადაცემებში. მაგ-

რამ მისი შემოქმედების არსი, მისი ბიოგრაფიის ყველაზე მღელვარე და საინტერესო წლები მაინც მარჯანიშვილის სახელობის თეატრთან არის დაკავშირებული. ამ თეატრიდან დაიწყო მისი არტისტული კარიერა, აქ მიიღო ნამდვილი თეატრალური ნათლობა და რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდებაც აქ შექმნილმა სახეებმა მოუტანეს.

...ამ სამოცდაათი წლის წინააღმდეგობაზე წერდა: „მოგილოცავთ რა ამ ორმოცდაათის წლის დღეობას, ვუსურვებ ჩვენი თეატრის მოღვაწეთათვის ცალკე და ჩვენ ყველასათვის საერთოდ, რომ თითოეულს ჩვენგანს გულში ანდერძად ჩაჭდეთ ული ჰქონდეს: ვიმხნეოთ და გავძლიერდეთ“.

იაკობ ტრიპოლსკისაც, მის დღეობაზე იგივე ეთქმის, რაც ჩვენთა წინაპართ უთქვამთ: მხნე იყავ და გაძლიერდიო.



ლ ე ლ მ მესხიშვილი და 1905 წლის ჩაქოლუსია

ლერი ალიმონაკი

რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში ქუთაისის თეატრს სათავეში ედგა ქართული სცენის გამორჩენილი ოსტატი ლადო მესხიშვილი. მან არა მარტო ბრწყინვალე აქტიორული ტალანტით დაიმსახურა თანამედროვეთა სიყვარული, არამედ შესანიშნავი მოქალაქეობრივი თვისებებითაც, რაც რევოლუციურ ბრძოლებში მისი აქტიური მონაწილეობით გამოიხატა. აკი წერდა კიდევ გერონტი ქიქოძე: «ლადო მესხიშვილი გაუფიქრებელი იმ მოღვაწეთა რიცხვს, რომელთაც თავიანთი მხრებით ქართული კულტურის მძიმე ტვირთი ზიდეს, როდესაც ჩვენი სამშობლო დანაგრული და აბუზად აგდებული იყო, და ის ახალი ეპოქის ნიჯნამდე მოიტანეს».¹

ქართული თეატრის ხელოვნების ძველ კორიფეთა შორის ლ. მესხიშვილი ძალზე ახლოს იყო რევოლუციასთან თავისი აზროვნებითა და განწყობით. მან, როგორც პროგრესულად მოაზროვნე და იდეურად მოწინავე ადამიანი, ქუთაისის თეატრის სცენა ნამდვილ რევოლუციურ ტრიბუნად აქცია, საიდანაც დაუწყებლად ჭადაგებდა ახალ იდეალებს თავისუფლებას, გმირობას, სამშობლოს სიყვარულს; სწორედ ამან განაპირობა 1905 წლის რევოლუ-

ციის პერიოდში ქუთაისის თეატრის პროგრესულ-რევოლუციური მიმართულება.

ლადო მესხიშვილს მთელი არსებით სძაგდა მეფის რუსეთის ხელისუფლება, მისი თვითმპყრობელური პოლიტიკა და თავის ურიელ აკოსტაით, კაი გრაკხით, ედმუნდ კინით მგზნებარედ მოუწოდებდა ხალხს დესპოტიზმისა და ტირანიის წინააღმდეგ საბრძოლველად. დიდი ტემპერამენტი, განცდითი თამაში და სცენური სიმართლე აძლევდა საშუალებას ლადო მესხიშვილს, ათასობით მაყურებელი მიეზიდა ქუთაისის თეატრში, დაეპყრო მათი გულები და ისევე აღვებინა ბრძოლის სურვილით, როგორც სვითონ იყო. განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობდა მონტის „კაი გრაკხი“, პიუგის „რუი ბლანი“, შილერის „კაჩალები“, სუმბათაშვილის „ღალატი“, მიროსო „უნა და მადლენა“, დავით ერისთავის „სამშობლო“, დიუშას „ედმუნდ კინი“ და მრავალი სხვა, რომელთა წარმოდგენა სცენაზე ოცაიების ქარიშხალს, რევოლუციურ ენტაზს იწვევდა მაყურებელში.

ლადო მესხიშვილის დადგმები ისეთი მძლავრი ემოციურობით ხასიათდებოდა, რომ აღფრთოვანებული და ბრძოლის ცეცხლით ანთებული მაყურებელი სპექტაკლის დამთავრების შემდეგ დიდხანს არ იშლებოდა. „ახალგაზრდობას წარმოდგენების შემდეგ ხელებზე გამოყავდა ლადო მესხიშვილი და ასე მადლა აწვეული მიჰყავდათ სას-

¹ კ. ქიქოძე, ჩრეული თხზულებანი, ტ. I, 1963 წ., გვ. 279.

ლამდე, — იგონებს ლადოს ქალიშვილი — ვარია აღექ-
სი მესხიშვილი, — ეს ახალგაზრდობა არ იწლებოდა მა-
ნამდე, ვიდრე არ გაიღებოდა სახლის აივნის კარი, სანამ
ჩქინდა მესხიშვილი არ გადმოდგებოდა და არ იტყოდა
გრძელ მოწოდებს თავისუფლებასა, სასოგადოებრივ
იდეალებსა და ხელოვნებაზე (ამ დროს ძნელი სათქმელი
იყო სად უფრო მეტი იყო მისი აქტიური ხელოვნების
შეგავლენა: სცენაზე თუ ამ სახლში). ეს მოსწავლე ახლ-
გაზრდობა გამოდიოდა ქუჩაზე დემონსტრაციისთვის. მათ
მოჰქინდათ თავისი პირველი რევოლუციური ალტყინება,
იხედი და რწმენა ახალი ცხოვრებისადმი².

ქუთაისის თეატრის დასმა შესანიშნავ შედეგებს მიად-
წესოდა მით, რომ მტკიცე იდეური კონტაქტი დაამ-
ყარა რევოლუციურად განწყობილ მაყურებელთან. სცენა-
ზე წარმოთქმული გაბედული სიტყვა ჩავერის და უსა-
მართლობის წინააღმდეგ მხურვალე გამოძახის პოუ-
ლობად მაყურებელში; წარმოდგენის მეტწილად რეო-
ლუციური სიმღერებითა და დემონსტრაციებით მთავრ-
დებოდა. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა
ნოვლ საქართველოში მონტის სახელგანთქმული პიესა
„კაი გრაკი“³. კაი გრაკის როლის შესრულების დროს
მესხიშვილი მონოლოგებს ცეცხლოვანი ტემპერამენტით
ამტყვევებდა, რის გამოც მაყურებელზე მომავალდებულ
შთაბეჭდილებას ტოვებდა. ამ სპექტაკლში იჭეთაის-
ში დიდი რევოლუციური გამოძახილი ჰქონა. იგი იქ-
ცა ქუთაისის დასისა და პირადად ლადო მესხიშ-
ვილის ტრიუმფად. ნიკო გვარამე თავის „თეატრალურ მე-
ნუარებში“ წერს: თეატრში ახალგაზრდობამ აუარებელი
პროკლამაციები გადმოყარა. მთელი თეატრის პარტიი და
ლოკები პროკლამაციებით გაივსო. გრაკის რევოლუციუ-
რი მონოლოგები, მესხიშვილის მიერ წაითხული, ისეთ
შთაბეჭდილებას ახდენენ მაყურებლებზე, როგორსაც ვერც
ერთი დაბეჭდილი პროკლამაცია ვერ მოახდენდა. მესამე
მოქმედებაზე თეატრში დიდი დემონსტრაცია გაიმართა,
ატყდა ყვირილი, ხმაურობა, ამას მოჰყვა რევოლუციური
სიმღერა⁴...

ასეთივე დიდი ალტყაცება გამოიწვია ამ სპექტაკლმა
ჯორის, თბილისის, ზესტაფონის, განჯის, განსაკუთრებით
კი ბათუმის მოსახლეობაში, რომლის შესახებ ინფორმაცია
გამოქვეყნდა ლენინის გაზეთ „ვკერილიში“ (№ 8, 1905
წ.), რომელიც ყუეყაში გამოდიოდა და რუსეთში არალე-
გარულად ვრცელდებოდა. გაზეთი წერდა:

„დადგეს ქართულ ენაზე „კაი გრაკი“, თეატრი გაჭე-
დილი იყო მუშებით. ფარდა დაეყვა თუ არა, გაიხმა ამარსე-
ლითსა“ სიმღერა; სიმღერით გამოვიდნენ ყველანი თეატ-
რიდან და აქვე შეკრუვდნენ აღფრთოვანებული წამობახი-
ლებით: „ძირს თვითმპყრობელობა! ძირს პოლიცია! ძირს
ომი!“ თუ რა დიდი გამოძახილი ჰქონა ამ სპექტაკლმა ბა-
თუმელ მშრომელეობაში, ამაზე მტკიცეებლებს დაეთი კლდიაშ-
ვილის მოგონება:

„საკვირველი იყო, როგორ გამოაპანეს ცენწურას ეს
რევოლუციური ნაწარმოები „კაი გრაკი“, მასსოფს წარ-
მოდგენა ბათუმში ლადოს დასის მიერ. ვგრეთ წოდებული

რკინის თეატრი“ გაჭედილი იყო ხალხით. ყოველცხსა-
რე სიტყვა კაი გრაკისა, რომელსაც ასრულებდა ლადო
მესხიშვილი ნიჭიერებით, იწვევდა ტრამსცივებსა და გრიას.
ალტყაცება თანდათან მატულობდა და წარმოდგენის და-
სასრულს უმწვევარად მუხატლადმდე მივიდა. მღელვა-
რე ხალხმა თეატრშივე დასძახა მარსელიოზა. ხალხი გუ-
გუნით გამოვიდა თეატრიდან...⁵

ლადო მესხიშვილმა და მისმა დასმა „კაი გრაკისა“ და
რევოლუციური სულსკვეთებით გაჭედილი სხვა პიესე-
ზის დადგებით რევოლუციის წლებში მნიშვნელოვანი სამ-
სახური გაუწიეს მუშათა კლასს. სცენიდან გადმოსროლი-
ლი მკვერი სიტყვები სოციალური უსამართლობის წინა-
აღმდეგ ენოფანებოდნენ მუშათა კლასის მიერ დაწვევულ
ბრძოლას ცარიზმისა და კაპიტალიზმის მიმართ. მესხიშ-
ვილი თავის სპექტაკლებში აქსოდა თავისუფლებისა და
ადამიანური პროტესტის დიად აზრებს.

ლადო მესხიშვილი ამ დროს უშუალოდაც ღებულობდა
მისწავილებას რევოლუციურ მიძრაობაში. რევოლუციური
სიტყვებითა და ლოზუნგებით გამოდიოდა მიტინგებზე.
ლადო თავმჯდომარეობდა 1905 წლის პირველ საჯარო
მიტინგს ქუთაისში, სადაც მან დია ცის ქვეშ დიდი პა-
ოოსით წაითხა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ
ნიმართული საპროტესტო ლექსი, რისთვისაც იგი დააპა-
ტირებეს და თეატრს დახურეს დაუბრეს. მაგრამ ლადო
მაღე განთავისუფლდა თავი პატიმარიდან და დაეს-
რამელი ენერგიით განაგრძო ბრძოლა არსებული წყობი-
ლების წინააღმდეგ. ლადო მესხიშვილის რევოლუციური
სულსკვეთება შემფოთება იწვევდა თავადაზნაურობასა
და მეფის მთავრობაში. ქუთაისის გუბერნიის ყანდამასა
სამმართველოს უფროსმა ნიკოლაევმა საიდუმლოდ მოახ-
სენა კავკასიის პოლიციის უფროსს: „1905 წლის 25 აგ-
ვისტოს ქუთაისის თეატრში, ქართულ მხახიბთა დასის
წარმოდგენის დროს, მეორე მოქმედებაში არტისტმა ალექ-
სი-მესხიშვილმა ქართულად წარმოთქვა სიტყვა, რომლი-
თაც იგი ხალხს მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად
მოუწოდებდა. სიტყვის დასასრულს ხუთჯერ წარმოთქვა:
„ბრძოლა ერისა, ბრძოლა ხალხისაო“. წარმოდგენის შემ-
დეგ ხალხი რევოლუციური სიმღერებით დამიალა...“⁶

მეფის აგენტები და რეაქციონერები გააფთრებით იბრ-
ძობდნენ თეატრის წინააღმდეგ და ყოველნაირ საშუალებას
მიმართავდნენ, რათა ჩაეშალათ მისი მუშაობა. მაგრამ
მესხიშვილი გაბედულად იგერიებდა იერიშებს. მისხანე
იყო ლადოს გალაშქრება რეაქციული თავადაზნაურობის
წინააღმდეგ, როდესაც მას ქუთაისის გუბერნიის თავა-
დაზნაურობის კრებაზე უსაყვედურეს: ჩვენს მიერ შეკრები-
ლი ფულით განკურნებული არტისტი, სახლარგარეთიდან
დაბრუნების შემდეგ, აქ „კაი გრაკისთან“ პესივით
ხალხს გვიბუნტებს, აზნაურობას სამარეს ვეითხროსო. რე-
ვოლუციური თავზარდაცემულ თავადაზნაურობას, რომელ-

² დ. კლდიაშვილი, თხზ., ტ. 11. 1952 წ., გვ. 273-274.
³ ავ. ფილაე, ლადო მესხიშვილი, 1938 წ., გვ. 170.



თაც სურდა რომ ხელოვნებაც მათს სასახურში ყოფილიყო, გაცეცხლებულმა ლადო მესხიშვილმა შემდეგი სიტყვებით მიმართა: „...მე აზნაურობას არ ვუკუთვინი მე ვუკუთვინი მთელ ერს, ფულს როდღე ვემსახურები, არამედ სცენას, ჩემს რწმენას და ვერაფერსასი სასყიდლოთი ვერაფერს ვერ მიყიდის და ვერ მათქმევენებს იმას, რაც ჩემს რწმენას უწინააღმდეგება. ალბათ იაშვილს „კაი გრაკი“ აქვს მხედველობაში. მერე ვა ვთქვი მე ამ პიესაზე? დავანახე თავიანაზნაურობას მისი ნაკუთვლები, მისი ზნეობრივი და ვანებრივი სიღატაკე, მისი არარაობა დღევანდელ ცხოვრებაში. აი, თქვენ შეგრებილხართ საერთო კითხვის გადასატრეხად. აქ ბევრი წინააღმდეგია დღევანდელი ბიუროკრატიული წესწყობილებისა და კიდევაც წარნოსთქვამს აზრს. მეც წინააღმდეგი ვარ, მაგრამ მე აქ ლაპარაკის ნება არ მაქვს, საპასუხო სიტყვასაც კი არ მანუბნებდები. მე აი, რა შემიძლია გითხროთ თამამად: თავად-აზნაურობა დაპყარვა თავისი მნიშვნელობა, იგი წინააღმდეგია თავისი საქციელით ხშირად დღევანდელ მოძრაობის, იგონებს რაღაც უმნიშვნელო და ვიწრო საშუალებებს და ფიქრობს ამით განმათავისუფლებელი წინსვლა შეაწეროს. თქვენ თუ კავშირი და მოქმედება გინდათ, შეუერთდით ხალხს საერთო მტრის წინააღმდეგ გასალაშქრებულად, — აი ნამდვილი და უებარი წამალი... ამის გეუბნებით მე დღეს აქ, ამასვე გეტყვით მე ყოველთვის იქ, სადაც ნამდვილი ასპარეზია, სადაც წომინდა მოვალეობა მომიწევს, — აი, იმ სცენაზე: ახლა ხომ ხედავთ, რა ძლიერი ყოფილა აქედან წარმოთქმული სიტყვა, როგორ მოუწვევს გული ზოგიერთებისათვის. დახე, ეს სიტყვა ყოველთვის უფრო ძლიერი ყოფილა და იქნება, ვიდრე თქვენბუსუსური ლაპარაკი. მესხიშვილი კიდევ უშეგარებინებთ ფულს, როცა მართალი სიტყვის გაგონება მოგიწინებთ სცენიდან“⁴.

ასეთი სიტამამე, მსახიობის ღირსების ასეთი შეცნობა აღასტრებებს მესხიშვილის უდიდეს მოქალაქეობრიობას. ლადო მესხიშვილის ამ სიტყვიდან ნათლად ჩანს, რომ მისი მოღვაწეობა რევოლუციის სასარგებლოდ გარკვეულ მსოფლმშენებლობის შედეგი იყო და ვერ გაკვირარებთ რეჟისორისა და თეატრალური კრიტიკოსის ვახტანგ გარეკის მოსაზრებას, რომელმაც ლადო მესხიშვილი ამ სიტყვისათვის იდეალისტად შერაცხა. თითქოს ლადო „იდეალიზმის ნიადაგზე აშენებდა თავის სცენურ შემოქმედებას და სრულად ვერ ამჩნევდა იმ კლასთა ბრძოლას, რომელსაც მეტად მწვავე ხასიათი ჰქონდა მიღებული: ღრმად ვერ ერკვეოდა მაშინდელი ცხოვრების პირობებში, მის განვითარებაში და ამით არ შეეძლო თავისი შემოქმედება გარკვეულ, მტკიცე პოლიტიკურ რელსებზე გადაეყვანა...“⁵

ეს მოსაზრება მცდარად მოეჩვენება ყველას, ვინც კარგად იცნობს ლადოს მოღვაწეობის ამ პერიოდს.

ნამდვილად კი ლადო მესხიშვილს კარგად ესმოდა სწორი ციალური ბრძოლის არსი (რომელიც მისი სიტყვიდანაც გარკვევით ჩანს), ღრმად სწამდა მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვების აუცილებლობა. სწორედ ამ იდეური მისწრაფებით იყო გამსჭვალული ლადო მესხიშვილის ამ პერიოდის მთელი სასცენო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

სინამდვილე რომ არ იყო, ალბათ ლეგენდად გადაეცემოდა შთამომავლობის ქუთაისის ქუჩებში დეკორაციებისაგან ახორხლილ ბარიკადებზე იარაღით ხელში მდგომი, ლომივით ფეფარაყრილი ლადო, როდესაც ქუთაისს ცეცხლითა და მახვილით შემოესია ალიხანოვ-ავარკის დამსჯელი რაზმი. როცა თვითმპყრობლების წინააღმდეგ ხალხის მღელვარებამ შეიარაღებულ აჯანყებაში გამოხეთქა და საქართველოს ქალაქები ბარიკადებით დაიფარა; მესხიშვილი თავისი დასით გავიდა სცენიდან და ქუთაისის ქუჩებში გაბართულ ბარიკადებთან დადგა. იგი მუშებთან ერთად თავგანწირულად იბრძოდა პოლიციელებისა და მთავრობის ჯარების წინააღმდეგ.

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ, როცა ცნობა მოვიდა ბრძოლაზე დროებით ხელის აღების შესახებ, რევოლუციური კომიტეტის წარმომადგენელი მივიდა კლასიკურ გიმნაზიასთან აღმართულ ბარიკადებთან და მებრძოლებს უბრძანა შეეწყვიტათ საბარიკადო ბრძოლა, მაგრამ მის წინ აღიმართა ბრძოლის ღირსი ანთებული ლადო მესხიშვილი და მტკიცე რწმენით განაცხადა:

გადაცით კომიტეტს, რომ აქ, ამ ბარიკადებზე, მე, ლადო მესხიშვილი, ვინცოცხლად და აქედან ფეხს არ მოვიცალი. ბარიკადებს ჩვენ არ დავშლით. საჭირო თუ შეიძლება, აქვე მოვიყვანთ ჩვენს ცოლ-შვილს; დაე, ამ უზანო მსხვერპლთა გვაგებზე გადაიარონ ალიხანოვ-ავარკის სისხლისმსმელმა ურდოებმა. რევოლუცია მსხვერპლს მოითხოვს. ჩვენ მზად ვართ ამისათვის. მსხვერპლს შურისძიება მოაქვს მტრებისათვის. ჩვენ თუ დავიხსოვებით — ქვეყანა წარმოშობს ისეთ გმირებს, რომელნიც უჭველ გამარჯვებას მინანიჭებენ ხალხს.

ასეთი იყო ლადო მესხიშვილი როგორც ტრებნი და ღირსეული მოქალაქე თავისი ქვეყნისა. აკაკი ფაღავას სიტყვებით რომ ვთქვათ: „მსოფლიო თეატრის ისტორიამ არც იცის სხვა მსახიობი, რომელსაც ესოდნე დიდი სამსახური გაეწიოს რევოლუციის მომხადებისათვის.“

ლადო მესხიშვილის მოღვაწეობა ქუთაისში რუსეთის პირველი რევოლუციის ხანაში ერთი ბრწყინვალე ფურცელთაგანია არა მარტო ქუთაისისა და მთლიანად ქართული თეატრის ისტორიისათვის, არამედ ჩვენს ერის ისტორიაში და ეს მტად მნიშვნელოვანი მოვლენა ამ ეპოქური მონასმით ვერ ამოიწურება; ეს საკითხი მონოგრაფიულად უნდა იქნას შესწავლილი და გამოკვლილი, რითაც ლადო მესხიშვილის ნათელი, დიადი ცხოვრება მეტი სიტყვადია და შარავანდელი გაცისკროვნდება.

4. ჟურნალი „მოგზაური“, № 15, 1905 წ.
 5. ვახტანგ გარეკი, თეატრი, 1958 წ., გვ. 207.



მეგობარი და თანამოაზრი

ნადეჟდა შალუტაშვილი

პარტულ და უკრაინულ სცენის ოსტატთა შემოქმედებით მეგობრობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. კრიტიკული რეალიზმის პრინციპებზე მტკიცედ მდგომი გ. სტარინიცი, მ. კროპოვნიცი, მ. ზანკოვეცკაია, მ. საღოვსკი, დ. ზარინცკაია, ე. ბოიარკაია და სხვები საქართველოში თავიანთი გასტროლების დროს მჭიდროდ დაუთათესავდნენ ჩვენს სცენის გამორჩეულ მესვეურთ — ვ. აბაშიძეს, მ. საფაროვას, კ. მესხს, ვ. გუნიას და სხვებს.

სახელოვანი წინაპრებისაგან გადმოცემული შემოქმედებითი თანამეგობრობის ეს შესანიშნავი ესტაფეტა მიიღეს საბჭოთა თეატრის გამორჩეულმა ოსტატებმაც: ხარისხობრივად ახალი, უფრო მჭიდროდ და მტკიცე აღმოჩნდა მათი კავშირი სოციალისტური კულტურის მშენებლობის საქმეში.

ხანგრძლივი მეგობრობა აკავშირებდათ და აკავშირებთ საბჭოთა თეატრის კორიფეებს — გ. იურას, ლ. კურბასს, მ. კრუშელნიცის, ა. ბუნას, ი. შუმსკის, ვ. ჩისტიაკოვას, ს. უშვის, ლ. სერდიუკს და სხვებს. კ. მარჯანიშვილიან, ს. ახმეტელიან, ა. ხორავასთან, ა. ვასაძესთან, ვ. ანჯაფარიძესთან, უ. ჩხეიძესთან, ნ. ვანჩაძესთან, მ. ჭიაურელიანთან, ვ. გოძიაშვილიანთან, დ. ალექსიძესთან, ს. ჭელიძესთან, დ. ანაბაძესთან და სხვებთან. ეს შემოქმედებითი მეგობრობა წლებების განმავლობაში განმტკიცდა, გამობრძნობდა. არა ერთხელ უთანაშინათ ქართველ მსახიობებს უკრაინულ პიესებში. ამ დადგმებიდან ზოგიერთი სპექტაკლი საცეცაპო გახდა ქართული თეატრისათვის. უკრაინულადაც აუღერდა ქართულ ავტორთა ნაწარმოებები, რომლებმაც წარმატება მოიპოვეს უკრაინულ რეჟისორებსა და მსახიობებს...

1931 წელს ხარკოვის „ბეტრზილის“ თეატრის თბილისში გასტროლების დროს დიდი ქართველი რეჟისორი კ. მარჯანიშვილი შინაგანი მღელვარებით აღინიშნავდა — „დღეს ჩამოდიან ყველა ისინი, ვინც თავისი სიტყვით ქმნი ახალი ცხოვრების ახალ აზრს, დღეს ჩამოდიან ლეს კურბასი... მე ვისურვებდი შეგვრა მაყურებელთა მთელი ის უნერჯია, რომელიც მათ აპლოდიმენტებში დახარჯეს სურსადა და ჩვენს თეატრებში და ავაჯო მათან ისეთი ძრავი, რომელიც თქვენს და ჩვენს მიგაკურთღებს იმ ახალი მშენებნიერ ცხოვრების ზღურბლთან, რომელსაც ჩვენ ვაშუბობთ“.

აქ მშენებარდა დახასიათებული ის სიახლე, რომელიც მომწეს ხალხთა თანამეგობრობაში შემოიტანა რევოლუციამ, მაღალი კომუნისტური და ინტერნაციონალური დივიდიონისათვის ერთობლივმა ბრძოლამ.

ამ თანამეგობრობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა გა-

მოჩენილი საბჭოთა უკრაინელი ოსტატი, სსრკ სახალხო არტისტი ალექსეი (ლეს) ივანეს ძე სერდიუკი, რომლის ღირსშესანიშნავი ობიექტე ამ ცოტა ხნის წინათ ფართოდ აღინიშნა უკრაინასა და, საერთოდ, საბჭოთა კავშირში.

ლეს სერდიუკი ახალი ცხოვრების ნამდვილი პირმშობა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გახდა შესაძლებელი პოლტავის მასწავლებლის ერთ-ერთი მიკარგული სოფლის — ბზოვის გლეხის შვილი, უბრალო სოფელში ბიჭი, საბჭოთა სცენის სახელმწიფო შემოქმედი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე გამხდარიყო.

ბავშვობა ლ. სერდიუკმა მშობლიურ სოფელში გაატარა, აქ შეითვისა და შეისისხსობრცა თავისი ხალხის უკრაინული ბუნების მშვენიერება, მშობლიური მიწის სურნელი, ფერები, რიტმების სიმდიდრე და მრავალფეროვნება...

თხუთმეტ წლამდე მან არც კი იცოდა რა იყო თეატრი, მაგრამ მის ბუნებაში ყალიბდებოდა ძალები, რომლებმაც მხოლოდ შემდეგში იჩინეს თავი; ამ ძალებს იგი იგრებდა თეატრად გადაქცევილი ბლის ხეების სურნელოვან ჩრდილში, დნებრის ამწვანებულ ნაპირებზე, მაშინ, როდესაც მთავარი ღამეში დაფიქრებული ისმენდა გულში ჩამწვდომი უკრაინულ სიმღერებს, ან სულგანაბული იდგა პეტმან სულიმის მიერ აწმენებულ ძველ ეკლესიაში, სათილების შუქით განათებული ფრესკების წინაშე...

მსახიობმა ბავშვობაში შეითვისა თავისი სამშობლოს პოეტური სამყარო, შეიცვარა იგი მარადი სიყვარულით...

კვივენი ჩასვლისა ჭაბუკმა ნახა მიუღეს უკრაინაში სახელგანთქმული მ. საღოვსკის დასის წარმოდგენები და თეატრი გახდა მისი ცხოვრების ოცნება, მისი მიზანი და მისწრაფება. იგი თან სწავლობდა საცეცაპო სკოლაში, თან მუშაობდა. ვინ იცის, რა მოელოდა მომავალში, რევოლუციის გრივალს უკრაინაში ახალი ცხოვრება რომ არ მოეტანა. მაშინ გაიგონა ლ. სერდიუკმა ლენინის სახელი, ლენინისა, რომლის სახეც შემდეგში (სიმეფის ხანაში) მან ასე შესანიშნავად განასახივრა ხარკოვის თეატრის სცენაზე...

ლ. სერდიუკმა რევოლუციის პირველ წლებში სოფლის ნახევრად დაზერეულ სკოლაში შექმნა თეატრი. ამ პატარა თეიმოქმედ კოლექტივში იგი რეჟისორიც იყო, მსახიობიც, დირექტორიც და სუფლიორიც. ყველაფერს აკეთებდა უანგარო გატაცებით, ჭაბუკური მგზნებარებითა და დაუზარებლობით.

სწორედ აქ, თეთნთქმედი თეატრის სცენაზე ლ. სერდიუკმა პირველად ითამაშა ნიკიტა კრუშჩის როლი მ. კროპოვნიცის დრამაში „მივე გული ნებასა“..., როლი, რომელიც საცეცაპო გახდა დიდი მსახიობისათვის და მომავალში არა ერთხელ ითამაშა კიდევ...

1 კ. მარჯანიშვილი, მოგონებები. წერილები. მოხსენებები. თბ., 1958 წ., გვ. 194.

1919 წელს ლ. სერდიუკმა დაამთავრა კიევის ნ. ლისენკოს სახელობის მუსიკალური დრამატული ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო ხარკოვის შვერენკოს სახელობის თეატრში (1934 წლამდე ეს თეატრი „ბერეზილის“ სახელს ატარებდა). ასე მოვიდა ხელოვნებაში მსახიობი, რომელიც უკრაინული საბჭოთა თეატრისა და კინოსხელოვნების ერთ-ერთი დამფუძნებელია. მან პირველად შორის მიიღო საბჭოთა უკრაინული თეატრის მსახიობის დიპლომი, შესარულა მთავარი როლები პირველ საბჭოთა უკრაინულ ისტორიულ ფილმსა და პირველ ფილმ-ოპერაში...

უკრაინის კინოსხელოვნების გამორჩეულმა ოსტატმა, სახელმწიფოებრივმა სეკულატორმა, ჩვენმა თანამემამულე ივ. კავალერიძემ უმაღლესი შინაგან ახალგაზრდა მსახიობის ინიციატივით გარეგნული და შინაგანი მონაცემები და თავის ისტორიულ კინოთეატრში „კოლივიზინა“ შესთავაზა სერდიუკს მოვამაგირე გოლენის, ხალხის თავისუფლებისათვის მრისხანე მებრძოლის, სემიონ გონტარის როლი.

ივ. კავალერიძეს შემდეგ შეეძლო არაერთი უმუშავენი ლ. სერდიუკთან თავის ფილმში. როდესაც 1935 წელს ივ. კავალერიძე ჩამოვიდა თბილისში და გადაიღო ფილმი „პრომეთე“, ამ ფილმში ერთ-ერთ მთავარ როლს (პოლკოვნიკ სევეკას) ასრულებდა ლ. სერდიუკი.

ძალზე საინტერესოა „პრომეთეს“ გადაღების ისტორია. ეს ფილმი ივ. კავალერიძემ ქ. თბილისში გადაიღო. იგი უკრაინულ, ქართველ და რუს შემოქმედთა ერთობლივ ნაშეუყვარს წარმოადგენდა. ფილმში მონაწილეობას იღებდნენ: ლ. სერდიუკი, გ. იურა, ნ. უფეი, ჩ. ერისთავი, პ. მურდულია, შ. ნოზაძე, ი. ტვერდოსლობი, ი. შტრაუხი, ნ. ნადეჟკი და სხვანი.

„პრომეთეში“ წარმატების შემდეგ ივ. კავალერიძემ ლ. სერდიუკი მოიწვია ახალ ფილმში — „ზაპრორთიელი დუნაის გაღმა“. ს. გულაკ-არტემოვსკის ამ კლასიკურ ნაწარმოებში მსახიობს დაკვივრა მამაცი ვაჟაკის — ანდრეის როლი. აღსანიშნავია, რომ ამ ფილმშიც ლ. სერდიუკს მოუხდა ქართველ მსახიობებთან ერთობლივი მუშაობა.

ი. კავალერიძის ფილმები, ქართული და უკრაინული თეატრების გაატროლები ხაერკოვსა და თბილისში წარმო-


ადგენდა სათავეს იმ მეგობრობისას, რომელმაც სამუდამოდ დააკავშირა ლ. სერდიუკი საქართველოსთან. ქართული თეატრისა და ხელოვნების მოღვაწეებთან.

ლ. სერდიუკი რამდენიმე ათეული წელია თავგამოდებით ემსახურება უკრაინულ თეატრს, მთელ საბჭოთა ხელოვნებას, რადგანაც მისი დამსახურება გასცილდა უკრაინას და საერთო აღიარება პპოვა საბჭოთა კავშირში.

დიდი უკრაინელი მსახიობი იმ შემოქმედთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა ნიჭი მუდამ ახალგაზრდული იმგუნებადუ, დაუოკებელი და სავსეა. ტყუილად ხომ არ უთქვამს ა. ჩხეიძე, რომ ჭეშმარიტ ნიჭს სიბერე არ უწყრიოა...

სერდიუკი დღემდე მოღვაწეობს ლ. კურბასის მიერ შექმნილ თეატრში. აქ შექმნა მან შესანიშნავ მხატვრულ სახეთა გალერეა — ნიკიტა (ი. კორჩეგას „იარსულავ ბრძენი“), ანტონარენიორი კოტენკო (მ. სტარიცკის „ტალანია“), ნაზარ სტოლორი (ტ. შვერენკოს „ნაზარ სტოლოლია“), იარემა (ტ. შვერენკოს „აიოდამაკები“), გარტი (კ. პაუსტოვსკის „უბრალო გულები“), გაიდაი და კობა, პლატონ კრენტი, ტარას გოლოტა, ჩენსოტი, ბოგუნი, კრუტულია, ნენჩა, გროზა, ოფენი ა. კორნეიჩუკის პიესებში — „ესკადრის დაღუპვა“, „პლატონ კრენტი“, „სიმართლე“, „უკრაინის ველები“, „ბოგდან ხმელნიცი“, „მაკარ დუბრაგა“, „დნეპრის ნაპირზე“, „დლორის ფურცლები“, „ფროტი“. აღსანიშნავია, აგრეთვე, ისეთი საერთაშორისო ნაშეუყვარები, როგორც იყო ვგორ ბულინოვი, გორდინი, ტარტიუვი, იაროვი („ლიუბო იაროვია“), ვასკა („ჯგაშნოსანი 14-69“), დემენოვი (პ. მალიარევსკის „ქარიშხლის წინ“), მიკოლა ვორკალუკი (ი. გოლანის „სიყვარული გარიჟრაჟზე“), ჩალი (ი. ტობილევინის „სავა ჩალი“), პეტმანი ვიგოვსკი (ლ. დობტროვს „საკუნილ ერთად“), ნიკიტა გალრუკი (მ. კროპოვნიკის „მივე გული ნებასა...“) და მრავალი სხვა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ლ. სერდიუკი ვ. ი. ლენინის როლის ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელია უკრაინაში; მის მიერ შექმნილმა სახემ ნ. პოგოდი-ნის „მესამე პათეტიკოსა“ და ა. შტიინის პიესაში „დვარ-



კლარი ფილმიდან „პრომეთე“. სევეკა — ა. სერდიუკი, დლიანი — ჩ. ერისთავი.

თქვენზე შორის“ მალალი შეფასება დაიმსახურა. მითუმ
მსახიობმა მიადღია სრულ გარდასახვას და შექმნა „ყვე-
ლაზე ადამიანური ადამიანი“ — ბრძენის და მსაზროვე-
ნის, რეჟოლეუციის ბელადის მალაღმარებელი სახე.
საშუალო არ გვაქვს გავაგებთ სერდიუკის მიერ შექ-
მნილ სახეთა თუნდაც საერთო ანალიზი. მის მიერ შექმ-
ნილ მსატრულულ სახეთა რიცხვი კი ჩამოთვლილზე ვაცი-
ლებით მეტია.

სერდიუკის ყოველი თვის შესწევდა უნარი მაღალ კვარცხლ-
ბეკზე აყვანა ადამიანის გმირობა და ვაჟკაცობა, თავდა-
დება, კეთილშობილება და ემხილა, მიწასთან გაესწორე-
ბინა სიბიძლე და გამცემლობა, ვერაგობა და გონებაშეუ-
ღელულობა...

ლ. სერდიუკი იშვიათი სამსახიობო მონაცემებით დაა-
ჯილდოვდა ბუნებამ. მალალი, ახვანია, ვაჟკაცურად ნაძრწვი
სახის ნაკეთობი, ცეცხლოვანი, ჭკვიანი თვალები, ძლიერი,
გულში ჩაწმენილი ხმა — ყველაფერი ხელს უწყობდა
ახალგაზრდა მსახიობს, რომ წარმატებით ეთამაშა გმირ-
ების, რაინდების როლები. მსახიობი თეატრთან ერთად
საბრძოლოდ გამორუ-რომანტიკულად თემისადმი, ცოცხალი
თეატრალური ფორმისადმი, თუმცა ეს თვისება არ ასუს-
ტებდა მის მიერ შექმნილ სახეთა სიმართლეს, განცდათა
ფრთხილმსმულობას...

სერდიუკის მიერ შექმნილი გმირები სხვადასხვა ეპოქის,
ერთობისა და სახათიან ადამიანებისა, ერთნაირი ძა-
ლით თამაშობს ტრაგედიას და კომედიას. შესანიშნავად
ასახიერებს სახასიათო როლებს. მისი გმირები არაფრით
გაგანა ერთმანეთს.

მსახიობის შესანიშნავ გარეგნულ მონაცემებს ყურადღე-
ბა მიაქცევს არა მარტო თეატრისა და კინოს რეჟისორებ-
მა. ლ. სერდიუკის გარეგნობა მომხიბვლელი აღმოჩნდა
მონაწილეებისათვისაც, კერძოდ, ქ. ხარკოვიმ. ცნობილი
მორჩადაკის მ. მანაზერის მიერ აღმართულ ტ. გ. შევჩენ-
კის ძეგლის ირგვლივ, გმირებს შორის, რომელნიც დიდი
უკანონო მსახიობის მიერ შექმნილ სახეთა უკვდავსა-
ყოფად გამოითქვნიან, დგას ორი ფიგურა — ლ. სერდიუ-
კის ირემბა „აიდიამკებიდან“ და სემიონ გონტარი „კო-
ლოივშინიდან“.

ლ. სერდიუკის მიერ შექმნილი სცენურ სახეთა გაღერვა
უძლიერია — ორმოცეუ მეტი წლის მანძილზე მან ითა-
მაზ ორს ორმოცდაათ პიესაში...

აქ, რასაკვირველია, არ შეიძინა კინოში შექმნილი სახე-
ობა. წლების განმავლობაში ლ. სერდიუკი ხელმძღვანე-
ლობდა ტ. შევჩენკოს სახელობის თეატრს; მანვე დადგა
სატრეკლები „წავალ ბორისლავკაში“, „სავა ჩალი“ და
სხვა.

1958 წლიდან მსახიობი ნაყოფიერ პედაგოგურ მუშა-
ობას ეწევა ხარკოვის თეატრალურ ინსტიტუტში, რომლის
პროფესორიცაა წლების განმავლობაში ლ. სერდიუკის შე-
ნამუშევრები მთელს თავის შემოქმედებით და ცხოვრებას გა-
მოცდილებას უზიარებს ახალგაზრდობას, რომელთანაც ეუ-
ზიობს. ახალგაზრდობას განსაკუთრებით დიდი ადგილი
უკავია მის ცხოვრებაში.

ლ. სერდიუკი ჭეშმარიტად თანამედროვე მსახიობია. მის
შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია საბჭოთა ადამიანის,
მშრომლის, ახალი ცხოვრების მშენებლის სახის სრულყო-
ფილ ჩვენებას. ყოველ მის მიერ შექმნილ იერსახეში დიდი
მსახიობი აქუსთარ საკუთარ მოქალაქეობრივ მრწამსს, იმ
იდეალებს, რომლებითაც ცხოვრობს და მოქმედებს კომუ-
ნიზმის რიგობაზე ადამიანი — „შემოქმედს არ შეუძლია
მოწყვლად ხალხს, მისი მიღწევების ისტორიას, ცხოვრე-
ბას“... ეს სიტყვები საუფქვლად უდგეს სერდიუკის მიერ
მიღგაწობას, მიელს მის ცხოვრების რეალურებაში...

უკრაინელი ხალხის, მისი კულტურის უსაზღვროდ მოყ-
ვარული ლ. სერდიუკი არასოდეს ყოფილა ჩაკეტილი ვიწ-
რო ერთგულ ჩარჩოებში, იგი დიდად განათლებული პი-
რეზონანს, შესანიშნავად იცნობს მსოფლიო კულტურის
ისტორიას.

ლ. სერდიუკი ვერ კიდევ ტ. შევჩენკოს, ბუშინის და
ლემინტოვის ნაწარმოებებით გაცნობს საქართველოს. ჰა-
ბუკის რომანტიკული სული დატკეცვა შირველი, საიდუმ-
ლოებით მოცული მხარის ეგზოტიკა. ქართულ თეატრალ-
ურ ხელოვნებას იგი გაცნობს ქართულ თეატრების გან-
ტრლებების დრის ხარკოვი, იგი მოხიბდა და სამუდამოდ
მოაჯილდოვა კ. მარიაშვილმა, ა. ახმეტელმა, მათმა დი-
დებულმა რეჟისორულმა ნიჭმა. უკრაინულ მსახიობს უყ-
ვია უ. ჩხვიძის ურიელი, კ. ანჯაფარიძის ივლითი, ა. ხო-
რავას ოტელი და ა. ვასასია იაგო...

ქართული სცენის გამორჩენილი ისტატების შემოქმედებ-
მისთვის დღესაც მსახიობური შემოქმედების მალალი
მწვერვალებია, რომლისკენაც უნდა მიისწრაფოდეს ყოვე-
ლი შემოქმედი...

ქართული თეატრის ხარკოვიმ გასტროლების შემდეგ
(1932 წ.) „ბერეგის“ თეატრმა დადგა მ. დადიანის
პიესა „თეთრული“. დამდგმელი რეჟისორი ი. კურხანის
ეწევა საქართველოს და ქართველ მეგობრებთან ერთად
ინოვაციურ სხვათაში. დამდგმელები ეძებდნენ ქართულ
კოლორიტს, ცდილობდნენ შეეცნობნენ ქართულ სასიათები.
სატრეკლები დაკავებული იყვნენ დასის წამყვანი ძალები —
გ. კრუშელნიკი, ნ. უჯვი, ა. ბუნმა, გ. კოხჩანკო და სხვა-
ნი. ლ. სერდიუკი დაიკისრა ახალგაზრდა სცენის — გე-
ლახსანის როლი.

თუმცა სატრეკლები ვერ მიადღია დასახულ მიზანს და
მისი მთავარი იდეა დაჩრდილდა ეგზოტიკამ და მთიელთა
ცხოვრების სურათების ნატურალისტურმა ჩვენებაში, მთელ-
მა რიგმა მსახიობებმა საინტერესო სახეები შექმნეს. მათ
შორის გამორჩევიდა ლ. სერდიუკის გაბედული ახალგაზ-
რდა მთამსახიობი. ლ. სერდიუკმა გელახსანის სახეში შე-
იტანა სახასიათის სიმტიეც და ის დიდი სულიერი აღზე-
ვება, რომელიც მის მიერ შექმნილ ბევრ როლს ასახა-
ვებდა...

მსახიობის სულიერ ცხოვრებაში გარკვეული ადგილი
დაიკავა საქართველომ, ქართველმა ხალხმა, რომლის
უშუალო გაივნდა სერდიუკის ოცნებად გადაიქცა. აი, მო-
ვენი 1939 წელიც — თბილისს ეწვია ტ. გ. შევჩენკოს
სახელობის ხარკოვის თეატრი. მის რეჟერატორს იყო სა-
უკეთესო დადგმები — „ბოჯან ხმელნიკი“, „სიმართ-
ლე“, „ნაზარ სტოლია“, „მივი გული ნებასა“... „კლო-
ვის ცოლი“.

საქართველოს პრესა ფართოდ აშუქებდა გასტროლებს,
დაწერილობით აღწერდა შეხვედრებს მაყურებლებთან, ქარ-
თული კულტურის მოღვაწეებთან. ხაზსამით აღნიშნავ-
და, რომ თეატრი ჭეშმარიტად მალალი პრინციპულობის
მტარებელი კოლექტივი იყო: „შევჩენკოს თეატრი, —
წერდა ერთ-ერთი რეჟერატორი, — სწორად იმით არის შე-
ნამუშევრად, რომ იგი ატეიობის თეატრია“...

დაინახე, ამ კოლექტივის ჰყავდა სცენის შესანიშნავი
ისტატები: ი. მარიაშენკო, მ. კრუშელნიკი, ვ. ჩისტაკო-
ვა, ნ. ხაზარეკი, დ. ანტონოვიჩი, ა. ხვილია და სხვანი.
და ამ შესანიშნავ თანავარსკვლავედში ერთ-ერთ ბრწყინ-
ვალ ვარსკვლავს წარმოადგენდა ლეს სერდიუკი. ამ
თვალსაზრის შემოქმედს არა ერთი ადრთოვანებელი
სტერიორი დაუთმოს განუთქმება: „კომუნისტმა“, „ხარია
ვისტოკამ“, ჟურნალმა „საბჭოთა ხელოვნებაში“ და სხვ.
აი, რას წერდნენ იმნი ლ. სერდიუკის შესახებ: „მეტად
თბილ ლირიულ ტონებში და მალალი სტერიორული ისტა-

ტობით გადმოგვეცემს მსახიობი ა. ი. სერდიუკი პოლოვნიკ ბოგუნის სახეს... მსახიობი თავისი თამაშით მაყურებლის ყურადღების ცენტრში დგას: „(„კომუნისტი“, 1933, № 137). „აუღელვებლად, გამოსახვითი საშუალებების დაზოგვით, თამაშის სისადავით და მხატვრული დამატებებით მიტყავს ა. სერდიუკს თავისი როლი. მისი თამაში შლის ზღვარს ხელოვნებასა და სინამდვილეს შორის, იმდენად მართალია მსახიობი ადამიანის განცდების გადმოცემაში. დიდი ტემპერამენტი გამოამჟღავნა მან სცენაში ჯარისკაცებთან...“ („კომუნისტი“, 1939, № 141).

„თავისი გულითადი, თბილი თამაშით ის მაყურებლისათვის დაუეცვარს სცენურ სახეს ქმნის და მხატვრული სიმართლის დაცვით გადმოგვეცემს ძველ ყოფაში სიყვარული-სათვის თავგანწირულ ახალგაზრდის სულიერ განცდებს“ („კომუნისტი“, 1939, № 143). „მხატვრული სისადავე“, „სიმართლე“, „გულწრფელობა და რომანტიკული ვატა-ცემა“ — აი, როგორ ახასიათებდნენ ლ. სერდიუკის თამაშ რეცენზენტები.

შემაჯამებელ წერილში გასტროლების შესახებ ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ (1939, № 6 გვ. 30-35) ლ. სერდიუკის შესახებ გრ. ნუკუბიძე წერდა: „ლ. სერდიუკმა საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა, პოლკოვნიკი ბოგუნი, ნაზარ სტილია და კლოდ რუპე — სულ სხვადასხვა ყაიდის ტიპებია. სერდიუკი ყველა როლში მომხიზველია. განსაკუთრებით ძლიერი იყო იგი „კლოდის ცელში“... სერდიუკს ეს როლი ისე დეტალურად, მთლიანად აქვს დამუშავებული, რომ ვერც ერთ ცარიელ ადგილს ვერ უნახავს ამი მოქმედების მანძილზე“...

ჩვენს მიერ მოტანილი რამდენიმე ამონაწერიც კი ნათლად გვიჩვენებს თუ როგორი მაღალი შეფასება დაიმსახურა ლ. სერდიუკის ნიჭმა და ოსტატობამ საქართველოში. სადაც არ უნდა ყოფილიყო უკრაინელი დიდოსტატი, ყველგან და ყოველთვის მას თან სდევდა სიყვარული და აღტაცება, რომელმაც იგი სამუდამოდ საქართველოს დაუკავშირა... ლ. სერდიუკს არასოდეს გამოუტოვებია ქართული თეატრის არც ერთი საგანგროლო წარმოდგენა, თვალს ადევნებს თეატრალურ ცხოვრებას, მის მიღწევებს, სიყვარულით იგონებს თავის მეგობრებს.

ჩემს წინ დგას მისი წერილები... ფიქრები, მოგონებანი. რამდენია ამ მოგონებებში თქმული ქართველ ხელოვანთა შესახებ. ერთ-ერთ თავის უკანასკნელ წერილში იგი წერს: «Значит В. Анджапаридзе готовит Леди Макбет? Ой, хочу ее поздравить и позавидовать! В последнее время я часто хожу на тот Харьковский квартал, где играл театр Грузии и куда Курбас непременно нас водил... «Смотрите», «учитесь», «уважайте»... Сейчас на этом месте что-то построено, но осталась речка и одна стена театра... А в памяти имена... Марджанов, Анджапаридзе, Чхеидзе... Уриель... Юдифь...»

ა. კორნიეუკის უკანასკნელ პიესას ჰქვია „სოფნა გულისა“, ამ სპექტაკლში უდიდესი წარმატებით თამაშობენ ვ. ანჯაფარიძე და ვ. გომიშვილი... მათ სოფნაშიც აღინიშნა დიდი უკრაინელი ოსტატები და მათ მიერ შემქმნილი სახეები. გულის სოფნა მოაგონებს ვერიკო ანჯაფარიძეს, აკაკი ვასაძეს, მათ მეგობარს, დიდ შემოქმედს, კეთილშობილ, ნათელი სულის ადამიანს ლეს სერდიუკს, რომლის მივლი შემოქმედება და ცხოვრება შესანიშნავი ფურცელია საბჭოთა თეატრის იმ მატარისა, რომელსაც მრავალი ათეული წელია ერთობლივად ქმნიან ქართული და უკრაინული ხელოვნების დიდოსტატები.

პარბალაკ ცნობილი, რომ ანდრია ბალანჩვიძის პირველი სიმფონია ეპოქალური ნაწარმოებია, რომელსაც განაპირობა ეროვნული სიმფონიური არტოვების განვითარების გზები.

ამ ცოტა ხნის წინ თვით ავტორის ინტერპრეტაციით კვლავ მოვისმინეთ ჩვენთვის ესოდენ ნაცნობი, თითქმის ზეპირად შესწავლილი ნაწარმოები. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით კომპოზიტორის შორისმჭერტელობაში.

თითქმის ოცდაათი წლის წინ დავწერილი ეს ნაწარმოები დღესაც აქტუალურია; იგი ისევე ალღევებს და იტაცებს მსმენელს, როგორც თავისი დაბადების პირველ წელს. ასეთი ბედით მხოლოდ ჭეშმარიტი მხატვრული ბიძა და დიდი ტალანტით აღბეჭდი-



ს ა ს ი ხ ა რ უ ლ ო შ ე ხ ვ ე დ რ ა

მირა ფიჩხაძე

ლი ნაწარმოების სვედრია. ამიტომაც არ დაემორჩილა იგი არც დროსა და არც თაობათა ცვლას...


საქართველოში ამ ორმოცდაათი წლის წინ დაიბადა ახალი ხელოვნება — საბჭოთა მუსიკა. ეროვნული კულტურის განვითარებისათვის ნახევარი საუკუნე ცოტაც არის და ბევ-

რიც. ქართული საბჭოთა მუსიკა გამდიდრდა ახალი ჟანრებით, ფორმებით, გამომსახველობითი საშუალებებითა და ხერხებით, ახალი თემატიკით. იგი ითვისებდა წარსულის ტრადიციებს და დაჟინებით ეძებდა საკუთარ შემოქმედებით გზებს.

ყოველ ათწლეულს თან ახლდა უა-

ღრესად მნიშვნელოვანი მონაპოვრები; მათ შორის ორმოციანი წლები განსაკუთრებული აღმოჩნდა ქართული სიმფონიური მუსიკის ფორმირებისათვის. ამ პერიოდში დაისახა ეროვნული მუსიკის განვითარების შემდგომი გზები, რაზედაც თვალსაჩინოდ მეტყველებენ შალვა მშველი-

ღირეორობის ანდრია ბალანიჩივაძე.





ძის სიმფონიური პოემა, „ზევიდაური“ და ანდრია ბალანჩივაძის პირველი სიმფონია.

ამ ნაწარმოებთა ნოვატორობან თავი იჩინა ზოგადვერსოული და ეროვნული მუსიკალური ტრადიციების ორგანულ სინთეზში.

„ზევიდაურმა“ და პირველმა სიმფონიამ გაატარეს ტრადიციის და ნოვატორობის პრობლემა.

ახლა, როდესაც დრო ყოველ ნაწარმოებს თავისი ადგილი მოუნახვ, ანკარა — მშველიძის „ზევიდაური“ და ბალანჩივაძის პირველი სიმფონია ქართული საბჭოთა მუსიკის კლასიკაა, ისინი სამავალითო ნაწარმოებებად იქცნენ.

ანდრია ბალანჩივაძის პირველ სიმფონიაში აისახა სამამულლო ომის თემატიკა. ამ სიმფონიის დიდი რეჟისონანსი, მხოლოდ მისი მხატვრული ღირსებით როდი იყო განპირობებული. მასში გადატარა ქართული მუსიკისათვის ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემა: ქართული სიმფონიური მუსიკა გამოვიდა ეროვნული ჩარჩოებიდან, ეროვნული გადაზარდა ზოგადკაცობრიულში. ამასთან ამ სიმფონიაში არ დაკარგა თვითმყუდარი ეროვნული თვისებები. იგი ახლობლი აღმოჩნდა ფართო აუდიტორიასთვის. ანდრია ბალანჩივაძის პირველი სიმფონია თათბებს გადაეცემა, როგორც მაღალი იდელებისა და დიდი პატრიოტული სულისკვეთების გამოხატონება. ამ ნაწარმოებს არ გააჩნია კონკრეტული პროგრამულობა, მაგრამ ეს არ ასუსტებს მისი შინაარსის სიმძლავრესა და დრამატურგიულ სიკვებურეს. საშობლო დაცვის თემა კომპოზიტორისათვის იქცა დიდი მნიშვნელობის ცხოვრებისეულ პრობლემად.

ხელოვნება მიაღწია კონკრეტული სახეების განზოგადებას. ქართველების მამაცობა და თავდადება მივლი საბჭოთა ხალხის პატრიოტული სულისკვეთების გამოვლინება იყო. ამიტომაც პირველი სიმფონიის მკაფიო ეროვნული ხასიათი, ესოდენ ახლობელი ქართული მსმენელისათვის, არანაკლებ ახლობელი აღმორჩა ყველა იმათთვის, ვინც კი ამ წლებს სიმძიმე განიცადა.

მაგრამ იგი ომის ქარცეცხლსა და აგედიტობას იმათაც განაცდევინებს, ვისაც არასოდეს უნახავს ომი და მხოლოდ წიგნებისა და კინოფილმების საშუალებით ეცნობა მას. მაგრამ ამ სიმფონიაში არა მარტო ცოცხლდება ტრავიკული წარსული, არამედ იგი ქლერს გამარჯვების რწმენად.

ბალანჩივაძის პირველმა სიმფონიამ ყურადღება მიიქცია ტრადიციული კლასიკური ფორმის ახლებური გაზრებითაც. ეს კანონსომიერი იყო, რადგან შთაბანიქრის თვითმყუდლობამ გამოიწვია დაკანონებული ფორმის რღვევა. მსმენელი მას აღიქვამს როგორც უსარმაზარ მონუმენტურ ტიტონს, მისთვის სიმფონიის თთხს ნაწილი ერთი მოლიანი დრამატული მოთხრობის თთხი სხვადასხვა თავია.

მსმენელს წინაშე ჯერ გაივლებენ ნათელი ლირიკული სახეები, ირვლივ მზიური განწყობილება სუფვს. — პირველ ნაწილში ყოველდღიური ყოფიპირობების სურათია აღბეჭდილი. მაგრამ ეს ნაწილი არა მარტო ღიმილითა და სიხარულითაა განმსჭვალული. მის დასკვნით ეპიზოდში უტყრად შემოიჭრება „საიერიშისა“ და „საჭიდაო“ ინტონაციები, რომლებიც თითქმის აფრთხილებენ მსმენელებს — მშვიდობა დროებითია, ეარდაუვალა ხანგრძლივი, მუერიგებელი ბრძოლა. მართლაც, მეორე ნაწილი — ნათელი, პაეროვანი ვალსი — აგრძელებს პირველის განწყობილებას, მაგრამ მას მაინც აღარ შეუძლია წაშლის მღელვარებისა და წუხილის მოლოდინი. და აი, უბედურებამ თავი იჩინა. სწორედ აქ ხდება კლასიკური ციკლის დარღვევა, რაც სიმფონიის ნაწილების გადადგელებას იწვევს. სიმფონიის დრამატურგიული ცენტრი მესამე ნაწილში მოცემული. მას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება — სწორედ აქ ეკავიანება ერთმანეთს საწინააღმდეგო ძალები. ის, რაც ნახასასის სახით ისმოდა პირველ ნაწილში, მესამეში უკვე მელიდურად ქლერს... „საჭიდაო“ და „საიერიშო“ ასახავს ხალხის სიმამაცეს. მაგრამ ეს არ არის ბატალური სცენა — აქ განზოგადებულია ქართველი ხალხის გმირობა, რომელიც უსთოვანი დრიო-

დან დაჰყვა მას. თანამედროვეობის ისტორიის ენმარება, აწმითი ცოცხლდება წარსული. და კვლავ ჩანადიქრის კარნახობს ავტორის დარღვევის ტრადიცია. ორნაწილიანი ფინალი განვლილი დრამის ორი ტრაპია — დადრულ სიმითა დატირება და გადარჯვების გემო...

ანდრია ბალანჩივაძის პირველი სიმფონიის ავტორისეული შესრულება მოვლენად იქცა. კომპოზიტორისადირიქტორ პულტონას საკუთარ ნაწარმოებში პოული მესამე ისეთ საიდუმლოებას, რომელიც, მხოლოდ მისთვისაა მისაწვდომი.

ანდრია ბალანჩივაძემ მსმენელი გაიტაცა ტემპერამენტიც, მგზუნებარებიც;

კმკლუცად, მსუბუქად გაიგუვა პირველი ორი ნაწილის ნათელმა, ლირიკულმა სახეებმა. კომპოზიტორის ლაღად დასიქრობდა. მიული დრამატიზმი ჩაატოვა მან მემდეგ ორ ნაწილს. ეპიურობამ, დაძაბულობამ, ტრავიკულმა გრანდიოზული მოცელობა მიიღო. მესამე ნაწილი ა. ბალანჩივაძემ გატაცებით, კომპაქტურად, ერთი სუნიქვით შესაწულა. სვედიანი ქორალი — მსხვერპლთა დატირება — დირიქტორმა ტრავიკულ სიმალღევე აიყვანა. ხოლო სიმფონიის ფინალმა ამაღლებული ფანფარული მოწოდებებითა და საზეიმო კოდით, ელვაფერ დაავიერვინა მიელი ციკლი.

არტიკულმა ტემპერამენტიცა, დიდე მუსიკისის ინტუიციამ და ინტელექტმა განაპირობეს ანდრია ბალანჩივაძე-დირიქტორის წარმატება.

ანდრია ბალანჩივაძესთან ერთად ესტრადაზე გამოვიდა მისი ვაჟი, ნიჭიერი პიანისტი ჯარჯი. მან შეასრულა ჩაიკოვსკის პირველი კონცერტი. მოგვიბოლა ჯარჯი ბალანჩივაძის ლირიკულმა პოეტურობამ. ანდრია ბალანჩივაძეც სწორედ ასე დირიქტრობდა ამ ნაწარმოებს. მან წინა პლანზე წამოსწია ჩაიკოვსკის კონცერტის ლირიკული საწყისი. ჯარჯი და ანდრია ბალანჩივაძეების შესრულებით ეს კონცერტი რომანტიკული უშუალობითა და სისადავით გამოინტოდა.



მსიმა ბგერის ხელოვნება. იგი არ იძლევა ხელ-
ვით სახებს, არ მტკველებს სიტყვებითა და შეხე-
დულებებით. იგი მხოლოდ ბგერებით ლაპარაკობს.

3. ნიკაპუზი.

ბგერის ნაკოპხნა უორტაქიანოზა და ჟილი ნინაქიროზაჟი

ლიანა ნიკაბაძე

ჰასანსანმლი წლების მანძილზე მუსიკალურმა განათლე-
ბამ, კერძოდ კი პიაანსტური ხელოვნების შესწავლამ, მასობ-
რივი ხასიათი მიიღო. თანამედროვე საფორტეპიანო ხე-
ლოვნება როულ ამოცანებს უსახავს ამ დარგის სპეციალის-
ტებს, განსაკუთრებით კი პედაგოგებს, მის სერიოზული,
დიდა და წინიდაა აღმზარდების ხვედრი. მის ხელთაა ადა-
ნაიანის ცხოვრების ბედი¹. ბ. ბ. ბელინსკის ეს სიტყვები
წრცელდება მუსიკოს-აედაგოგებზედაც; მათზეა დამოკიდე-
ული აღსაზრდების მოქვალი. მხოლოდ მაგაფოდ ჩამო-
ყალიბებული აედაგოგიური მეთოდით შეძლებს იგი ბავშ-
ვი აზიაროს მუსიკალური ხელოვნების როულ სპეციფიკას,
გაუღვიბოს მისადამი ისტერიენი და სიყვარული. ფართო მუ-
სიკალური ერუდიციითა და მრავალმხრივი განათლებით
შეიარაღებული აედაგოგი მართებულად წარმართავს მოზა-
რის აღზრდას და დამოსტატებას, მის წინ მძაფრად წამო-
ჭრილი, ურთულესი მატატორული და იდეური საკითხები გა-
დაწყვეტას. საჭიროა ეღეთი პედაგოგიური მეთოდოლოგიის
ჩანთყალიბება, რომელიც ხელოვნების სხვადასხვა დარგის
თავისებურებათა გაზოგადებაზე იყენება დაფუძნებულია. მან-
ი ურთიერთშეესებათა და დაკავშირებით მკაფიოდ გამოვ-
ლიხდება თავად მუსიკალური ხელოვნების სპეციფიკა. ამი-
ტომაც პედაგოგმა სწავლების დასაწყისიდანვე კომპლექ-
სური პრინციპით უნდა წარმართოს მოსწავლეთა აღზრდა.

მუსიკალურ ნაწარმოებში ბავშვი უნდა შეხედოს საკი-
სათვის შესაფერის სახებს, ყოფაცხოვრებისა და ბუნე-
ბის სურათებს. საჭიროა მასში აღეზარდოს დაკვირვებისა
და მუსიკალური აზრის ამოკითხვის უნარი.

დაკვირვება და ყურადღება გადამწყვეტ როლს ასრუ-
ლებენ საგნისა თუ სოვლების აღქმამი. სისტემატური გო-
ნიერი დაკვირვება შეესაბამება წყაროს. ყურადღება და დაკ-
ვირვება აძლდრებენ წარმოსახვას, აფართოებენ საერთო
პიროზოტს, ანეითარებენ ისტერესსა და ცნობისმოყვა-

რობას ვარემომცველი სინამდვილისადმი. ყურადღებისუც-
ისტერესის მთახურგვა კი თითოეული პედაგოგის ვალია.

მოსწავლე უნდა შეძლოს თავისი მთავრედილოებისა
და შეგრძობების გადმოცემა მუსიკალური გამოსახვე-
ლობით. ამ მხრივ არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ბგერის
წარმოქმნას, რომელიც, თავის მხრივ, უთოულეს ტექნიკურ-
სა და მხატვრულ ამოცანას წარმოადგენს. ამ ამოცანის გა-
დაწყვეტამდე საჭიროა ყველა იმ წინამძღვრის დაუფლება,
რომელთა გარეშე შეუძლებელია ბგერის წარმოქმნის პრაქ-
ტიკული განსორციელება. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს
ინსტრუმენტთან სწორად ჯდომა. ინსტრუმენტთან ჯდომის
გამოსწავლება ერთი რთულიმე, განსაზღვრული ფორმე-
ლის მიხედვით როდი ხდება. ამ შემთხვევაშიც დიდი მნი-
შვნელობა ენიჭება მოსწავლის ინდივიდუალურ მონაცე-
ნებს, მაგრამ ვიდრე ეს მონაცემები გამძლავდება, უნდა
ვისვლმძლავნელთ იმ საერთო პრინციპებით, რომლებიც
უკვე დადგენილია და შემოწმებული პედაგოგთა წინამორ-
ბედი თათობის მიერ.

როგორია ეს საერთო პრინციპები?
ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელი ხდება
მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთმანეთს შევადარებთ ინს-
ტრუმენტთან ჯდომის ადრინდელსა და თანამედროვე შესე-
დულებებს.

1. ა) „კლავიშებიან საკრავებზე დაკვრის შემსწავლელი
უსნა იჯდეს კლავიატურის პირდაპირ“.
- ბ) „კლავიშებიან ინსტრუმენტებზე დაკვრის შემსწავ-
ლელის სხეულმა არ უნდა გააკეთოს არც ერთი შედმეტი
სომართობა.“
- თავი და სხეული დამკვრელს აუცილებლად უნდა გვიროს
აირდაპირ და მოხდესილად.“ (ჭიოთლამი დირუტა
166, წ. 2).
2. ა) „სწორი ჯდომისათვის აუცილებელია, იდაყვები,
ხელის ძტველები და თითები კლავიატურის მიმართ ეროსა
და იმავე დონეზე იყოს. ჯდომის მდგომარეობის არჩევი-
სას ამ წესით უნდა ვისვლმძლავნელით.“
- ბ) „იმისათვის, რომ ბავშვის კიდურები (ფეხები) პე-
რნი არ ევიდოს და სხეულს წონასწორობა არ დაკარ-
გოს, საჭიროა მის ფეხტვემ რაიმე დასაბჯენი საგანი მოვა-
თავსოთ.“
- გ) „მოზრდილი ადამიანის ზედა ტანი კლავესინიდან
დაახლოებით 3 დიუმის მანძილით უნდა იყოს დაცილე-
ბული, ბავშვებისათვის ეს მანძილი შესაბამისად მცირ-
დება“.
- დ) „სხეულის შუა ნაწილი უნდა ემთხვეოდეს კლავია-
ტურის ცენტრს.“ (კუპერენი, 1668-1733 წწ.).
3. ა) „შემსრულებელი ინსტრუმენტთან უნდა იჯდეს
კლავიატურის შუა ნაწილის პირდაპირ, რათა მისთვის
ინთხიანთად ხელმისაწვდომი გახდეს როგორც ყველავე მან-
ვალი, ისე ყველაზე დაბალი ბგერები.“ (კ. ფ. გ. ბახი,
1714-1788).⁴
4. ა) „განსაკუთრებით გთხოვთ — ფორტეპიანოსზე ვარ-
ჯიშისას მიიღოთ სასიამოვნო, თავისუფალი, სათახადო
დგომარეობა. საკამი ისეთი სიმბოლოსა უნდა იყოს, რომ
თავისუფალ მდგომარეობაში თქვენი იდაყვები კლავიშების
წედაპირზე იდხავდნენ მაღლა მოქცეულს. თუ თქვენი ფეხები არ
ესება იატაკს, მაშინ აუცილებელია მოიშველიოთ შესაბა-
მისი პატარა საკამი.“
- ბ) „უნდა დაჯდეთ ყოველთვის ზუსტად კლავიატურის
შუა ნაწილის პირდაპირ, თანაც ისე, რომ მოხრდილი იდაყ-
ვები მხრებთან შედარებით რამდენადმე უფრო ახლოს
იყოს კლავიშებთან.“
- გ) „არანაკლებ საჭიროა მივეჩვიოთ თავისა და სხეუ-



ლის ლამაზად და თავისუფლად დატერას. არ შეიძლება თავს დასერილი, ან მოხრალი ჯდობა.⁴

დ) „ყველაზე მთავარია ბუნებრიობა; ფორტეპიანოსთან“ „არაბუნებრივი“, დაბალი მდგომარეობა დაუშვებელია. არ შეიძლება „ხის თოჯინასავით“ ჯდობა“ (კ. ჩერნი, 1791-1857)⁵.

5. „ძალიან ახლოს ჯდობისა შეუძლებელია დაკვრა“. (გენსტლერი, 1814-1883)⁶.

ჯირითადად დირუტას ტრაქტატი ჩვენამდე მოღწეული ამ დარგის ლიტერატურის პირველი წიგნია. მის გამოცემაზე შემდეგ 300 წელზე მეტი გზობა, მიუსვლავად ამისა მსგავს გამოთქმებს, ინსტრუმენტთან ჯდობის შესახებ, საბჭოთა პიანისტური სკოლის ოსტატებთანაც ვხვდებით. მაგალითისათვის მივმართოთ გამოჩენილ საბჭოთა პიანისტსა და პედაგოგს კ. ნ. იგუმოვს (1873-1948 წწ.).

1. „სკამი მთლიანად კი არ უნდა დაიკავიოთ, არამედ ჩვეოვრად მის ნახევარზე. ჯდობის მდგომარეობის არჩევანის ყოველთვის უნდა გავსაოგდეს, რომ იდაყვი არ გვეჭიროს კლავიატურის დონის ქვემოთ“.

2. „სხეული უნდა გვეჭიროს კლავიატურის შუა ნაწილის ზუსტად პირდაპირ, ოდნავ წინდახრალი, სასუნთით თავისუფლად, ბუნებრივად, ძალდაუტანებლად“.

3. „არ უნდა მოვიხაროთ ზურგში“.⁷

ამრიგად, ყოველივე ეს ემთხვევა ჯემით დასახელებულ ავტორთა აზრებს. გავეცნობთ თანამედროვე საფორტეპიანო პედაგოგიკის ერთ-ერთი მეთოდისტის ა. ალექსევიჩის შეხედულებას:

„სანამ ბავშვებს დაკვრას დაეწყებინებთ, აუცილებელია, ინსტრუმენტთან მათი სწორად, მოხერხებულად, თავისუფლად დასმა. საჭიროა ყურადღება მივაქციოთ იმასაც, რომ ბავშვი არ მოიხაროს და არც დაძაბულად, „სარგადელაპაულივით“ იჯდეს. შესრულების დროს მხრები აწეული უნდა ჰქონდეს, იდაყვები ხსუსოს არც მიაჯიხონს და არც ზედმეტად გაშალოს. დაახლოებით კლავიატურის სიმაღლეზე უნდა გჭიროს იდაყვიანი. დამაკარგებელი შესრულებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფეხების, განსაკუთრებით კი ქუსლების გარკვევად დაყრდნობას. ვინაიდან ბავშვი ფეხებით ვერ წვდება იატაკს, ამიტომ საჭიროა ფეხებივე პატარა სკამი შეუდგათ“.⁸

აქვე შეხედულებათა სრული დამთხვევა.

შემოთხვევის შესაძლებელია დამატოს შემდეგი: „ჯდომის სიმაღლე უნდა შეფარდებული იქნას პიანისტის სიმაღლეს, ხოლო სკამის დაშორება კლავიატურიდან — პიანისტის ხელების სიგრძეს. ამიტომ ბავშვებისათვის გვიცნობს სკამის მიახლოება ინსტრუმენტთან, ხოლო მოზრდილებისათვის პირიქით“ — დამოწმება.⁹

თანამედროვე საფორტეპიანო პედაგოგიკა ყველაზე უფრო მისაღებად თვლის მდარებით მაღალ სკამზე ჯდობას. მართლაც, დაბალზე ჯდობისას, პიანისტს თითქმის ვითომუბა მხრები, წინა მხარი და დაკვრა ერთობლივად ვითვითობს სრულდება. მაგრამ ყველა პიანისტს მორთინარად დიდ დაჯდება, ეს არც არის აუცილებელი, ვინაიდან ჯდობა დამოკიდებულია დაკვრის სტილზეც, ხოლო ეს უკანასკნელი სრულდება პიანისტს სხვადასხვაგვარი აქვს.

ერთი სიტყვით, მთავარია ინსტრუმენტთან მოხერხებულად, ბუნებრივად ჯდობა. ხშირად ერთი და იგივე სკოლის პიანისტებიც კი სხვადასხვაგვარად სხედან ინსტრუმენტთან. მაგრამ ეს გამოწვეულია მათი შემოქმედებითი ინდივიდუალობითა და შესრულებული ნაწარმოების ხასიათით.

სწავლების დაწყებისთანავე ბავშვი უნდა შეეახვიოთ ხელის რბილ მოძრაობებს, შემდეგ საჭიროა მას განუვითაროთ მოძრაობათა შემამსუბუქებელი ჩვენები, რაც მომავალ

პიანისტს კლავიატურასთან საჭირო დამოკიდებულებას გამოუწვევებს.

მოიყვანენ დამაჯერებელ მაგალითს — რენტგენოლოგ როზინის დაკვირვების ლისტის მოწვევის ვერა ტიმონინას ხელზეზე, რომელიც ლენინგრადის კონსერვატორისთან არსებული მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგი იყო. 70 წლის ასაკში ვერა ტიმონოვა კიდევ მონაწილეობდა კონცერტებში¹⁰ და თანდათან ვეკურობდა ხელბას დიფორმაციას, პოულობდა დაკვრის შესაძლებელ ხერხებს.

მიზანი ერთია — დასაწყისიდანვე საჭიროა თავისუფალი, ბუნებრივი დაკვრა ნახევრად მიმგრებულად თითქმის. როგორია ხელის ფიზიკური აგებულება? არამუსიკოსებისაგან ხშირად გვხვდება — ამ ბავშვს გრძელი, ნაწივილი პიანისტური თითები აქვსო, მაგრამ ლამაზი ბგერის მიღება ყოველთვის როდია დამოკიდებული ხელის ფიზიკურ აგებულებაზე, მის სიგრძეზე. ზოგჯერ პატარა ხელის უფრო ლამაზსა და საესტ ბგერას გადმოსცემს, ვიდრე დიდი. ამიტომ არ უნდა დავეყრდნობთ პიანისტის ხელის მხოლოდ ფიზიკურ მონაცემებს, როგორც ბგერის ხარისხის განმსაზღვრელ ერთადერთ ფაქტორს.

დამწყებ პიანისტებს არ უნდა მოვითხოვოთ ასაკისათვის შეუფერებელი ძლიერი ბგერები დაკვრა. მხედველობაში უნდა მივიღოთ ბავშვის ფიზიკური მონაცემები. ბერა უნდა იყოს ბუნებრივი და არა ხელივინუად ხმამაღლი. ბგერას წარმოქმნა დაკავშირებულია მხარის, წინა მხარისა და ხელის მტევნის შეთანხმებულ მოძრაობასთან, რაც ხელის ზუსტობას თავისუფალ ვლერაობას.

ხელის მტევნის, მხარისა და წინა მხარის შეთანხმებულ მონაწილეობის გარეშე ხელი დატვირულობს განიცდის, მხოლოდ ერთობლივი მოძრაობებით იძლევა, საჭიროებისამებრ ბგერას სიძლიერის მოცულობას ან მომატების ბუნებრივ საშუალებას. ერთობლივი მოძრაობა განსაზღვრავს აგრეთვე კაპრდებისა და ოქტავების, პასაჟების, ტრემოლოებისა და ტრელების სწორად დაკვრას.

სწავლების პროცესში ყოველივე ამის გამოთქმევა ძალდაუტანებლად და თანმიმდევრულად უნდა ხდებოდეს. წინაა, ხელის დაყენების შესახებ: „იწერებოდა სპეციალური ტრაქტატიები და დებულებები. დღეს საფორტეპიანო პედაგოგიაში მოიხსნა „ხელის დაყენების“ დამოუკიდებლად განხილვის საკითხი. თანამედროვე საფორტეპიანო პედაგოგია ქადაგებს თავისუფალ, ბუნებრივ დაკვრას. ხელის დაყენება“ არ უნდა იყოს თვითმიზნური, იგი უნდა ემორჩილებოდეს მუსიკალური ენის, სახეებისა და შინაარსის გადმოცემას;

პიანისტის ხელის მდებარეობის შესახებ არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. გავხვდით შორეულ წარსულს, განვიხილოთ ამ საკითხის შესახებ არსებული შეხედულებანი. ისინი თვალსაჩინოდ მტყვევლებენ თუ როდენ დიდი ყურადღება ექცევა „ხელის დაყენების“ საკითხს საფორტეპიანო პედაგოგიაში.

1. ა) „დაკვრის დროს“ აუცილებელია მკლავი ერთადედს მტევნას, ხოლო ეს უკანასკნელი ყოველთვის ვით დინუნეზე უნდა იყოს მკლავთან (არც ზევით და არც ქვევით რაც მაშინ ხდება, როცა მაჯა ძალზე მაღლა აწეულია“)

ბ) „აუცილებელია თითების ოდნავ მოღვრება და კლავიშებზე მათი განლაგება თანაბარი სიმაღლით“.

გ) „კლავიატურაზე მტევანი ძალზე თავისუფლად დრბლობდა უნდა გვეჭიროს, ვინაიდან უამისოდ თითები შეძლებენ სწრაფ და ზუსტ მოძრაობას, და ბოლოს, საჭიროა კლავიშებზე თითების დაწოლა და არა დატყვება“.

დ) „აუცილებელია აგრეთვე თითების კლავიშებიდან დროულად აღება“.

ე) „კლავიშებზე დაწოლისას მელდობა თანაბრად და

შეუწყვეტლად ქლერს, ხოლო დარტყმისას დანაწევრებულად...“ (ღირსეული).¹⁰

2. ა) „ზოგერთი მასწავლებელი ხელს ისე აყენებს, რომ მაკა მტყენის ქვემოთ ექცევა, რაც დიდი შეცდომაა, რადგან მამინ მტყენის ძალა ეკლებათ.“

ბ) „სოფლის კი მაკას მტყენის ზვევი სწევს; ამ დროს თითები ჩხირებივით სწორდება, იჭიმება, არც ესაა სწორი.“

გ) „ხელის დაყენების დროს საჭიროა მაკა და მტყენი ერთ ოდნევე იყვნენ.“ (დები, XVII საუკ.)¹¹

დ) „სლავების პედაგოგის ყველაზე დიდი ნაკლია ხელის დაყენების უცოდინარობა, მისი შედეგია დაკერის ცუდი ჩვევები... ეს ნაკლი ხშირად მთელი ცხოვრების მანძილზე აბრკოლებს შემსრულებელს. აქ ბრალი ედება იმ პედაგოგს, რომელმაც სწავლა დაწყო მანამ, ვიდრე ამატოვებდა ისეთი პედაგოგის შერჩევას, რომელიც არ ჩაუზრუნავს ბავშვს ამ ცუდ ჩვევას.“ (სენ-ლაშბიერი — 1610-1696 წწ.)¹²

4. პირველ გაკვირვებულზე საჭიროა ვერჩიოთ ბავშვებს, არ იმედადონთ მასწავლებლის გარეშე. ბავშვების ყურადღება გახლეჩა და ამიტომ ისინი თვალყურს ვერ აღწევენ ხელის მართებულ მდებარეობას. პირადად ზედ, როცა ბავშვებთან ვიწვევ მკაცრად, თან მაქვს ინსტრუქციები გასაძლელი, რათა ჩემი არყოფნისას არ გადაუჭონ ის, რასაც ასე გულმოდგინედ ვუბნერავდი მათ სამი მეთოდის საათის განმავლობაში“ (კუპერნი)¹³.

5. ა) „ხელის მდებარეობა სწორია, თუ მისი წინა ნაწილი ოდნე დასრულია კლავიატურისაკენ.“

ბ) დაკერისას თითები მომრგვალებული უნდა იყოს, ხოლო კუთხები დაუჭიმავე. ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან მითითებული მოთხოვნითაა ყოველთვის არ სრულდება. შეზღუდულობა ბიჭებს ყოველგვარ მოძრაობას.“ (ბაბი)¹⁴.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კ. ჩერნის პრინციპები, რომლებიც მას სპეციალურ წიგნებში ჩამოაყალიბა.

ა) „კარგი ხელები“ ჩერნი გულისხმობს ყველაფერს, რაც კი საჭიროა ფორტეპიანოზე დაკერისათვის: „მოქნილობა, სიმარტივე, ძალა“. მისი აზრით, ხელები არ უნდა იყოს „არც ძალიან სუსტი და არც ძალიან მძიმე“.

ბ) ხელის სწორი ნაწილი უნდა ქმნიდეს (იდაყვიდან თითებამდე) სწორ, პორიზონტალურ ხაზს. ხელის მტყენები არ უნდა იყოს არც ამოზნექილი და არც ჩაზნექილი. თითები ისე უნდა მოხაროს, რომ მათი დაბოლოება და გამწვანოება ცხრი ყოველთვის ერთ ხაზზე მდებარეობდეს.“

გ) კლავიმებს უნდა შევხებით მხოლოდ თითების რბილი ნაწილით და არა ფრჩხილებით და თითის ბოლო სახსრის გასწორებულზე ზედაპირით.

ზედა კლავიმებზე შეხებისას თითების დაბოლოებანი ოდნე უნდა გაემართოთ, მაგრამ ისე, რომ თითი არ გაიშალოს.

კლავიმებზე დარტყმა წარმოებს თითებით, მაგრამ ისე, რომ ყოველი კლავიში ჩაიწიოს დაწოლის შემდეგ და არა დარტყმის შედეგად. ამიტომ არც ხელის მტყენი და არც მთლიანად ხელი არ უნდა მოძრაობდეს უშედეგოდ.

ქვედა კლავიმებზე უკარგეს მათი წინა, ფართო ნაწილის შუაში...“

დ) „დარტყმისას კლავიშს არ უნდა შევხებთ „გვერდიდან ან ორიდან“, თორემ შეიძლება თითი მოგვიხდეს მუხობოდ კლავიმზე და წარმოქმნათ ყალიბ ბეჭეა; ეს კი შესაძლოა ყველაზე აუტანელი რამაა.“

ე) კლავიმზე ერთი თითი დაწოლისას, დანარჩენები თავისუფლად მდგომარეობაში უნდა იყოს აწვეული, მაგრამ ოდნე მომრგვალებული. ვინაიდან ყოველმა კლავიმმა ბეჭეა თავის დროზე უნდა გამოსცეს.

ცერა თითი უმნიშვნელოვანესია; იგი არასდროს არ უნდა მოვაკიეთ კლავიატურის გარეშე; ისე უნდა გვეჭიროს, რომ მისი ბოლო ყოველთვის ქვედა კლავიმზე მდებარეობდეს.

ყველა ჩამოთვლილი წესის შესრულებისათვის აუცილებელია, იდაყვი ამ მოვებით სხეულს, ხოლო ხელის მტყენის ზედა ნაწილი კი თავისუფლად გვეჭიროს და არ შევხებით სხეულს.“

3) კლავიმებზე სწორი დარტყმა მოითხოვს შედგენი პირობების შესრულებას:

1. „კლავიმზე დარტყმა უნდა ხდებოდეს სავსებით შევსულად, ე. ი. ზვევიან ქვევით, მის შუა ნაწილზე და არა ირიბად, კლავიშის კიდეზე.“

2. „დარტყმისაგან კლავიში იმდენად უნდა დაიწიოს, რომ მივიღოთ სრული ბეჭეა.“

3. „თითი, რომლითაც ვეხებით კლავიშს, ძალიან მაღლა არ უნდა იყოს აწვეული, თორემ ბეჭასთან ერთად წარმოიქმნება კლავიმზე დარტყმის ხმაური (ბიძგები).“

4. „ძლიერი დარტყმების დროსაც კი მტყენი და ხელი არ უნდა ირჩებოდეს და ხტოდეს აქეთ-იქით.“¹⁵

აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა თავის მოხსენებაში „ვეფხისტყაოსნის“ მაგალითზე ახლებურად განიხილა ქართული ლექსთწყობის მრავალი საკითხი. იგი ამტკიცებს, რომ ქართულ ლექსთწყობას (წინააღმდეგ დამკვიდრებული ტრადიციისა) საფუძვლად არ უდევს კლასიკური ლექსთწყობისათვის დამახასიათებელი სინდიდეები — ქორე, დაქტილი, პეონი და სხვა; ქართულ ლექსში მახვილი არ არის მეტრიკული და რიტმული ერთეულების მარეგულირებელი; ქართულ ლექსში დიდ როლს ასრულებს მიჯნის ფაქტორი; „ვეფხისტყაოსანი“ შექმნილია ოქროს კვეთის პროზორციით...

შემდეგ მოხსენებელმა უპასუხა რამდენიმე საინტერესო შეკითხვას.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორებმა ნოდარ ნათაძემ, აკაკი ხინთიბიძემ, პროფესორებმა აკაკი ურუშაძემ, გივი გაჩეჩილაძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა თამაზ გამყრელიძემ, შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანაშრომელმა როლანდ ბერიძემ და აკადემიკოსმა ალექსანდრე ბარამიძემ.

დასასრულ საბოლოო სიტყვით გამოვიდა აკადემიკოსი გიორგი წერეთელი, რომელმაც სასარგებლოდ ჩათვალა კამათში გამოსულ მეცნიერთა შენიშვნები და ყველა მათგანის მიმართ გამოთქვა თავისი აზრი.

სხდომათა დარბაზში





ივანე გოგიაშვილის

თეატრალური ნაწარმოები

გიორგი გოგლიძე

ივანე გოგიაშვილი გამოჩენილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე იყო. მას დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული მწერლობის, კერძოდ, ლიტერატურული კრიტიკის, ხელოვნების, ესთეტიკის სფეროში. თეატრალურ ხელოვნებასთან დაკავშირებული მისი წერილები დღესაც დიდი ინტერესით იკითხება, რომლებშიც ავტორი გვევლინება მარქსისტული მსოფლმხედველობის დამცველად.

უაღრესად ნაყოფიერი იყო ივ. გომართლის მოღვაწეობა საქართველოში სამჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც. მან ბევრი წერილი უძღვნა განახლებულ ქართულ თეატრს. ივ. გომართლი თეატრს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა როგორც თვითმეცნიერის გაღვიძების, ჩვენი კულტურის აღორძინების საქმეში. ქართული თეატრის დამოძღვნილი მისი წერილები, რეცენზიები, შეფუძლებები... გვიხიბავს ტყეად შინაარსით, ლოკალით, ხელოვნების არსში ღრმად წვდომის უნარით.

ალანსინავია მისი რეცენზია „პამლეტი ჩვენს სცენაზე“, რომელშიც მარჯანიშვილის მიერ განხორციელებული საექსპლუატაციო („პამლეტი“) კლასიკური ანალიზია მოყვანილი. ინტერესს მოკლებული არ იქნება თუ გაიხივნიებთ ზოგიერთ ადგილს ამ რეცენზიიდან: „არა მარტო როგორც ტრაგედია, არამედ როგორც ლიტერატურული ნაწარმოები „პამლეტი“ უდიდესი შემოქმედებაა, რა მხრივაც უნდა გაზომოთ ის, გამოიტანთ ერთ-ერთა ინავე დასკვნას. „პამლეტი“ ადამიანის გონების გასაოცარი ნაყოფია, „პამლეტი“ უკვდავი საკანძურია ლიტერატურის სამყაროში“. ეხება რა თვით „პამლეტის“ დადგმას, ივ. გომართლი წერს: „გულის ძეგრი მოგვლილი ფარდის ახდას, რადგანაც ვმისობდი ჩვენი თეატრი არ დაეცვლიყო. მერე რა ვიხილე? გასაოცარი სანახაობა, ჩვენი თეატრის ამოღება და როგორი ამაღლება! როგორც იშვიათია ჩვენი ქა არა, საზოგადოთ თეატრის ის ცირონიაში, თამაზად შეიძლება ვთქვა, რომ მარჯანიშვილმა გადააცილა ჩვენი თეატრი ხელოვნების უმაღლეს მწვერვლებს და ქართული სცენა გადააქცია მსოფლიო სცენად. თავის ფორმით „პამლეტის“ დადგმა არის სურველით ახალი, ახალი მიზანსწეული, ახალი ფორმები, ახალი საერთოდ შინაარსი სურათისა და აქ განცვიფრებაში მოჰყავს მსაუკრებელი მხატვრის“.

ივ. გომართლი კრიტიკის მხვილი თვალთი ახასიათებს ამ ტრაგე-

დიის მთავარი როლების შემსრულებლებს. აი, ზოგი რამ ამ შეფასებიდან: „პამლეტის როლის მოთამაშე უმანცო ჩხეიძემ დაგვიმტკიცა, რომ მასში არის დიდი ნიჭი, დიდი ენერჯია, დიდი სიყვარული საქმისა, დიდი შესაძლებლობა, მისი თამაში იყო მეტად მოფიქრებული და ამიტომაც მინაგანი ტანჯავა პამლეტისა მან კარგად გადავივსალა. ალაგ-ალაგ ის შეუდაბრებელი იყო...“ „ოფელის როლი ვერიკო ანჯაფარიძემ შეუდარებელი იყო, შემოილიო ოფელიას განსახიერებაში მან მოგვცა უდიდესი მიწვევა თავისი მიმიკით, თავისი გულთი, თავისი გამოთქმითა და ინტონაციით. ვერიკო დიდი, დიდი მხანობია, დიდი ხელოვანი“.

ივ. გომართლის აზრით, ცდებია ის, ვინც ამბობს, რომ ჭკუმატიტი ხელოვნება სიცილით, მხიარულებით უფრო იზიდავს, ვიდრე ცრმულით, ნაღვლით და მწუხარებით. თავისი მართებული კრიტიკით ივ. გომართლმა დამატურგია და თეატრის უნების, დოიკის, პაკროტიკის, ამბოლის უნებარო სიყვარულის სამღვილ სკოლად აღიარა, სადაც ქართველი ხალხი, ისმენდა სიმართლის, კეთილი სიყვარულისა და გმირობის მოწოდებას.

მისი აზრით, თეატრი ის სარკვა, რომელზეც მართლად, სწორად, გაუმრუდებლად უნდა ასახოს ხალხის ცხოვრება — მისი მისწრაფება, სურვილი, იდეალი. თეატრი ადამიანის გამაყვითლებილი უწინადა ტაძარია. ივ. გომართლს ალაფრთოვანებად ქართული თეატრის დიდი რეფორმატორის — კოტე მარჯანიშვილის ხელოვნება, მისი ნიჭის შესაქმნად არ იშურება სიყვარული განსაკუთრებულ სიტყვებს: „კოტე მარჯანიშვილმა ისეთი მტკიცე და მავალი საფუძველი ჩაუყარა ქართული თეატრს, რომ იმის ეროვნულ ამაყსახლს ვერაფერი ვეღარ ვაშლის. კოტე მარჯანიშვილმა ქართული თეატრი ევროპული თეატრის სიმად-

ღმედ აიყვანა, შექმნა ახალი მაყურებელი, ახალი მსახიობი და ახალი ავტორი. ახალი ისტორია ჩვენი თეატრისა იწყება კოტე მარჯანიშვილიდან, მარჯანიშვილმა მოსპო მოკრანახე, ის ალაგა-ალაგ ქმის, მარჯანიშვილმა შექმნა სრულად ახალი ტიპი ქართული მსახიობის“.

ივ. გომართლმა წარმოგიდგინა მკაცრი სურათი რევოლუციამდელი ჩვენი ქართული თეატრის მდგომარეობის, მისი გაუმრუდებელი სურსე:

„უსახლკარო, უმინაო, დარინი, ლატკა ქუჩა-ქუჩა დადიოდა ანთელირი ჩირაღდნი ხელში, შინ არავინ უშეგდა, ყველა სდევნიდა, მხოლოდ თითო-ორად გულშემატკივარი თუ გაუღებდა კარს და თავს შეაფრებინებდა. შიმშილი, წყურვილი, სიმუშელე, სიცივე მისთვის არაფერი იყო, გაჭირვებას გმირულად უხედებოდა და მოთინებთ იტანდა, მისი ერთადერთი სასურველი იყო ანთებული ჩირაღდანი ჩაეფრეკა ხალხის გულში და გაეზრწყინებინა მისი გონება. ხალხის მტრები უკან დასდევდნენ და მისცენებას არ აძლევდნენ, მას სდევნიდნენ, ცდლობდნენ იმის გონებას ანთებული ჩირაღდნის ჩაქრობას. იშვიათი სიყვარულით და თავგანწირვით უვლიდა ის თავის ჩირაღდანს. დადიოდა ქალაქიდან ქალაქად, სოფლიდან სოფლად, ეძებდა თანამგონისობს, მეგობარს. ყბად იღებდნენ მას. დასცენდნენ, მაგრამ ის ვერაფერს გასტეხა, ვერაფერმა სძლია“.

ივანე გომართლმა პირთუფელად თქვა თავისი სიტყვა ჩვენი სცენის უანჯარო მოღვაწეებზე, რომლებს თამაში ალაფრთოვანება და მომავლის დიდ იმედს უნერგავდა ქართველ მაყურებლებს. მათ შორის პირველ რიგში უნდა მოვიხილოთ ჩვენი სცენის სიამავე ლადო მუსხიშვილი, რომელსაც ივ. გომართლმა მეტად თბილი წერილი მიუძღვნა: „ლადო მუსხიშვილი, — წერს იგი, — განსახიერება ჩაჩენი ერის გენიოსსა სასცენო ხელოვნებაში. ქართველი

სცენა და ლაღო მესხიშვილი ერთი არსებაა. ერთი მათგანი გარეგნუდ მეორისას წარმოადგენდა, ლაღო მესხიშვილი გვირგვინია ჩვენი თეატრისა, გვირგვინი მეტად ლამაზი, მეტად ბრწყინვალე, მეტად დიდი. გამთავრებით ლაღო მესხიშვილი ჩვენს სცენაზე, — იქ ეძივდ დარჩენილი პირველ-სახისთავანი ვარსკვლავები, მაგრამ სცენა დამეგანება დაუმთავრებელ შედეგს. ყოველი ჩვენი თავიანთისთვის ლაღო მესხიშვილი ძვირფასია არა მარტო როგორც დიდი ეროვნული ნიჭის გამომსახველი, არამედ, როგორც დიდი ეროვნული იმედი. მისი სახლი მთელი ქართველი ერი მეტყველებს. მე შობილდა მარტო მისი იშვიათი თამში კი არა, ის ზრდიდა ჩვენს სულში უღივდეს და შურეყივდეს რომის ჩვენი ერის ბრწყინვალე გამოშვლისას.

ლაღო მესხიშვილს ბუნებისაგან უხედა ჰქონდა მოხალღეული ყოველი, რაც საჭიროა დიდი მსახიობისათვის: იშვიათი გარეგნობა, უნაწეს და უსლიერეს გრძნობათა გამომხატველი ხმა... ბუნებამ მოისურვა, რომ ლაღო მესხიშვილი სცენის მეფე ყოფილიყო და ის ღირსეული მეფე იყო სცენისა. ლაღო მესხიშვილი სცენაზე არ თამაშობდა, გეოცივებით არა, სკანაზე ის ცოცხლობდა, სცენა მისი ცხოვრება იყო; მას ხელთ ვეყარა თილისა, ჯაღო, რომლითაც მას შეეძლო ჩვენს სულში უნაწეს გრძნობათა აშლა და სულის გამწმენდი ცრემლებსი ვამოწვევა.

ლაღო მესხიშვილი დაუშრეტელი წყარო იყო უტახესი სულიერი ნეტარებისა, ჩვენი ვეწყვივითდა ამ წყაროს და ის იმღენდა დამატებებში იყო იყო, რომ წყურთილს ვერ ვივალავითი“ (გზ. „ზომლი“, 1923 წ. № 5).

ივანე გომართელმა ასევე ღირსეულად დაუთავა ჩვენი სცენის მთორე კორივე — ვ. გუგია. მისი უფროლი — „ჩვენი ვალიოი“, ნათელ წერებში წარმოგივდიგენს ქართული თეატრის ამ ღირსეულ მოამაგეს: „მსახიობი, ადამიანი, რომელიმედა შეური და ტტრბობა არ არის — აი ვალიოი. ბევრჯელ მომხდარა, ნიჭიერ მსახიობის ამ უყვარსი ნიჭიერი ამხავალი. ზურგს უკან ჰქვივხავს, ამცირებს. ვალიოი კერძო ლაპარაკში მხოლოდ თავის თავს ამიკრებს, სხვების ღორბნებას კი არ მალავს. პირიქით, ის დატყვებული მოვიყვებათ: აი ამას ვაძრავთ ნიჭი, აი ეს ვაგრძნობინებთ ნაღვლი ვანიცდას, მე ვაფიქრი ვარ მისთან შედარებითო. ვალოი დრამატურგი — ეს ხომ ბურჯია ჩვენი

თეატრისა, დაუშრეტელი წყარო ჩვენი რეპერტუარისა. აქ ვალიოს ტროლი არ ჰქვავს. მისი შრბია ამ მხრივ ვსადაცარია და დაუფსახებელი“.

წერილით „ნიკო გოციბოი“, გომართელი არ იმურებს ლამაზ ეთივეტებს ამ მართლაც „სახალხო სცენის გეოლიათის“ სრული და დამატარებელი პორტრეტის შესაქმნელად:

„რადმაც კითხულით გრამაშელების „ტრიბუნებს“; — წერს იგი, — თვალთა წინაშე აღიმართება ძველი თბილისი დაბალი სახლებით, ბანკებით, ძველი მოქალაქე ყარაზღეული. ნიკო გოციბოიძემ სწორედ ეს ძველი მოქალაქე, ძველი თბილისი გვიხილავს, ძველი მოქალაქე გვიართობს და ყარაზღელე გვამხარეულავს, თუ გრბიაშვილი სიტყვით ხანკავს ძველ თბილისს, ნიკო გოციბოიძე აღადგინავს ძველ თბილისს მიმიკით, მიხვარა-მიხვითი, ვარგნობით, ლაპარაკით, კლიოთი. ვის შეუძლია გვადნოს მხარაურებიანა და უდარადელი სიცილის ცრემლები? ნიკო გოციბოიძეს, ვინ ვადაძღვებს სრულ ეს-ეთიკაბურ სიმთვინეს თავისი დავა-იტიკაბური წინდახდული და გავომილი თამაში? ნიკო გოციბოიძე, იმიტომ რომ, მას აქვს თანდაყოლილი ნიჭი, ესთეტიური ზომიერება და ბუნებრივი ინტელიგენტობა, რომლითად ის ერევა ამ ბოლო დროს ფრიალ მიმიქ და პასუსხავებ რომლებს.“

ნიკო გოციბოიძე „სახალხო სცენის ტარილია“.

ივანე გომართელი წერილებში — „ტასო აბაშიძე“ და „ვანა ტასოს“, აღმნიშავს, რომ ქართული ბუნების სიმეტირებლობე, სიახლემ, ნიჭმა და ციცივლმა ტასო აბაშიძეში ჰპოვა საუკლებო განახსიერება. „ლოცავთი წელი გვიხილავს ის იშვიათი თამაშით, ვაკვაკებებს თავისი ტემპერამენტით, გულს გვივივებს ხალისით, თავისი ცოცხალი მხიარულებით და რა სევდაც უნდა ვეკვივს, უკვივადებით და მუდამ დატკარებული, აღფრთოვანებული ჯვდებით მას, რადვანაც ვიკით. რომ აქვს ჯადოსნური მალამო ჩვენი სვედის ვასაქარევივალა. ტასო — ეს იკლქი, ცქრიალა სიცივებით და სისარულით სავეი ნიჭი აბაშიძეობის დიდი სამეხატრო ფახისას, — მთელი ისტორიაა ჩვენი თეატრის 25 წლის განმავლობაში. ვასო, მაკო, ტასო. ქედები ძირს ხელოვნების ბრწყინვალე ქურუმებისა და დიდი ქართივლების წინაშე! ტასო აბაშიძის სასულიან შეერთებულობა მთელი ერის ვანიცდანი, უნაწესი გრძნობანი, იმედლი სასვე სიცილი და სიახლისე არის სვედის უკუმერული, არის

გულში მზის სხივების ჩამქსოვი ამ ტასო აბაშიძე“.

ამ წერილით რცხლად მოგვყავს ციტატები ივ. გომართელის თეატრალუ რევიტივლებიდან. ეს იმითომ, რომ მკითხველმა ნათელი წარმოდგენა იქონოს იმ უდიდეს აღმზრდელობის როლზე, რასაც დიდი თეატრალი, მწერალი-კრიტიკოსი ასრულავდა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კერძოდ, თეატრში.

ივ. გომართელის წერილების ციცილი „ქართული თეატრი“ აშკარად მოწმობს, რომ ქართულ თეატრს მისი სახით ჰყავდა დიდი თეორეტიკოსი, ღრმა კრიტიკული აღლის მქონე აღმზრდელი მასწავლებელი. მისი მსაკულობა ქართულ თეატრზე, დრამატურგიასა და მსახიობთა შემოქმედებაზე, წვიცინდა ან ვანკითხვებს სხვის მიერ თქმულის ან ამოკითხულის ვამოვრებას თუ არ იყო, არამედ დიდი ცოდნით შემოქმედებული, მოსიყვარული გულში ვატარებული, სამართლიანი კრიტიკა. სწორედ ამიტომ მას დღემდე არ დაუკარავს შემოქმენებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

ივანე გომართელი დიდ მოთხოვნებს უყვენდა თეატრს. მისი ღრმა რწმენით, თეატრული უნდა ასატყვევდეს ვაყურებლის სულს და გულს, უნდა ამღიდრებდეს გრძნებას, უნერეკვდეს ადამიანის სიყვითისადმი სიყვარულს, ბოროტისადმი სიძულვილს. თეატრი ვასართობი დაუქმებულმა როდიან, ეს სკულადა ადამიანის ვამა-ვილომობივლებელი და აღმზრდელი. უარრო სიცილი და ხარხარა თეატრის შემოცხვენილავს. ეს ესთეტიკური მრწამსი კვლავაც ძვირფასია თანამედროვე ქართულ თეატრისათვის:

„თუ ხელოვნება სიმეორვა ადამიანის უნაწეს გრძნობათა სიმეორე ამ-მატებითრება, არასდეს ის სიმეორესიე წარმეტაკიცი და დამატყვევებელი არ არის, როგორც ხელოვნების უდიდეს საკალობელი — თეატრული. თუ ხელოვნება ლოცვავ ადამიანის მამიციელი ბუნებისაგან ვამოქმენობი-სადმი მოვლენებელი, არასდეს ის ლოცვავ ისე დატკირთული არ არის როგორმელობითია და სიწმინდითი, საიცივე ხელოვნების სახლოცვილოში — თეატრში. თუ ხელოვნება ადამიანისათვის ჩირალდანი ვახისასათებულადა, არასდეს ჩირალდანი ისე სხივოსილი არ არის, როგორც თეატრში, სათეატრო ხელოვნება არა თუ აუცილებელია კვლავ კულთავისი, — ეს არის სახლოთი ერის უტატურისა“ — ასეთი იყო ივანე გომართელის მაღალი მრწამსი.

და, როცა ის შიშიმე არტილერიის ყუმბარასაყით მიგმირა-
და გულს შუშკისა და სამარინის, ფედოტოვასა და მდევ-
დევას, მცირე თვატრის მაშინდელი პირველი ყალიბის ვარ-
სკელოვების წინადა სახელებით. მაგრამ მე არ ვუთმობდი
მას არც ერთ დღეობას ადგილობრივი ოლიმპიადან. და ვუ-
ლახდილად ვიბ ვთქვა, არც მჯეროდა მისი მხატვლობის
„მცირე თვატრის ტონისა“ და მისი „ტრადიციების“ შესა-
ხებ, მაშინ ესენი ახალი სიტყვები იყო, რომლებსაც მე იჭვის
თვალთ ვეუყურებდი, როგორც ბურუხით მოცულ რალაცას
სრულიად განსაზღვრულ ცნებაზე მსა-
ხიობის ნიჭისა და სპექტაკლის სიცხა-
დის შესახებ“.⁴


საინტერესოა აქვე გავიხსენოთ ნემიროვიჩ-დანენკოს
გვიანდელი წერილი ა. ი. სუმბათაშვილ-იუჟინისადმი:
„ძვირფასო სამა

დღეს მთელი დღე, მაშინაც, როცა საქმეში ვარ ჩართუ-
ლი, ვიკონებ და თვალწინ მიდგას ის, რაც იყო სრული
30 წლის უკან!

ეს საშინელება! 30 წელი!
...შენ წახვიდი შენს მიერ არჩეული ჭეშმარიტი გზით.
(წერილის შემდეგ ამზაცში ლაპარაკია იმაზე, თუ რო-
გორ შესასწორებ სუმბათაშვილმა თავის დიდი ხნის ოც-
ნებას, გამხარიაო მცირე თვატრის მახლობით, კმაყოფილე-
ბით იკრინებს სუმბათაშვილ-იუჟინის დებიუტს, მცირე თე-
ატრის სცენაზე, ჩაცვის რთობით. — ა. ე.)
— და აი, 30 წლის შემდეგ ჩვენ თითქოს დავმორღით ერთ-
მანეთს.

მაგრამ ამავე ორის, მთელი სულით, მთელი ნერვებით
გვრძნობ (რომლებსაც 30 წლის შემდეგაც შეუძლიათ ითრ-
თლოდით ახალგაზრდულად), რომ ჩვენ არასდღეს არ ვცილ-
დებოდით ერთმანეთს, პირიქით, განუწყვეტელი მივდიოდით
და მივდივართ ერთ გზაზე. და თუ კიდევაც ვუ-
კვიკვირებდით ერთმანეთს, ეს იმიტომ
რომ მივდიოდით ძალიან მჭიდროდ, ძა-
ლიან ვიყავრე გზაზე...
და ჩვენს წყაბარული აფორმა ერთობლივობისადმი — თე-
ატრისადმი. ჩვენ არ ვწყვეტდით. თუ მცა სხვა
დასხვა მიმართულებით, სიყვარულს მისადმი.
გვიყვარდა მასში ყველაფერი. მისი სურნელება, მისი ლა-
ლის სიღოცხლა, მისი გამასულელებელი სიხარული, სინამ-
დლისაგან მისი პოეტური დაქოლბულობა. — ყველა ეს
სასწაულებრივი და მზიანიერი ატმოსფერო, რომელიც ორი-
ვეს აჯადოლებდა კუნთს აარამითა და რომლის გარეშე შე-
უძლებლად მივგადაჩვენ ჩვენს არსებობა...“⁵

თეატრალური სამყაროს ამ ორი წარმომადგენლის პრინ-
ციპალური თეატრები „მსახარებისა“ და „რეჟისო-
რისა“ თეატრები „შესახებ, ახლაც ისეთსავე სი-
ძლიერით ღვივის, როგორც ახი წლის წინ და ხელოვნების
მოღვაწეთა გონებას და გრძობებს მოსვენებას არ აძლევს.
მტკიცებას ამ მოთხოვს ის, რომ ა. სუმბათაშვილის ჯერ
მხოლოდ მხატვრული ინტუიციით გათვითმობიერებულ
შემოქმედებით გუმანი ძველი სასცენო ინდივიდუალური
ხელოვნების „მშვენიერი სილამაზისაჲ“ იხრება და ალბათ
ინიკომპატი, რომ დღემ მის მდინარ ბუნებაში ბავშვობიდან-
ვე ჩატასხლა აღიარა, შეიღერისა და სხვა დიდი რომანტი-
კოსების „პაიროვანი შუქითა“ და „ელვის ძაფებით“ გამო-
ქრწოთი ამაღლებული სახეობ. ასე ბედნიერად შეიწყო
ერთმანეთს „იქნას მბრძანებლის, მსახიობ-მეფასა და
„რომანტიკული თვატრის იდილი“ და, რაც მთავარია, ეს
ის დრო იყო, როცა 70-80-იანი წლების რუსეთის იმპერიის
მრავალფეროვან სასოფლოებრივი მიმართულებებს შორის
გამოეყოფილად ჩანდა ლიტერატურულ-თეატრალური გარ-
დატრების მქონე ახალგაზრდობის „მანათობელი ძალა“. მა-
ტრნიციების გაუქმებამ, კლასობრივ ურთიერთობათა და



ა. სუმბათაშვილის პეისის „იდავი ახლოსა, მაგრამ კი ვერ
უბნენ“ — თავფურცელი.

წინააღმდეგობათა ახალმა ისტორიულმა გადაადგილებამ
გამოაცხლავდა, დუღილის პირამდე მიიყვანა დამდგარი, და-
ბრტკილებული „სულელებით მიიხიბული ზღვა“.⁶

ა. სუმბათაშვილ-იუჟინი თავის ნათელ მესხიერებაში
ალადგენს და აცოცხლებს მის თანამედროვე რუსულ, დიდ-
მყობილურ სამყაროს. სოციოლოგიური და მათემატიკით
ანალოზებს ყველა კლასისა და ყველა ერთგების ახალგაზ-
რდობის საკმაოდ ფართო ფენების სულიერ მისწრაფებებს,
რომელთათვისაც სასოფლოებრივი მიზნებისაგან განუყო-
ფელი იყო ლიტერატურული და თეატრალური ცხოვრება...
„როგორც სასოფლოებრივი, ისე პირადი სახისათვის ყველა
საკითხი ყმაწვილთაგანის გონებასა და სულში აღმოცენდ-
ბოდა და წყდებოდა თეატრალურ და ლიტერატურულ გარ-
დატრებაში...“ ამა თუ იმ ფენისადმი განუვითარებლად განისა-
ზღვრებოდა როგორც ინდივიდუალური ორგანიზმის ბუნე-
ბით, ისე მდგომარეობით, რომელიც მათ ნებაზე არ იყო და-
მოკიდებული. და თქმა იმისა, რომ ის უძლიოდა ერთი ან
მეორე ფენის შინადაცხლბობაში, უსამართლობა იქნებოდა.
ორგანულ და მატემატიკის ციხეებში, რომლებე-
მაც, მოკლედ რომ ვთქვათ, შექმნეს იმ
დროის (ლაპარაკია თბილისის გიმნაზიის წლებზე —
ა. ე.) ახალგაზრდობის ლიტერატურულ-
თეატრალური ფენა, ვიყავრე მემც. ჩემი
ბავშვობის რამდენიმე მეტაფორათან ერთ-
თად მე და ნემიროვიჩ-დანენკო მჯეროდა შევე-
ზარდეთ ამ ფენას. გიმნაზიის პირველ კლასები-
დან გზადგავს დავკარგეთ ის ორი-სამი კაცი, რომლებიც
ცხოვრობდნენ ლიტერატურულ-თეატრალური გარდატრების
სა სამყაროში...“⁶



თავკარალურ-ლიტერატურული „ორგანული ნამცივი“ შემდეგში სუბმთავილისათვის იქცა „ორგანულ ხერხემ-ლოა“⁶. ხოლო „ფიტკალური გარდატეხა“ — მისი ყოფი-რების ნამდვილ გარდატეხას; „მე გამსახიბა“ — და ეს სი-ტყვის ყველაზე კეთილშობილი და ამაღლებული მნიშვნე-ლობით ნიშნავს — მე ვცხოვრობ...“⁷ ... და ეს იყო სცენურ-ად სასიამოვნო ცხოვრებაში, ცხოვრებისეულად საინტერეს-სო სცენაზე.⁸

როცა ა. ს. სუბმთავილი-იუჟინი არჩევდა 70-80-იანი წლების ახალგაზრდობის ფენების სულიერი მისწრაფებები, უზარმაზარი იმპერიის სასოლომონოფორთვ-პოლიტიკურ პი-რამიდულზე მკვირავად გამოჩნდნენ გაღატაკებულ გლეხთა მასები, დაუთმარებელი ბურჟუაზიული რევოლუციები, თავ-დაზნაურული ზედაფენის — 1861 წლის მიჯნებისაგან უკანდასვლის პრეკლდეტული მისწრაფებები, ხალხის სრულ-ლი პოლიტიკური უუფლებობა, მეფის ჩინოვნიკების ყოფ-ლისშემძლე სამინაო და საკარო აქციები, რომლებიც და-ფუნქციული იყო მექრთამებისა და კაცთვაყმიდევილობის მტლურ კანონზე. და ეს ყველაფერი ისტორიული თანხმ-დვირდობით ქმნიდა მყარ ნიდასზე დემოკრატიული მოძრაო-ბის გამოღვივებისათვის, რომლის აგრებად იქცნენ სასუ-ლიური და რეალური სასწავლებლები, უმაღლესი სასწავ-ლებლები, გიმნაზიები. სულ ახლოს ისახებოდა რომანტიკ-ული გმირის იდეალი. კარლ შოროის სული ცხოვრობდა თვლიერის ტყეებში...

სუბმთავილი-იუჟინი იკონებდა:

...60-იანი წლების „სოფრემენიკი“ და „რუსსკიე სლო-ვი“⁹ გვეგონებოდნენ ტოლსტოისა და ტურგენიევის, ჩერნიშევსკებისა და დობროლინოვების არსებობას, ხოლო „კოლოკოლს“¹⁰ ჩვენამდე მოქონდა გერცენის ყოვლისშემძ-ლი ბეკური. ნუ დააჯიყფდებოდა, რომ ეს იყო არა 60-იანი, არამედ 70-იანი წლები, და ა. ტოლსტოისა და მ. მ. კატკოვის¹¹ ეპოქა. განთავისუფლების შემდეგ ცარიზმის მიერ ახალგაზრდობის მხნე გულისთქმავ ლუგამომღების ეპოქა. ეს იყო დრო, როცა ყურადღებას, სიბეჭეთის, ყოფა-ტრეკა, ყოველი მიმართულებით შეძლო შევიკავა ცოდნა. როცა თბილისელი გიმნაზიელები ეჭვიშიყვანილები იყვნენ პოლონეთისდმი თანაგრძნობის სუბარაკიულ მისწრაფებ-აში, როცა ეპოქის ლოზუნგი იყო მკვათრი მოზრუნება უკან.¹²

...თბილისის პერიოდის¹³ ახალგაზრდობის ფილოსოფიუ-რი ცნობიერების სურათის სრულსაყოფად შეიძლება მოვი-ჩანოთ ერთი ადგილი ნემროთინ-დანჩენკის წერილიდან სუბმთავილი-იუჟინისადმი (1891 წელი, 27 აგვისტო):
...გვიკავი ჩემი გამოცდილებებიდან, რომ თუ ვიტიკავ, სად მთავრდება ადამიანში აზრი, როგორც ჩავინს მუშაობის ნაყოფი და იწყება გრძნობა, ანუ გულის მუშაობის შედეგი, მაშინ შეიძლება ადვილად დაიხეი და წინააღმდეგობაში გამოსართო. ჩვენ ხომ შეინათ ერთად ვეითარდებოდნენ 60-იანი წლების ბელოტრისტიკების და განსაკუთრებით, კრი-ტიკოსების ზეგავლენით...¹⁴

სუბმთავილი-იუჟინისა და ნემროთინ-დანჩენკის მო-გონებები იმის შესახებ, რომ ისინი სულიერი ძალების იკ-ვრებოდნენ 60-იანი წლების „სოფრემენიკის“ და „რუსსკიე სლოვის“¹⁵ შემწეობით, ძალიან საგულისხმო ფაქტია მათი

მსოფლმხედველობრივი ფორმირების დადგენის თვალსაზ-რისით. ჟურნალი „სოფრემენიკი“, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა დიდმა პუშკინმა, მისი სიკვდილის შემდეგ ჰეარ-ბაგის თავის განმანათლებლურ და დემოკრატიულ-რეფორ-მატორულ მნიშვნელობას. ჟურნალმა იმპერიის მიზიერულ სულთა გამოღვივება კვლავ დაიწყო 1850 წლიდან, როცა იგი ნერსისების ხელში გადავიდა. „სოფრემენიკის“ ფართო პოლიტიკური, სოციალური და ლიტერატურული ჟღერად-ობა მისაგან 5. ა. დობროლინოვებმა და ნ. კ. ჩერნიშევსკიმ, რომლებიც ფაქტიურად მისი ხელმძღვანელები და სურსის-ჩამთვმელები გახდნენ. ასევე ფართო პოლიტიკური და შე-რქმევლებითი რეზონანსის მქონე იყო არხანლი „რუსსკიე სლოვი“, რომლის „ხერხემლად და დერდად“ ითვლება ნი-ჭიერი კრიტიკის და ბრწყინვალე პოპულარიზატორი თ. ი. პისაროვი. ვასაგებია, რომ ალექსანდრე მეთრე 1856 წლიდან საშუადად აკრძალა ორივე ჟურნალის გამოცემა.

„სოფრემენიკის“ და „რუსსკიე სლოვის“¹⁶ მოთხოვნაზედ მოქონდა განმთავისუფლებული იდეები, რომლებიც ამა-ხვას პოულობდნენ ამ არხანლებში დაბეჭდილ ნიჭიერ მხა-კარათა შემოქმედებაში. ...დიდი ფსიქომოდული აღლავლები სასახლო ხელის¹⁷ განსაზღვრავდა რუსი მწერლების მოქა-ლაქმობრივ პათოსს და მათს შეურთლებელ ინტერესს სასო-გადღებრივი ცხოვრების საიხიხებისადმი. გიმნაზიის ად-ლეში სუბმთავილის. დანჩენკისა და მის ორ-სამ ამხანაგს კარგად ესმოდათ, რომ 5. ტოლსტოიმ შორს გასწავა რე-ალიზმის ჩარჩოები, რომელიც მოიცავდა მხატვრული აზ-რობების ყველა დიდ მიმართულებათა სასიცოცხლო ძარო-ბის. სუბმთავილი მასში ხედავდა რეალიზმისა და რო-მანტიკის შერწყმის ბუნებრივების „სასინჯ ქვას“ — რეა-ლიზმისა და რომანტიკის უნაპრო საშაირად სასოთხა სა-ზომის. და ვერ სიყმაწვილისა, ჩვენიობიერად, შემდეგ იქ მიმოი კატეგორიულობით ხაზს უსვამდა „...თუ რას ნიშნავს ტოლსტოი თვარკანისათვის“, რომ სინამდვილის ასახვის მი-სი სიდიადე განსაკუთრებით გამოიხატება ფსიქოლოგიური ანალიზის საშუალებებში. რომ, როგორც არაგინ მანამდე, ტოლსტოი ორმად შეიჭრა ცოცხალი პიროვნების შინაან საშაირში, შეიყავა თავისი მეთოფიური თავისი მნიშვნის შერხების სიღრმეში; დაართი. აგრედან შეუშნეველი ორმა აზრთვებად, ფსიქიკური პროცესების აანთინება და ფორმები, „სურლის თაღატრიაკა“¹⁸ ხიზაბ მისი მხატვრული ყოფადლე-ბის სკანინ. ტოლსტოიმ შემოიტანა ლიტერატურული ხასია-თის „ყოველიობის ცნება“. მისთვის ადამიანური ხასიათი არ არის ყოველთვის თავისთვისის ტოლი: ის ცხოვრებისეული შთაბეჭდილობების ზეგავლენით განსწავალიკი ა მიედინებ-ბა; და მოითხოვს ააზრებას და ადასწრევაებას. ტოლს-ტოიმდე ვერაინ შეძლო ისეთი ძალიან და დამაჯერებ-ლობით ეჩინებინა ის, რაც სივება სივება, როცა ადამიანი სასვეტით არა ჰავას თავისთვის, ხი. რომ ამავე დროს ჩრე-ვთავის თვავად,¹⁹ რომ „ადამიანები არიან, როგორც მდი-ნარები“!²⁰

გიმნაზიის წლებში, სცენურ ხელოვნებაზე ფანატკურად შეყვარებული სუბმთავილი, თავკარლ უნივერსალს ყოფ-ლისა ხიდავდა მსახიობის, მსახიობში კი — გრძნობას, ჩრე-მილიც, მისი მხატვრული თვალსაზრისით, ყველაფერზე მა-ღლთა ირად და თვარკალურ შემოქმედებას ანიჭებდა იმ ძა-ლას, რომელიც მსახიობის „სკინის მეფედ“ და მგრძანებ-ლოად ხნდა. ამიკომ მასში გიმნაზიის კედლების დატოვი-ბადვე ყოველთვის იგრძნობა მკაცრი სახიფათო „გონებასა და გულს“ შორის და ამ საზღვარზე მსახიობი სიარულის „მრჩავეი ექი“... ნემროთინ-დანჩენკის წერილიც სწორად „საზღვრის“ შორეული გამოძახილი და ამავე კერის ეხმა-ურივე წერილის დაწერის (90-იანი წლები) პერიოდის უთანხმოებას იმის შესახებ „...თუ სად მთავრდება ადამიანის აზრი, როგორც ტვინის მუშაობის ნაყოფი, და იწყება

* ტოლსტოი და ა. (1823-1889 წწ.) გრაფი, ვერ სახალხო ვანათ-ლებსი, ხოლო შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრი, სინოდის ობერ-პროკურორი.

** კატკოვი მიხ. ნიკოლოზის ძე (1818-1887 წწ.) — ცნობილი რუსი პოეტი, ბელისისტი, ტოლსტოის ტურგენიის, გონჩა-როვის მეგობარი. სრული მოქალაქეობრივი განმარტვების-ანობის მქადაგებელი. შემდეგში რეპეციონერი. აქტივე ძალა-უფლების მომხრე.



გრძნობა, როგორც კულტის მუშაობის შედეგი. ა. სუმბათაშვილმა, როგორც კულტა ქვემოთ დავიხსავთ, ერთგვარად, მალე გადასინჯა „საზღვრის“ პოზიცია და მასში ერთმანეთში გარდაბმული დიალექტიკური ხასიათი ჩაღო. „საზღვრის“ ცხების გადასინჯვის „სინჯავნი მხატვრული მუშაობის პროცესი“ რომ სათელი და თანმიმდევრულად ხელშე-სახები გაადრეს, მიყვევთ თვით ან პროცესის ლოგიკურ გას-ვითარებას, როგორც ამას ა. სუმბათაშვილს „თეატრალური გარდატეხის“ სული კარნახისა.

ლათინური ენის სახელმძღვანელოები, მტკიცის მღვრიე ტალღებს რომ გატატანეს“ (ქ. ი. გიმნაზიის კურსი რომ და-ხურეს), ლიტერატურულ-თეატრალური გარდატეხის ახალ-ჯარდობამ თეატრებს მიაშურა, მათი ფინატივში იქმნენ თიდილი, რომ გიმნაზიადასთავრებულ ამხანაგებს, რომ-ლებიც არ შეძლეთ ან არ უხდოდათ მონაწილეობა მიე-ღობთ ცყენისთვისართა სუბტექსტებში, უყურებდნენ არა მარტო როგორც ხელშეგებს, არამედ როგორც მთლიანტეხებს, რომლებიც გადაუდებო ბელისურის ახდრების („იგივეთ-როით და მოკვდივთ თეატრში“) მიხედვით შექმნილ რაღაც დაუწერელ შეთანხმებას. „აქამდე არ შემიძლია დიდილი გარეულ მოვიგონო ჩვენი გიმნაზიული ამხანაგების სასოწარ-კვეთილი სახეები, რომლებსაც, დელიკატურად რომ ვთქვათ, სრულდით არ ჰქონდათ სცენური მოხატვები“¹², იგი შემ-თხვევები, როცა ისინი, აშკარა ძალადობისაგან თავი და-წვივის მიზნით, გარბოდნენ თბილისიდან, ან საქმეში „გა-ყავდათ“ მიხვტი შობლები, რომლებსაც ისევე უნდა გა-მოხსნათ ისინი სუმბათაშვილისა და ნემირიციის-დანერჩევის წარმოდგენებში მონაწილეობისაგან, როგორც სამხედრო მასსახურში „უკავით“ გაწვევისაგან.

ა. სუმბათაშვილის „დახმანათიერული თვისება გასლდათ ბრმა თაყვანისცემა ადგილობრივი პროფესიული დასის დას-სიხობების მიმართ“ (ლაპარაკია 1877 წლის ზაფხულის დას-ის შემადგენლობაზე). მართალია, მათ შორის იყო რამდე-ნიმე ძალიან სიბიერი შემოქმედი, რომლებიც შემდეგ იო-ლი წარმსატეხითა და შემოსავლის ძიებაში დახურდავდნენ და დაწერილმანდნენ, მაგრამ საშა სუმბათაშვილისათვის თვითონ ის ფაქტი, რომ ესა თუ ის მსახიობი ეკუთვნოდა ა. ა. იაბლოჩინს ან ა. პალმს დასს, დიდ დიდებად მიაჩნდა და რომელიმე მათგანთან შეხვედრა მთელი დღე აესტოდა მას „განსაკუთრებული აზრითა და ბედნიერებით“¹³, „თბილისში სიმწიფის ატესტატის მიღებისთანავე“ მთელი მისი ძალეტი გახუფოვდა მოხმარდა თეატრთან ურთიერ-ობას“. და როცა ავიტოლომ დაადგა სანკტ-პეტერბურგის გზას, მიუხედავად ძალზე განსაზღვრულ სტუდენტური კა-პიტალისა, მისი მარტუტი თავისი გაუკვრელობით, „გა-ნაყვრებდა კაცს, და რომელიც გნებავთ, შერღოთ პოლმის აღურავდა სატეო მოსაზრებებს“... იგი ვლადიკავკაზში დაყოვნდა ერთი დღით, მხოლოდ იმისთვის, რომ ეჩანა პო-გონიანი-დღიონისაგია „ორ თბილისში“, განუხ დატოვა როს-ტოვი, ვინაიდან იქაურ დასში არ იყვნენ მისი ნაწილობები. ჩავიდა ხარკოვამდე, სადაც მსახურებად ვინმე კუბალოვი, რომელიც თბილისში პალმის თეატრში მუშაობდა მსახიო-ბად; ხარკოვიდან ორიოთხი ამიყო თავი, სადაც ხანა ვ. ვ. შუმილინი და უყურა „მოხეტიალი ცეცხლში“, მერე ელ-ე-ცი ვორიონეში გაემგზავრა, რათა მოეხსახურებინა მ-ქ-მეროვი, შემდეგ ისევ დაბრუნდა ვლდეში, სადაც იმ სეზონ-ში მუშაობდა პ. პ. პრტასკოვი; „შევიხედვ ტელეში, არ მახსოვს ვის გამო და ყველა ან კურდღლისებური მარყუე-ვის შემდეგ ჩავადლოე მოსკოვამდე“.¹³

ეს „კურდღლისებური მარყუევი“ ნათლად მიგვიბოთთე-ბენ იმ დიდი ინტერესის მიხედვით წრეზე, რომლის საზღ-ვრებში ფიქრებისა და ოცნებების კარავი ჰქონდა დადგე-ლი სატასტო ქალაქისკენ მიმავალ სუმბათაშვილს. გიმნა-

ზიის კვლევებიდან გამოსულმა ჭაბუკმა, რომის „შემე-ღებები მიოგრაფიას“ ამბობდა რამდენიმე სცენისმოყე-რული როლი და მათ შორის ჩაცკი (რომელიც მას არ უთა-მაზია), ვლადიკავკაზიდან სანკტ-პეტერბურგამდე არ და-ტოვა თითქმის არც ერთი მსახიობი, რომლებიც თბილისში იაბლოჩინისა და პალმის თეატრებში უნახავს და მათი შე-მოქმედებით პერსპექტივით დაინტერესებულა. ეს ამავე დროს კარიერის არჩევის წინაშე მდგარი ყმაწვილკაცისათ-ვის საკუთარ შესაძლებლობათა დაწვევისას მოსაწვევდა.

მოსკოვში ჩასვლამდე ა. სუმბათაშვილს არ ასვენებდა ფიქრი მცირე თეატრის პირველ სამეტკალზე, რომელიც მოსკოვშიც უნდა ეხასა. იგი ეკუთვნის არ თბილითა თავის პო-ტიციების დახეობის „ტრადიციების“ და „სიტყვების“ წი-ნაზე. საკუთარი წარმოდგენის შექმნით მცირე თეატრში მას არ ეგულებოდა მსახიობი, რომელიც თბილისში მაყურებ-ლის სათაყვანებელ პალმას გაუტოლდებოდა. პალმასადი თაყვანისცემის უნდა მიეწეროს ა. სუმბათაშვილის პირველი ნაბიჯები დრამატულ მწერლობაშიც, რომელსაც თბილისში ჩაყვარა საფუძელი. აქ, გიმნაზიის კვლევებში, იგი წესს ერთმომქმედებდა ფრან-ვოლდემარს „იდეალი ახლოსა, მა-გრამ კი ვერ უკვებ“¹⁴, რომელიც მან პეტერბურგში ჩასე-ლის პირველ თეატრშივე გამოსცა ლითონგრაფიული წესით; პიესის თავგურცელზე აწერია: „ნებადართულია ცნებურის მიერ. სპე 7 ნოემბერი. 1877 წელი“. ვინც იცნობს მსახი-ობსა და დრამატურე პალმას რეცენზიებით, წერილობითი და ზეპირი გადმოცემებით, მისთვის ადგილი ამოასახლებია ახალგაზრდა ატორის მისწრაფება: თავის პიესაში მთაე-რი მოქმედი პიესის — სიღრმე ახდრას ძე ვოლისნიაკოვის ხასიათი დაამთავრის მისი სათაყვანებელი მსახიობის შე-მოქმედებით ინდივიდუალობას.

ეს 59-გვერდიანი პიესა გაუცნობილია პალმას მსახიო-ბური სტლისკედიანი. „სწორედ ეს, დიდი პალმა“ ფარი-ვით ჰქონდა მომარჯვებული ა. სუმბათაშვილს, როცა იგი მცირე თეატრის წარმოდგენის სანახავად ემზადებოდა და დაწერებულ იყო, რომ დაეჭვებოდა იჯდა „რეჩის რაშე“, რომელიც „ტრადიციების“ შემოტევას „შეუწყებუ-ლად“ გაუძღვებდა.

ჩვენ შემთხვევაში უნდა, რომ აღექვსანდრე სუმბათაშვილ-მა თბილისის პერიოდშივე გადასინჯა თავისი პოზიცია „საზღვრის“ საკითხზე, რასაც პირველი და განმსაზღვრე-ლი მიზეზი მისცა მცირე თეატრის განცობამ, რომელიც მი-ლი მოსკოვში ჩასვლის პირველსავე დღეს მოხდა. და აი, სწორედ „ამ დღეს“ მიადგა იგი იმ საზღვარს, რომლის იქით სხვა საზღვარი იწყებოდა. და ა. სუმბათაშვილი, ერთ ხელის მომხტი, ამბობდა და „საზღვრის“ საზღვართან, რომლის მიღმა ნინამსცვლად აღიბარა ხელმეორის სრუ-ლიად ახალი მსამართ, „რამიც ჯერ კიდევ შეუძლებელია გაერკვე...“

„მე ვიყავი ოპოზიციურ განწყობილებაზე. — ივონებს ა. სუმბათაშვილი, — ყველა ეს ცნობილი სცენური პიროვნე-ბები, თითქმის განზრახო, თამაშობდნენ როლებს, რომლებ-ზეც მე აღტაცებოდი მოვეყვარე პალმას, ჩერნოვის, არბენის და თბილისის ზაფხულის დასის სხვა უმცირეს ღმერთებს. დიდი კომეკური ტალანტი დაჯილდოებული პალმა ჩემთ-ვის განსაკუთრებულად საყვარელი იყო. — და ისიც, რომ იგი შეუწყნარებლად უქცევდა ენას და დუღდუნებდა, ჩემი

*** პიესის ლითონგრაფიულად ვადიდებული ხელნაწერის ერთ-ღე-ლიც ეტხეობიანი ინახება ლენინისა. მისთვის საჭარო ზიბ-ლითიყვის წიგნების მუზეუმში და არ შესულა. ა. სუმბათაშვი-ლიცნის არც ერთ გამოცემაში. ამბობს იგი დღემდე უცნობი აშ-ვიათობა და ცალკე შესწავლის საგანია.



სპექტაკლისა და მსახიობის გამარჯვების ხელმოწვევად მოქმედებს საიდეოლოგიური თეატრი, უცხო, თავისდაუნებურად, სახეებით აზროვნების, მისთვის სრულიად ახალად სისტემად და-ანბნის და გაურკვევლობის ბურუსში გაახვიან. მაგრამ ეს ბურუსი ისე ყოვლისმომცველად სუნთქავდა, როგორც ერთი მთლიანი, დიდი, ცოცხალი ერთეული, რომელიც მოყოლებულია ღრუბლებით შეიხურვოს ყველაფერი, რასაც მადლორგანიზებული მიზიდულობისა და სულიერი სიმაღლის ნიშანი ადებს.

„შედარების მეორედ (თბილისის პალმის თეატრისა და მისკოვის მცირე თეატრი — ა. ე.), აზრები გამცემლობისა და ლაღატაკი (რომ „დიდ პალას“ და თბილისის დასის სხვა „პატარა ღმერთებსაც“ ვერ შეედრებოდნენ მცირე თეატრის ვარსკვლავები — ა. ე.) და, საერთოდ, აზრები ყველაფერზე, რასაც არ ჰქონდა პირდაპირი დამოკიდებულება ან, იქნის თვალწინ გავიღო მოქმედებასთან, თითქოს სადღაც ჩამეჭებინა, ჩამოვარდნენ... მე ვერ კიდევ ვერაფერში ვაგვირკევი. მხოლოდ ინტერესურად ვვრცხობიდი რაღაც ახალს, ჩემთვის ჯერ უნახავს, რომელზედაც ჯერ კიდევ ფიქრი არ შეიძლება, რაშიც ჯერ კიდევ შეუძლებელია გაერევი, მაგრამ სუბთქავასათი აუცილებელია იცოცხლო ბოლომდე ან ახალ სამყაროში. ჩემ წინ ნამდვილად გაიხსნა ალადის მიწისქვეშეთი.

„...ვგრძნობ, რაც უფრო შორს მიდის იგი (მოქმედება), მით უფრო მშორდება, მიდის შორს ჩემთან, უშეჭვალად ნათელი, — უშეჭვალად ნიჭიერად, უშეჭვალად დიდი ტლანტის კარნახით შექმნილი, რაც მე ვახსენ ამ პიესის შესრულებამ, იქ, თბილისში. მე ვახსენ, რომ ახალფერი ვითქვამთ „ვაი ჭუჭუნისაგანს“ და „რევიზორზე“, ზეპირად ვიცოდი შიღვრის, მიუხედავად, ბოროტების თითქმის ყველა ქმნილებად, მიხიბლული ვიყავი ისტორიის, მხურვალედ მივყარა ა. პოტეხინის (დრამატურგი და თეატრალური მოღვაწე — ა. ე.) და პიესისკი. ჩემი მხატვრულ შესაძლებლობების ვაგარჯობები ა. ტოლსტოის ტრილოგიაზე. მაგრამ თეატრი, როგორც ასეთი, მიზიდავდა ჩემი ლიტერატურული „რწმუნისაგან“ დამოუკიდებლად. იგი ჩემთვის იყო ისეთი დიდი სიხარული, რომ ის, რაც ხდებოდა სცენაზე, მადლდებოდა და გადაიზრდებოდა ხოლმე რაღაც დიდსა და საუკეთესოში.

მაგრამ რაც გააკეთა მცირე თეატრის სცენამ, ამ ჩემთვის განსაკუთრებულად დიდწინმხედობის მქონე საღამოს — როგორ ამალღებულ ფერებში წარმოსახვის მსუბუქი წონის კომედიის პერსონაჟები, მთავარ როლებში — შუმსკინი და სამარინსა, სინამდვილეში ეს იგივე იყო, რასაც აკეთებდა შექსპირი ველური და გულბერგისილი ხოვლებსაგან.

რომელ ურთიერთშეპირისპირებაზე, წარსულში ჩემი დემოტიების რომელი ერთგულებაც და ღალატზე შეიძლება ლაპარაკი, როცა შუმსკი მოქმედებიდან მოქმედებაზე სულ უფრო ღრმად და ღრმად იმხრებოდა, ზედაპირული კომედიის საკმაოდ უფერულ ფსკერში და ამოქონიდა იქიდან სულ უფრო მეტი და მეტი ძვირფასი ქვები, რომლებსაგან ჰქმნიდა დაუვიწყარი სილამაზის სახეებს. კომიკური როლი, რომელიც ჩემი საყვარელი მსახიობის (იგულისხმება პალმა — ა. ე.) შესრულებით წაყვედრდებოდა მაკინებდა, აქ გადაიზარდა ისეთ ცოცხალ სახეში, რომელიც თავისი მრავალწინაგონიერებითა და ფსიქოლოგიური ჩაღრმავებით შეფერვებოდა ზალზაკს ან დიკენსს და ასევე უფრო იგებდა თავისი სცენური სიხარული და ზღაპარულდებული სიცილის შინაგანი ბუნებით. თქვენ იცნობდით არა მსახიობის გამო, არამედ მის შეუდარებელ ცოცხალ ქმნილებასზე“.¹⁷

მხოლოდ მცირე დღეს, — იგონებს ა. სუმბათაშვილი, — სანატ-პეტერბურგისაკენ მიმავალმა, ზაზანი დავიჭირე სა-

კუთარი თავი კითხვაზე — კომედიის ერთდამიამე ადგილსა რატომ გამოვიწვია ჩემში ასეთი განსხვავებული შთაბეჭდილებები? რაშია ლაქა? ევგარეშვი, პალმა ამ სცენაში გამოიყენა კონტრასტის ყველა გარვეული კომიზმი და იყო განუზომლად სასაცილო. მაგრამ რატომ ჩანდა ძაფები, რომლებიც ბოლომდე დარჩნენ თეთრად, ხოლო შუმსკისთან ძაფის ყველა მარყუქი სახის საერთო ფონს შეერწყა. ამიტომ იყო იგი განუშორებლად ბუნებრივი, უფრო მეტი, — წარმოადგენდა სახელობრივ ამ სულის (ჩერემუხინი — ა. ე.) აუცილებელ გამოვლინებას... ამ კითხვას, რომელიც დიდხანს, დიდხანს, დამამახოვრდა, გადაწყვეტა ძალიან გვიან ვუპოვე, მაგრამ პარტოლოდის და გარემოებაც კი, რომ ის მაშინ თვინებურად აღმოცენდა ჩემში, მე ვთვლი ჩემს თავზე შინაგანი მხატვრული მუშაობის ერთ-ერთ უწინმხედობისაგან ბიძადა.

„...ღმერთი ჩემი, როგორ უნდა მიაღწიო ამას! როგორ უნდა იპოვო შენში ძალა, რომ შეიძლება დიდი ჩაფიქრების ამბავზე სული, უარი თქვა საკუთარ მეზე, გადაიტანო შენი თავი სხვაში და გადაიტანო ისე, რომ ორივე ეს არსება — საკუთარი, ცოცხალი და განსვენებული, რეალურად არარსებული — ერთმანეთს შეედლოს მიღუღების ყოველგვარი ნიშნის გარეშე“.¹⁸

როგორც დავინახეთ, საარქივო და მემორიული წყაროები სერიოზულად მივახიზნებენ ა. ი. სუმბათაშვილი-იუვიენის თეატრალური ფორმირების საქმეში თბილისის კლასიკური გიმნაზიის წლები და მნიშვნელობაზე. სწორედ აქედან უნდა გამოვიყოლოთ თეატრალური ხელოვნებისადმი მისი მიზიდულობის პრევილი შეგნებული ნაბიჯები. და აუცილებლად უნდა წარმოადგინო ამ მრავალმხრივი პირობების მოღვაწეობის საერთო გამაზნი თბილისში მისი სწავლასა და პირველი შემოქმედებითი ცდების წლები ცალკე პერიოდად და გამოიყოს და პეტერბურგისა და მისკოვის პერიოდებს თვითმყოფად და ორგანულ ნაწილად შეუთავსო.

შ ე ნ ი შ ვ ა ნ ი ა :

1. Вл. И. Немирович-Данченко, «Из прошлого», М., 1938, стр. 44-45.
 2. Сто лет Малому театру, 1924, Русск. театр общ.
 3. Вл. И. Немирович-Данченко, «Из прошлого», стр. 45.
 4. Южин-Сумбатов, Студент из 38-й галлерей Малого театра. (ГЦТМ, № 117185/104) «Сто лет малому театру», РТО, 1924.
 5. ГЦТМ им. А. А. Бахрушина.
 6. «Сто лет малому театру», РТО, 1924 г.
 7. А. Кугель, «Театральные портреты», стр. 108.
 8. А. И. Южин-Сумбатов, Воспоминания; записи, статьи, письма. Гос. изд. «Искусство», 1941, М.-Л., стр. 20.
 9. ЦГИЛ, ф. 678, ош. I.
 10. В. И. Ленини, Толстой и пролетарская борьба, Соч., т. 16, стр. 323.
 11. Всемирная история, т. VII, стр. 663.
 12. А. И. Южин-Сумбатов, Воспоминания, записи, статьи, письма. Гос. изд. «Искусство», 1941, М.-Л., стр. 21.
 13. იქვე, გვ. 23.
 14. იქვე, გვ. 23.
 15. იქვე, გვ. 24.
 16. იქვე, გვ. 25-26.
 17. იქვე.
 18. იქვე, გვ. 71.



ერწოს პინაკი.

პერსელის პინაკი ერწოლან

რამინ რამიშვილი, იოსებ ანდრიაშვილი

1966 წელს ზაფხულში ერწოს ველზე, სოფ. მაგრანეთის ჩრდილო-დასავლეთ განაპირას, ქუშანანთ გორაზე, აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, ექსპედიციამ შეისწავლა საკმაოდ ვრცელი სამაროვანი და ნაშოსახლარი.¹ სამაროვნის ერთ-ერთ კუთხეში მიკვლეულ იქნა მდიდრული სამარხების უბანი, სადაც აღნაგობითა და სამარხული ინვენტარის შემადგენლობით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს № 1 სამარხი.

იგი წარმოადგენდა ნიადაგში არც თუ ისე ღრმად ჩაჭრილ ორმოს, რომელშიც გამართული ყოფილა დასაკრძალავი „საკანი“. სამარხისათვის ამოთხრილი დიდი და თითქმის ორმოს (3X2 მ) ფსკერზე ჭირისუფლებს ამოუჭრიათ მეორე შედარებით მცირე, დაბალი, ოვალური ორმო (2X0,8 მ, სიღრმე — 15 სმ.), რომელშიც ჩასვენებული იყო ერთი მიცვალებული. სამარხულ ძეგლებსა და ინვენტარს ყვარა კრამიტის უამრავი ნატეხი, რომლის ადგილზე შესწავლამ ცხადყო, რომ სამარხის „საკანს“ უშუალოდ ზედვე ედგა ხის ძელებით გაწყობილი ორფერდა, კრამიტისა და ხის ნატეხებით დასაფარავი ვითარებაში სამარხის „საკანში“ ჩაქცეულა. სამარხი დამხობილი იყო ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ. კრამიტის ნატეხების ქვეშ, სამარხის სამხრეთ-დასავლეთ ნახევარში, აღმოჩნდა შემდეგი ნივთები:

ვერცხლის პინაკი, ვერცხლისავე ორი სურა

ფეხიანი, ოქროს ორი ბეჭედი (გემიანი, რომელთაგანც ერთზე მკდომარე ზეფის გამოსახულებაა), ოქროს საყურეები, ოქროს სამი მონეტა, რომელთაგან ერთი კომოდის (180-192 წწ.) მინაბაძია; მეორე ეკუთვნის ალექსანდრე სევერს (222-235 წწ.), ხოლო მესამე კი — კარუსის (282-283 წწ.) აურეუსია. გარდა ამისა სამარხში აღმოჩენილია მინის ორი სანელებსა და ხეხეხე (ერთი — მთელი, მეორე — დამტერეული), გცმრის სწორკუთხა მძივი და რკინის ღერო.

უბრალო ჩამოთვლითაც ჩანს, რომ № 1 სამარხის ინვენტარი დიდად საინტერესოა. ქუშანანთ გორის მდიდრულ სამაროვანზე მოპოვებულ სხვა მასალებთან ერთად იგი დიდ სიახლოვეს ამქავეს გვიანანტიკური ხანის არმაზისხევის ერისთავთა ნეკროპოლთან,² სადაც მოპოვებულია უძველესი მასალები ქართლის სამეფოს ისტორიის საკვანძო საკითხების გასაშუქებლად ახალი წ. ა. პირველი საუკუნეებისათვის.

გარდა ამისა, ერწოს ველის მდიდრულ სამარხულ კომპლექსებს დიდი მსგავსება ახასიათებთ ზღურდის,³ ურბინის,⁴ მოდინახეს⁵ და სხვა მასალებთან, რომლებიც აგრეთვე გვიანანტიკური ხანის დასარულს განეკუთვნებიან.

ერწოს № 1 სამარხის დამათარიღებელ მასალებს შორის განსაკუთრებით საყურადღებოა: ვერცხლის სურები, რომლებსაც უახლოესი ანალოგიები მოპოვება მცხეთას⁶ და ზღუდერში.⁷ ისინი უპირატესად წინაქრის-

ტრანსლ ხანაში საკმაოდ ფართოდ ყოფილა გავრცელებული საქართველოში; ბეჭდები, რომლებიც დიდ სიასლოვებს ამტკიცებენ არმაზისხევის მასალებთან და ამცბის შესანიშნავი ხელოვნებით შესრულებული გემები; მინის სანკელსაცხებელე და, რაც მთავარია, რომაული აურეუსები, რომელთაგანაც ყველაზე მოგვიანო კარუსის აურეუსია (282-283 წწ.)⁸

მოელი ამ კომპლექსისა და ქუშანანთ გორაზე გათხრილი დანარჩენი სამარხების მასალების ერთობლივი გათვალისწინება და მათი შეპირისპირება სხვა პუნქტებიდან მომდინარე მასალებთან საშუალებას გვაძლევს № 1 სამარხი ას. წ. III საუკუნის ბოლოში და IV საუკუნის დასაწყისით დავათარილო. ბუნებრივია, ვერცხლის პინაკი, როგორც ამ კომპლექსის განუყოფელი ნაწილი, იმავე დროით უნდა განისაზღვროს. თუმცა შექმელობის მოტივთა არქაულობა და შესრულების თავისებური მანერა გარკვეულ ეჭვს აღძვრს; მაგრამ, თუ გაავითვალისწინებთ ე. წ. გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიურ მასალებს საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა კუთხეებიდან და მათ გააანალიზებთ იმდროინდელ მოვლენათა შუქზე, ადვილად დავრწმუნდებით, რომ როგორც რომის იმპერიის უმუალო პროვინციებში, ასევე მისი გავლენის ქვეშ მყოფ მხარეებში ას. წ. პირველი საუკუნეებისათვის ადგილი ჰქონდა, კულტურული აღორძინების მძლავრ ტენდენციას (ტორვიტიკა, გლიტიკა და მინის წარმოება, სამშენებლო საქმე და სხვ.) როგორც ჩანს, ამ მოვლენამ კავკასიასა და საქართველოში განსაკუთრებული ძალით იჩინა თავი.⁹ მაგრამ საქართველოს მატერიალური კულტურის დავინაურებაში, რა თქმა უნდა, უმთავრესი იყო ადგილობრივი ელემენტი და მდიდარი ტრადიციები, რომელიც ქართველ ხალხში უძველესი დროიდანვე ყალიბდებოდა და ვითარდებოდა. თავის მხრივ, მსოფლიოს ორი დიდი კულტურის — სასანურისა¹⁰ და რომაულის — შესების ზონაში მყოფი საქართველო მიდრდებოდა და იცხებოდა ამ ორი დიდი კულტურული ნაკადის საკუთვით ელემენტებით. ამიტომ, რომ ქართველი ხელოვნებისა და მატერიალური კულტურის არა ერთი ძველი წარმომადგენს ადგილობრივი, რომაული და სასანური კულტურების მიღწევათა სინთეზს, სადაც ძირითადი და განსაზღვრელია ადგილობრივი ელემენტი.

ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაშიც, ვფიქრობთ, იგივე სურათია: № 1 სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის ჭურჭელი და სამკაული შექმნილი უნდა იყოს ძვირფასი ლითონების დამუშავების მდიდარ ქართულ ტრადიციებზე. პარალელურად

ამჟამად იგრძნობა სასანური და რომაული ოქრომჭედლობის საუკეთესო ტრადიციების გავლენა და სწრაფმსიხით სინთეზისაგან, რომელიც უნასუსებთან ამ ნივთების შექმნელთა თანამედროვეების გემოვნებასა და მოთხოვნებს. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ვერცხლის პინაკი, რომლის საძაქულსა და მთავარლითაში იახს იმ მდიდარი ტრადიციების გავლენა, რაც სასანულმა ჭედურმა ხელოვნებამ შეიძუმავე აქემენიდური ხანიდან.

სული ორნამენტის პინაკის ფიგურაზე და მოთქრული მონორამა, რომელიც ადვილ ითვალისწინება რომელიმე ადგილობრივი მხარეების (ერისთავის, პიტაქსის) საკუთრება იყო, მასთან თვით პინაკის დამზადების ხელოვნება და თავისებურება, უფლებას გვაძლევს, იგი რომელიმე ადგილობრივი საწარმო ცენტრიდან მომდინარე ჩავთვალოთ. აღნიშნული რიგის საკითხთა გარკვევასა და მატერიალური კულტურის ცალკეულ ძეგლთა სწორი ანალიზისათვის, გარდა ტიპოლოგიურ-მხატვრული და შედარებითი გამოკვლევისა, არანაკლებ საინტერესო უნდა იყოს ამა თუ იმ ნივთის დამზადების ხელოვნებისა და ტექნოლოგიური პროცესის თანმიმდევრობის გარკვევა. ამ მიზნის არჩევანი შევანერეთ № 1 სამარხიდან მოპოვებულ ვერცხლის პინაკზე, რომელიც გარდა უხვი სამკაულისა, ყურადღებას იქცევს დამზადების სირთულთ.

როგორც ვიხსენებთა დაკვირვებამ და პინაკის რენტგენოლოგიურმა შესწავლამ ცხადყო, ამ ჭურჭლის ტექნოლოგიური პროცესი შეიძლება დაიყოს ოთხ საფეხურად:

1. სათანადო სინჯის სმულის მიღება, 2. ფურცლის შემზადება, 3. პინაკის ფორმის მიღება და 4. ნაკეთობის შემატება.¹¹


ამ უნიკალური ჭურჭლიდან სინჯის აღება შეუძლებელია (ვერცხლის ქიმიური ანალიზი არ მოხერხდა), მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი წარმოადგენს ტექნიკურ ვერცხლს, რომელშიაც მსგავსად საქართველოში ცნობილი სხვა ნიმუშებისა, ვერცხლის შემცველობა 97%-ს შეადგენს.

ვერცხლის დნობას, ჩანს, ბუთაში აწარმოებდნენ, გამდნარ ვერცხლს და „რეაქს“ ასხამდნენ. მიღებული სმულის ჭედვისა და კვერვა-ტკევის საშუალებით, ჩვენს კერძო შემთხვევაში, უნდა მივლით 1,2 მმ სისქის ფურცლის ნამზადი (ძირის სისქე უდრის 1,2 მმ, რომელიც მაქსიმალურია ამ პინაკისათვის). როგორც დაკვირვება ცხადყოფს, ფურცლოვანი პინაკების ფორმა მიიღება კვერვით, ტვიფრვითა და გავწვივით.

გეზუალური დაკვირვება და მაროკვლევა მიუთითებს,



სამარხის საერთო ხედი, ნივთების ნაწილი სამარხის სრულ პრეპარაციამდე.



ერწოს პინაკის რენტგენოსურათი.

რომ პინაკი შედგენილი ნაკეთობა,¹² ამიტომაც პინაკის ფორმაზე მსჯელობისას უნდა გავითვალისწინოთ მისი შემადგენელი ნაწილების — ჯამბიური კორპუსისა და ქუსლის — ცალ-ცალკე გაზაზღვება.


პინაკის ქუსლი ოდნავ კონუსურია (მისი ზომებია — 100X90X17,5, სისქე 0,6 მმ-ს უდრის). იგი გამოყვანილი უნდა იყოს გაწვევით; ეს გარაუდო უფრო დაზარებულა იმის გამო, რომ, ჯერ ერთი, მის ზედაპირზე შეიმჩნევა წრიული ხაზები და არ ჩანს კვერფის კვალი, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც ქვევით დავიხსანავთ, თვით ჯამბიც ამ მეოთხედითაა დამზადებული.

პინაკის ჯამბისებრი კორპუსის მიღების პროცესის დადგენისას ყურადღებას იქცევ: 1. პინაკის ჭობა, რომელიც დიდი ოსტატობითაა გამოყვანილი, 2. პინაკის კალთის კედლის სისქის ცვალებადობა, 3. ზედაპირის სისუფთავე.

პინაკის კორპუსი შეიძლება მიღოთ ჩამოსხმით, კვერვით, ტვიფრვითა და გაწვევით. ერწოს პინაკი რომ ჩამოსხმის წესით არ არის მიღებული, შეუიარაღებელი თვალთაც კარგად ჩანს. ასევე არ შეიმჩნევა კვერფის კვალიც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთი ადგილის დეფორმაციას, რაც, შესაძლოა, შემთხვევით დარტყმებს, ან რეტეგრაციის დროს გაწვეულ სამუშაოებს მიუწეროს. ასევე გამოირეცხება პინაკის კორპუსის ტვიფრვით დამზადების შესაძლებლობა, რადგან ეს პროცესი მოითხოვს ისეთ დიდი სიმძლავრის წნეხს, რაც პინაკის დამზადების პერიოდისათვის წარმოუდგენელია.

ამგვარად, დასაშვებია პინაკის ჯამბისებრი ნაწილის მიღება გაწვევის ხერხით. კედლის სისქის ცვალებადობა

ერწოს პინაკის რენტგენოსურათი.



სწორედ გაწვევისთვისაა დამახასიათებელი. სისქის ასეთი ცვალებადობა რომ სწორად აფხსნათ, საჭიროა დავადგინოთ ათათად ფურცლის თვალდაპირველი სისქე და დიაგნოტიკური. თვალდაპირველი სისქის დასადგენ ადგილად უნდა მივიჩნიოთ პინაკის ფსკერი. ერწოს ფსკერის სისქე 1,2 მმ-ია. სწორედ ეს ადგილი იყებოდა დამჭერთან შეხებაში, რის გამოც ხიის სისქე არ შეიცვლებოდა.

პინაკის კორპუსი ქუსლთან ვერცხლის სარჩლით უნდა იყოს სვერთებული, თადგან რბილი სარჩლი დროის ხანგრძლივობას ვერ გაუძლებდა. მიჩრდილის შემდეგ ჭურჭელი უნდა გავითვალისწინოთ, რაც უხადიდა შესრულებული, სლოლდ ამის შემდეგ უნდა დაწყებულიყო პალმის მხატვრული დამუშავება.

ამისათვის თანის ფსკერზე არსებული ცენტრიდან ჯამბის სხვადასხვა დიამეტრზე შემოვლებულია ოთხი წრე, რითაც გახასზღერულია კოვზისპირისებრი მოყვანილობის ბურცობების, ანუ „კოვზის“ მდებარეობა. პინაკის უკანა მხრიდან განსაზღერულია ნახევრადფერული კოვზების (20 ერთეული) მდებარეობა (რომელთა ბიჯი t_1 — 42 მმ და t_2 — 34 მმ შეხაცვლებადია) წინასწარ შემოვლებულ წრიულ ხაზზე.

განსაზღერულია უკანა მხრიდან 10 ვარდულის ცენტრიც, რის შედეგადაც ნემსათვით¹³ უწარმოებიათ კოვზისპირისებრი ბურცობების, ანუ თითოეული „კოვზის“, საგარეული ადგილის შემოწურტვა, რაც კარგად შეიმჩნევა ფოტო და რენტგენოსურათზე.

პინაკის შიდა და გარე ზედაპირზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ თითოეული „კოვზი“ შესრულებულია ამ ბურცობების შესაბამისი მოყვანილობის იარაღით — ე. წ. ჩექმა თევით.

შიდა ზედაპირიდან დიდ-პატარა „კოვზების“ მისაღებად პინაკის კორპუსი ჩამაგრებული უნდა ყოფილიყო ფისოვან მასაში და მონიშნულ ადგილებზე თვლის მიყვანილობა და ჩაქურის დარტყმით მიიღებოდა სათანადო დრმული. ცხადია, ჩაღრმავებული ადგილის წარმოქმნას უნდა გამოეწვია ვერცხლის ფურცლის გათხრება, რაც უნდა გამოჩნდა რენტგენის სურათებზე და გაზომვების შედეგადაც.

ამგვარად, კოვზები შესრულებულია თავისი შიგნითა (წინა) მხრიდან წინა თევით.¹⁴

შემდეგ ეტაპზე თასი უნდა ამოვსოთ ფისოვანი მასით, პირქვე ჩამაგრებინათ ყუთში ჩასაძულ შემთბარ ფისოვან მასაზე და გარეთ ანუ უკანა თევით გაკრძელებინათ პინაკის შემოვლა. ამ შემთხვევაში ხელისათა სჭირდებოდა სულ სხვა მოყვანილობის თავების მქონე თევები (მრგვალი, ოვალური და ხიჯარისებური). ასე შეკალიდა, მრგვალთავე თევებითა მიღებულა ჭობის ქვევით და ვარდულების ცენტრში მოთავსებული მრგვალი ბურცობები (წინა მხარეს). საერთოდ, პინაკის ვარდულები მთლიანად თევითაა ნაკეები.

ვერცხლის ჭურჭლის შემოვლა ორმხრივი თევვის ხერხით, ჩანს, ძისნად იმასავსე გამოსახულებათა რელიეფურობის გაძლიერებას.

ამრიგად, ერწოს პინაკის კალთებზე სულ ნახშირია 7 სახეობის თევი: 1) მრგვალთავე — 7 მმ, 2) მრგვალთავე — 9 მმ, 3) დიდი კოვზისპირისებრი, 4) მცირე კოვზისპირისებრი, 5) სპეციალური თევი ვარდულებისათვის (ოვალური), 6) ნიჯარისებრი (ქუსლის გარშემო) და 7) ბრტყელთავე, საკონტურე.

პინაკის ფსკერზე ფარგული ამოაწურულია ოთხი წრიული ხაზი, მე-2 და მე-3 წრეებს შორის მოთავსებულია წრიული ჩექურთმა, რომელიც შედგენილია S-ისებრი და რკალური ღერებისაგან ისე, რომ საბოლოოდ იქმნება წნული ჩექურთმის შთაბეჭდილება. მსგავსი ჩექურთმა



ცნობილი არამაშისხეების პინაკის ფსკერზე.¹⁵ ასეთი სახის ჩუქურთმა შეიძლება შექმნილიყო ოფორც თევით, ასევე უფით.¹⁶

რადგანც ჭურჭლის ფსკერის მთელი მხარეს ვიწროების ნეგატიური გათმასულება არ შეიძლება, უნდა კონკრეტულად, რომ ზეული ჩუქურთმა ჭრებითაა შესრულებული,¹⁷ ამაზე მეტყველებს საჭრეთლის კვალი გარე რვაღებზე და ისიც, რომ პინაკის ფსკერი — მოპეტალების წესითაა მოქმედი. პეტალის ფსაჟიდებულ და უფრო ხელსაყრელა ჭრებით დამუშავებული ზედაპირი, ვიდრე ნათვრი, ფსკერის ჩუქურთმის ა-ისებრი ელემენტზე შედაპირული და მის დარბი შეინიშნება წერტილები, ოთხედიც ოვოსი პეტალითაა ამოფხვებული. დამატებითი წერტილები ოსტატის სწორედ იმისთვის დასჭირდა, რომ ხაჭრეთ ჩუქურთმაში კიდევ უფრო გაემდიერებინა პეტალის შეჭიდულობა. ჩუქურთმის ხასყარყრეებით შესრულებული ელემენტები კი ხაჭრეთები უნდა იყოს საჭრეთლის ორი მხრიდან შემოვლით.

პინაკის ფსკერზე, ცენტრში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოსახულია საგაოდ რთული მოფხვნილობის მონოგრამა. ამ გამოსახულების ნასაზღვრული კონტურები ცალთ მხრიდან გლუვია, მთორე მხარეს კი შეინიშნება გამოსახულების კონტურის კვალი, მაგრამ მის გარემოება მაინც არ იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ მონოგრამა თევვის წესითაა შესრულებული. რენტგენოლოგიური გამოკვლევიტა და ვიზუალური დაკვირვებით ჩანს, რომ გამოსახულების კონტურები შესრულებულია საჭრეთლით, ხოლო შემდეგი იგივე იარღის გრძივი დაწოლით, ერთი მხრივ, მიღებულია, ხოლო, მთორე მხრივ, მიღებულია შესაბამისი ჩაღრმავება. როგორც ჩანს, მთორეამაც პინაკის ძირთან ერთად მოთქმული იყო. მოპეტალების გასაძლიერებლად იქაც შეინიშნება „დამჭირი“ წერტილები.

თუ შევჯავშებთ ყოველივე ზემოქმულს, ნათვრი გახდები რომ ერწოს არქეოლოგიური მასალა უაღრესად საყურადღებოა, როგორც ისტორიული, ასევე მხატვრულ-ტექნიკური თვალსაზრისითაც. სამარხეულ კომპლექსში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ვერცხლის პინაკი, რომელიც თევური ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. მაღალმატვრული ხელოსნობის ამ ნეთით გაერთიანებულია ქართული და უცხოური ოქრომჭედლობის საუკეთესო ტრადიციები და ჩანს, რომ დამზადების მთელი ტექნოლოგიური ციკლით იგი უაღრესად ახლო დგას საქართველოს ისეთ ცნობილ ნაკეთობებთან, რომელთა ადგილობრივი წარმოება დღეს გვქვს ადარ იწვივს (მცხეთა, ზღუდერი, ბორი და სხვ.).

თასის დამზადების ტექნიკური ხერხების შესწავლამ დაგვანახა, რომ ოსტატი, ერთი მხრივ, იყენებს ძვ. წ. აღრიცხვის I ათასწლეულის შუა ხანების,¹⁸ ხოლო მთორე მხრივ, ანეთორებს ძველ ტრადიციას და სარგებლობს იმ სიძალეებით, რაც დამახასიათებელია გვიანი არქეოური ხანის ქართული ჭედური ხელოვნებისათვის.¹⁹

ამრიგად, ერწოსა და იმ დროის სხვა პინაკების ტექნოლოგიური გამოკვლევიტ საშუალებად გვეძლევა დადრინდეს ის თავისებურებანი, რაც ქართულ ჭედურ ხელოვნებას განასხიერებდა სხვა ქვეყნებისაგან. ამ განასხვავებელი ნიშნებიდან ჯერ-ჯერობით შევიძლიან დავასახელოთ:

1. ქართულ ჭედურ ხელოვნებაში ჭურჭლის ესა თუ ის ფორმა უპირატესად მიიღება ლითონის ფურცლის გაწვევიტ.²⁰

2. ჭედურ ნაკეთობათა შემკობისას საქართველოში უნარატესად გამოყენებულია თევვის ხერხი.

3. ჭედურ ნაკეთობათა აპლიკაციებით შემკობის ხერხი ძლიერ იშვიათია, წინააღმდეგ სასახური ჭედური ხელოვნებისა, სადაც აპლიკაციის მხატვრულ სამკაულში უპირატესობა იქნება.

შენიშვნები:

1 რ. რამიშვილი, ერწოს ველის არქეოლოგიური ექსპედიციის (1966 წ.) მუშაობის შედეგები. — არქეოლოგია XVI სამეცნიერო სესიის ანგარიშები. თბ., 1967, გვ. 71-74.

2 ა. ავაქიძე, გ. გობეჯიშვილი, აღ. კალახდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა I, თბ., 1955 წ.

3 გ. ნემსაძე, ზღუდრის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები.

4 ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქი ურბნისი, თბ., 1964 წ.

5 წ. ნადარეჟი, სახტერის რაიონში წარმოებულ გათხრების ანგარიში, საქართველოს არქეოლოგია XVIII სესიის ანგარიშები, თბ., 1969 წ.

6 მცხეთა I, ტაბ. XII და XXXIV.

7 გ. ნემსაძე, დასახლებული ნაშრომი.

8 დ. კახანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 42-47.

9 К. Г. Мачабели, Серебрянные филиалы из Армазисхеви, Тб., 1970 г.

10 Г. Лукинин, Культура сасанидского Ирана, М., 1969. Памятники сасанидского Ирана. И. А. Орбели, К. В. Тревер-Сасанидский металл, М.-Л., 1935.

11 ფ. თავაძე, ი. ანდრიაშვილი, ქართული ჭედური ხელოვნების ტექნოლოგიური პროცესი, განახლება, თბ., 1970 წ.

12 აღნიშნულ საკითხის განსაკუთრებულად ზედაპირით რენტგენოლოგიური კვლევა. ამკარად დადასტურდა, რომ პინაკის ქსელი მორჩილულია კორპუსში.

13 ი. ანდრიაშვილი, სათევვი იარაღები, მეცნიერება და ტექნიკა, № 8, 1970 წ.

14 ი. ანდრიაშვილი, თევვის ტექნოლოგიური პროცესი, მეცნიერება და ტექნიკა, № 5, 1970 წ.

15 მცხეთა I, თბ., 1955. ტაბ. VIII.

16 ჭრეთის შემთხვევაში, ბურბუშელის ამოყვევის გამო ვერცხლის ფურცლის სისქე იმ ადგილზეში სარკმობლად მცირდება კონტურის ორგული ზღის სისქის გაუზრდელად. ამტომაც რენტგენით გამოქვების მიიღება მკვეთრი შავი კონტურები, რაც ჩვენს შემთხვევაში დადასტურდა.

17 ი. ანდრიაშვილი, ჭრეთის ტექნოლოგიური საკითხისათვის, მეცნიერება და ტექნიკა № 12, 1970 წ.

18 И. Смирнов, Ахалгорийский каад. Тб., 1934.

19 გავიშობი, ადრეარქეოური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან თბ., 1964 და სხვა.

20 მცხეთა I, თბ., 1955. К. Мачабели, Серебрянные филиалы из Армазисхеви, Тб., 1970. გ. ნემსაძე, მითითებ. ნაშრომი. ი. ანდრიაშვილი, ქართული თევური ხელოვნების ნაკეთობათა ტექნოლოგიური გამოკვლევა.

